



Faculty of Humanities at Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი



TSU-TI — THE INTERNATIONAL SCIENTIFIC JOURNAL OF HUMANITIES

VOLUME 3

TSU-TI — საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი ჰუმანიტარულ
მეცნიერებაებში

ტომი 3

HISTORY, PHILOSOPHY, POLITICS
ისტორია, ფილოსოფია, პოლიტიკა

Faculty of Humanities at Ivane Javakhsishvili Tbilisi State University

TSU-TI — THE INTERNATIONAL SCIENTIFIC JOURNAL
OF HUMANITIES

VOLUME 3

HISTORY, PHILOSOPHY, POLITICS

TSU Press
Tbilisi 2024

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

TSU-TI — საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი
ჰუმანიტარულ მეცნიერებებში

ტომი III

ისტორია, ფილოსოფია, პოლიტიკა



უნივერსიტეტის
გამომცემლობა

სარედაქციო საბჭო

ჯაბა სამუშია – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორი, საქართველო

დარეჯან თვალთვაძე – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი,
საქართველო

სტივენ ჯონსი – ჰარვარდის უნივერსიტეტის დევისის ცენტრის ქართველოლოგიის
პროგრამის ხელმძღვანელი, აშშ

მანანა თანდაშვილი – გოეთეს სახელობის უნივერსიტეტი, ემპირიული
ენათმეცნიერების ინსტიტუტი, გერმანია

ნანა გაფრინდაშვილი – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
დეკანი, საქართველო

გიორგი ალიბეგაშვილი – სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ხელმძღვანელი,
საქართველო

ნანა მაჭავარიანი – არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების
ინსტიტუტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

ეკატერინე ნავროზაშვილი – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა
ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების
სამსახურის უფროსი, საქართველო

რამაზ ქურდაძე – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
ქართული ენის ინსტიტუტის ხელმძღვანელი, საქართველო

მაია ლომია – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი,
საქართველო

ქეთევან მარგიანი – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი,
საქართველო

იოანა ჩიტორანი – პარიზის სიტეს უნივერსიტეტი, საფრანგეთის რესპუბლიკა

იასუჰირო კოჯიმა – ტოკიოს უცხო ენათა ინსტიტუტი, იაპონია

მანანა ტოფაძე-გოიშანი – ბერნის უნივერსიტეტის ენათმეცნიერების ინსტიტუტი,
გერმანია

იესე ვიხერს-სხრეული – ლაიდენის უნივერსიტეტი, ნიდერლანდების სამეფო

ქეთო ბელამი – ლაიდენის უნივერსიტეტი, ნიდერლანდების სამეფო

თეა ქამუშაძე – დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, საქართველო

ნათია ფუტყარაძე – ფილოლოგიის დოქტორი, საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ინსტიტუტი ტექნიფორმი, საქართველო

ნინო კვირიკაშვილი – დოქტორანტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, საქართველო

ელენე ლურსმანაშვილი – დოქტორანტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, საქართველო

გიორგი ქიტოშვილი – დოქტორანტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველური ონომასტიკის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი, საქართველო

ლიზი ძაგნიძე – ფილოლოგიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, საქართველო

გიორგი ჭლარკავა – დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, საქართველო

EDITORIAL BOARD

Jaba Samushia – Rector of Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

Darejan Tvaltvadze – The Institute of the Georgian Language, Faculty of Humanities, TSU, Georgia

Stephen Jones – Director of the Davis Center at Harvard University, Program on Georgian Studies, USA

Manana Tandashvili – Institute for Empirical Linguistics, Goethe University, Frankfurt am Main, Germany

Nana Gaprindashvili – Project Supervisor, Dean of the Faculty of Humanities, TSU, Georgia

Giorgi Alibegashvili – Head of the State Language Department, Georgia

Nana Machavariani – Director of Arnold Chikobava Institute of Linguistics, Faculty of Humanities, TSU, Georgia

Ekaterine Navrozashvili – Head of the Scientific research and development Office of the Faculty of Humanities, TSU, Georgia

Ramaz Kurdadze – Head of the Institute of the Georgian Language, Faculty of Humanities, TSU, Georgia

Maia Lomia – The Institute of the Georgian Language, Faculty of Humanities, TSU, Georgia

Ketevan Margiani – The Institute of the Georgian Language, Faculty of Humanities, Georgia

Ioana Chitoran – Université Paris Cité, French Republic

Yasuhiro Kojima – Lecturer, Tokyo University of Foreign Studies, Japan

Manana Topadze-Gäumann – Faculty of Philosophy and History, Institute of Linguistics, Bern University, Germany

Jesse Wichers Schreur – Leiden University, the Netherlands

Kate Bellamy – Leiden University, the Netherlands

Tea Kamushadze – PhD, Faculty of Humanities, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

Natia Putkaradze – PhD in Philology, The Head of the Organizational Committee, Senior Research Fellow at the Institute Techinform, Georgia

Nino Kvirikashvili – PhD Student, Faculty of Humanities, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

Elene Lursmanashvili – PhD Student, Faculty of Humanities, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

Giorgi Kitoshvili – PhD Student, The head of the Kartvelian Onomastics Scientific-Research Center, Faculty of Humanities, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

Lizi Dzagnidze – PhD, Faculty of Humanities, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

Giorgi Jgharkava – PhD, Faculty of Humanities, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

სარჩევნი

სალომე ბოჭორიშვილი	8
ნინო გვარამაძე	14
ნინო გურჩიანი	21
დავით თავაძე	27
ნათია თავდგირიძე	33
როსტომ კაკაჩიძე	39
მიხეილ მეფარიშვილი	43
მაურიციო პეტროჩი	48
ირინე საგანელიძე	57
ლაშა ჩანტლაძე	63

Contents

Salome Bochorishvili	8
Nino Gvaramadze	14
Nino Gurchiani	21
Davit Tavadze	27
Natia Tavdgiridze	33
Rostom Kachakhidze	39
Mikheil Meparishvili	43
Maurizio Petrocchi	48
Irine Saganelidze	57
Lasha Chantladze	63
Hasanov ElnurLatif oglu	68

ქალთა პრესა ეგვიპტეში პრესა „ალ-ფათას“ მიხედვით (1892-1914)

WOMEN'S PRESS IN EGYPT ACCORDING TO THE JOURNAL
AL-FATAH (1892-1914)

სალომე ბოქორიშვილი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

Salome Bochorishvili Ivane Javakhishvili Tbilisi State University

<https://orcid.org/0009-0006-3377-0652>

საკვანძო სიტყვები: ქალთა პრესა, ქალთა ემანსიპაცია, ნაციონალიზმი, ქალის უფლებები
Keywords: women's press, women's emancipation, nationalism, women's rights

ABSTRACT

In the 19th century, the *Al-Nahda al-Nisa'ia*—a women's awakening movement began in Egypt, which united actions and events to improve the condition of Eastern, Egyptian women. The Periodicals for Women played a significant role in this process. The collective name Women's Press referred to both periodicals created by women and the press whose audience and subject matter were women. The women's journals (*Al-Sahafat al-Nisa'ia* and *Al-Majalat al-Nisa'ia*, etc.) were not only a “weapon” of the struggle for changes but also a field whose evolution reflects the status of women in society, including changes in education, professional levels, and legal status in 19th-20th century Egypt. At the end of the 19th century, Egypt was officially part of the Ottoman Empire and at the same time under British occupation. For the formation and development of the press, women's periodicals, and the process of women's emancipation in the country amid the ongoing socio-political and economic changes, the most crucial factor was the activation of the national liberation movement and anti-British sentiments. In Alexandria, Egypt, in November 1892, a Christian Lebanese woman, Hind Nawfal founded the first female-run-edited, monthly Arabic-language journal

Al-Fatah (The Girl) for women. This article aims to present the main characteristics of the early period of women's periodicals in Egypt (1892–1914) through an analysis of the journal *Al-Fatah*, in the context of ongoing processes of westernization, colonization, nationalism, and decolonization in the country. There are clear signs of the founding editors' religious, ethnic, and gender identities being reflected in the ideological and content aspects of the publication, as well as in its impact on society. To achieve the research goal, a comprehensive analysis of relevant articles from *Al-Fatah* magazine was conducted, focusing on its functions, duties, and objectives. The relevance of this research topic stems from the importance of studying gender equality. The women's press played a significant role in shaping social processes, strengthening women's social positions, and advocating for their civil and social rights. A comparative analysis of women's periodicals in Egypt allows for the identification of both the distinctive features and shortcomings of the Arab women's press as a whole. The research methodology is based on the principles of objectivity and historicism, historical-comparative and structural-functional analyses of the women's press”.

XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან, ახლო აღმოსავლეთსა და ოსმალეთის იმპერიაში, პრესის განვითარებით ეგვიპტე გამოირჩეოდა, რაც გამოხატული იყო კერძო, პოლიტიკური და ქალთა პრესის არსებობით. ქვეყნის დეკოლონიზაციისა და პროგრესისათვის ბრძოლის გზაზე, მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენდა ან-ნაჰდა ან-ნისა'ია – ქალთა გამოვლიძების მოძრაობა, რომელიც აღმოსავლელი, ეგვიპტელი ქალის არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებისკენ მიმართულ ქმედებებსა და მოვლენებს აერთიანებდა. აღნიშნულ საქმეში უმნიშვნე-

ლოვანესი როლი შეასრულა ქალთა პრესამ. პრესა ქალებისათვის (ას-საჰაფა ან-ნისა'ია და ალ-მაჯალათ ან-ნისა'ია და სხვ.), არამხოლოდ ცვლილებებისთვის ბრძოლის „იარაღს“ წარმოადგენდა, არამედ სფეროს, რომლის ევოლუცია საზოგადოებაში ქალის განათლების, პროფესიონალიზმისა და უფლებრივ-სოციალური სტატუსის ცვლილების საკითხებს ასახავდა.

ეგვიპტეში, პირველ პერიოდში (1892-1914) კრებსითი სახელი ქალთა პრესა, არამხოლოდ ქალების მიერ დაარსებულს აღნიშნავდა, არამედ გამოცე-

მებს, რომლის სამიზნე აუდიტორია და განხილვის საკითხიც ქალი იყო. ქალთა ემანსიპაციისა და ეროვნული მოძრაობის ჩამოყალიბების თანადროულ პროცესში, ქალთა პირველი პერიოდული გამოცემების ძირითადი მახასიათებლების გამოკვეთისათვის შეირჩა 1892 წელი ეგვიპტეში, ალექსანდრიაში, ლიბანელი ქრისტიანი ქალის ჰინდ ნავფალის მიერ დაარსებული პირველი ქალებისთვის განკუთვნილი, ქალის მიერ მართული, ყოველთვიური არაბულენოვანი ჟურნალი ად-ფათა (გოგონა).

XIX საუკუნის ბოლოს ეგვიპტეში, რომელიც ოფიციალურად ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა და ამავდროულად დიდი ბრიტანეთის მიერ იყო ოკუპირებული, როგორც მ. ბუსი აღნიშნავს, „ნაციონალური დღის წესრიგის წარმოშობის დროს, ქალთა საკითხი შემოთავაზებული იყო როგორც ძირითადი საკითხი ახალი საზოგადოების განსაზღვრისთვის.“¹ კონსერვატორები, ლიბერალები და თვითონ კოლონიზატორებიც (მაგ: გენერალი კრომერი) თანხმდებოდნენ, რომ „ქალის პოზიციის გაუმჯობესების გარეშე ერის მდგომარეობის გაუმჯობესება ვერ მოხდება“;² თუმცა, მათი მიზნის მიღწევის გზები ერთმანეთისგან განსხვავდებოდა.

ქვეყანაში არსებული სოციალურ-პოლიტიკური პროცესების ფონზე, როდესაც ეგვიპტელები მოკლებულნი იყვნენ პოლიტიკური პარტიის თუ სხვა საშუალებით პოზიციის დაფიქსირების შესაძლებლობას, პრესა და ლიტერატურა საზოგადოებისთვის იქცა მთავარ ასპარეზად, იდეოლოგიების ფორმირებისა და აქტუალური საკითხების განსახილველად.

XIX საუკუნის მიწურულს, პოლიტიკურ მოცემულობებთან ერთად, ქალთა პრესის განვითარების ხელშემწყობ ფაქტორს შემდეგი გარემოებები წარმოადგენდა: ახლო აღმოსავლეთში, პრესის განვითარებისა და თავისუფლების ინდექსით, ეგვიპტე ლიდერობდა; ადგილობრივი მმართველების ისმა'ილ ფაშას (1863-1879), 'აბბას ჰილმი II-ის (1892-1914) თავისუფალი პრესის ხელშემწყობის პოლიტიკა, საზოგადოებაში ანტიდასავლური, ანტიკოლონიური განწყობების გაძლიერების მიზნით; ინფრასტრუქტურის, საფოსტო და საბანაკო სისტემის განვითარება; კერძო პრესის ფუნქციონირების დაშვება; ეკონომიკის ზრდა (ბამბის ექსპორტი, მონათმფლობელობის გაუქმება, კაპიტალისტური საზოგადოების ჩამოყალიბება); წერა-კითხვის მცოდნე³, ქალ-მკითხველთა რაოდენობის ზრდა.⁴ შედეგად, რეგიონში ეგვიპტე ბეჭდვითი საქმიანობისთვის მიზიდულობის ცენტრად იქცა,⁵ სადაც ოსმალეთის იმპერიის

სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოდიოდნენ, უმეტესად კი სირია-ლიბანიდან.

დეკოლონიზაციისა და ნაციონალიზმის საერთო დისკურსში იმ წლების პერიოდიკის, როგორც ქალთა ემანსიპაციის მთავარი სივრცის იდეოლოგიური ჩარჩოს შეფასებისას, აღსანიშნავია, რომ პირველი პერიოდის პრესა ქალის ტრადიციული როლის განვითარებაზე ოჯახის და ქვეყნის გაძლიერების მიზნით იყო ორიენტირებული. თუმცა, ნავფალის მიერ გამოქვეყნებული ქალთა ბიოგრაფიები, მიუთითებს, რომ ის ხედავს ქალს არა მხოლოდ როგორც დედას, არამედ როგორც ძლიერ მმართველს (კლეოპატრა, ეკატერინე მეორე), ქვეყნის თავისუფლებისთვის მებრძოლს (ჟანა დარკი) და ასევე განათლებულს, განსწავლულს (ჰიპატია, ალ-ხანსა). ად-ფათა-ს მსგავსად, ამ პერიოდის პრესის უმრავლესობაში წარმოდგენილი ჟანა-დარკის ბიოგრაფია, ვფიქრობთ მიუთითებს იმაზე, რომ რედაქტორები ქალებს, დედის ფუნქციასთან ერთად, სამშობლოს თავისუფლებისთვის ბრძოლასაც აკისრებდნენ.

ვინ და ვისთვის წერდა? შესაძლებელია ითქვას, რომ პირველი პერიოდის ქალთა გამოცემების რედაქტორ-ავტორები უმეტესად ჰ. ნავფალის მსგავსად წარმოადგენდნენ საშუალო კლასს და მათთვისვე წერდნენ. ად-ფათაში (ნომერი 10; სტატია 1) ვკითხულობთ, რომ საზოგადოების მაღალი ფენა, დასავლურობისადმი სწრაფვისა და მშობლიური არაბული ენის არცოდნის გამო, უცხოური პრესის გამომწერი იყო. პერიოდული გამოცემების რეფორმები მიმართული იყო საშუალო და მაღალი სოციალური კლასის ქალებისკენ, რადგან ამ დროს დაბალი სოციალური ფენის ფელაჰი ქალები წერა-კითხვის უცოდინარნი იყვნენ, მაგრამ ამავდროულად უფრო მეტი თავისუფლებით სარგებლობდნენ ჩაცმის, გადაადგილების თუ სახლის გარეთ მუშაობის მხრივ.

გენდერულ საკითხთა კვლევის თვალსაზრისით, ქალთა პერიოდული გამოცემები იყოფა ფემინისტურ და ქალთა პრესად, სადაც ეს უკანასკნელი აღნიშნავს გამოცემებს, რომელიც ორიენტირებულია ქალთა აუდიტორიაზე და მისი თემატური ჩარჩო მოიცავს ქალთა უფლებებს, ყოველდღიურ ამბებს, რჩევებს, გასართობ, საგანმანათლებლო, მოდის და ა.შ. სტატიებს. განხილული პერიოდის ეგვიპტური ქალთა გამოცემები, მიეკუთვნება ქალთა პრესის კატეგორიას, რამდენადაც მიემართებოდა ქალის, როგორც დედის განვითარებას, ძირითადად შემდეგი მიმართულებების რეფორმით: განათლება, ბავშვთა აღზრდა, ქორწინება-განქორწინება, ოჯახის მართვა, მუშაობის უფლება. აუდიტორიას წარმოადგენდა ქალები, დიასახლისები და ოჯახები. თემატიკა მოიცავდა სამეცნიერო, ლიტერატურულ, საგანმანათლებლო, იუმორისტულ-გასართობ, ისტორიულ, სოციალურ და კრიტიკულ სტატიებს.

¹ Boott, 2001, p. 173.

² Amin, 1970, p. 137.

³ Baron, 1994, p. 59.

⁴ 1897 წ. აღწერის მონაცემებით ეგვიპტის მოსახლეობიდან წერა-კითხვა შეეძლო მამაკაცთა 8%-ს, ქალების – 0.2-ს, ხოლო 10 წლის შემდეგ კი ქალთა 6.25%-ს. თუმცა, 1898 წ. დაარსებული ჟურნალის რედაქტორი ა. ავერინო აღნიშნავდა, რომ მის ჟურნალს 31,200 ქალი მკითხველი ჰყავდა. (Baron, 1994, pp. 217-240)

⁵ 1890 წ. არაბულენოვანი გამოცემების რიცხვი იყო 163. XX ს. პირველ ათწლეულში პერიოდული გამოცემების რიცხვი დაახლოებით იყო 280. 1828-1958 წ.წ კი დაარსდა 1850 ჟურნალ-გაზეთი,

აქედან 1016 ჟურნალი და 834 გაზეთი. პრესის რაოდენობის მიხედვით ქალაქების პირველი სამუელი ასე გამოიყურებოდა: კაირო, ალექსანდრია, ტანტა.

საუკუნის 70-იან წლებში გადავიდა ალექსანდრიაში, პირველი ქალთა ჟურნალის პირველ ნომერს იწყებს შემდეგი წინადადებით: „ო, ცოდნის ქალღმერთო (სავარაუდოდ ნაგულისმხევია ეგვიპტური მითოლოგიის ცოდნის ქალღმერთი სია), ... სიცოცხლით აავსე ის, რაც ჩემმა კალამმა დაწერა, აავსე ის კეთილგანწყობით, ეს შენი გოგონაა, როგორც დროშა **არაბებს** შორის.“¹² ამავე სტატიაში, სამიზნე აუდიტორიას უფრო ვრცლად ახასიათებს და აღნიშნავს, რომ: მისი ჟურნალი არის პირველი ქალთა ჟურნალი აღმოსავლეთის ცის ქვეშ; ის წერს აღმოსავლელ გოგონაზე; ერთადერთი ჟურნალია აღმოსავლეთში, რომელიც გამოხატავს მათ (გოგონათა) ფიქრებს, ავრცელებს მათ გულისნადაებს, იცავს მათ უფლებებს, იკვლევს მათ ქცევებსა და ცოდნას, ხარობს მათი გონებრივი შესაძლებლობებით, ხელსაქმითა და სამაგალითო საქმეებით. არაბებზე, აღმოსავლეთზე, აღმოსავლელ გოგონაზე მითითება ცხადყოფს, რომ ის ცდილობს შექმნას ერთიანობის საფუძველი მასა და თავის მკითხველს შორის. მის მიდგომას არაბულ აღმოსავლურ იდენტობაზე, აღმოსავლელ ქალზე, აგრძელებდნენ ქალთა პრესის სხვა დამაარსებლებიც, მაგ.: ლიბანელი ლ. ჰაშიმი თავის გაზეთში „ფათა-შ-შარკ“ (1906წ.) საუბრობს აღმოსავლელ ქალზე, სირიელ და ეგვიპტელ ქალებზე, როგორც დებზე.

ნ. ფარაკი, ქალთა პრესის იდეოლოგიაზე არაეგვიპტელების ჩართულობის შეფასებისას, აღნიშნავს, რომ: „იმ უფლებებითა და თავისუფლებებით, რომელიც ჯერ კიდევ აკრძალული იყო XIX საუკუნის ბოლოს ეგვიპტელი ქალებისთვის, სირია-ლიბანის ქრისტიანული საზოგადოების წარმომადგენელი ქალები უკვე სარგებლობდნენ. ... სირიელი ქალები, რომლებიც ცხოვრობდნენ და წერდნენ ეგვიპტური პრესისთვის...ნაკლებად იყვნენ კონცენტრირებულნი თანამედროვე ეგვიპტელი ქალების ცხოვრებაზე. ისინი, გარანტირებული სოციალური პოზიციით და თავისუფლებით, იყურებოდნენ ევროპისაკენ, იღებდნენ მათგან საკუთარი ცხოვრების წარმართველ პრინციპებს და არა, რა თქმა უნდა, თავიანთი თანადროული ეგვიპტური საზოგადოებისკენ.“¹³ თუმცა მიგვაჩნია, რომ ამ მოსაზრების საპირისპირო მაგალითს წარმოადგენდა ჰ. ნავფალი, რომლის სარედაქციო პოლიტიკაში ნათლად ჩანს, რომ აცნობიერებდა ეგვიპტის პატრიარქალურ-კონსერვატიულ საზოგადოებაში არსებულ კონტექსტს, რომლის საზღვრებშიც განიხილავდა აღმოსავლელი, არაბი ქალის ცხოვრების გაუმჯობესების გზებს. თანამოაზრეების მსგავსად, მიუხედავად მის მიერ გამოქვეყნებული არაერთი გამორჩეული მმართველი ქალის ბიოგრაფიისა, ნავფალი არ იყო დაინტერესებული ქალის პოლიტიკური უფლებებით, რამდენადაც აცნობიერებდა თანამედროვე აღმოსავლური საზოგადოების და თვითონ ქალების მოუშზადებლობას

ამისთვის. ნავფალისთვის მისაღებია ბავშვთა აღზრდა-განათლების ევროპული წესების სიკეთების გაზიარება, მაგრამ მიუღებელია ადამიანების გაუზრებელი სწრაფვა ვესტერნიზაციისკენ და სიამაყე მშობლიური არაბული ენის არცოდნით. ასევე შორს დგას დასავლეთისა და იქ ქალის მდგომარეობის აბსოლუტური სრულყოფილების იდეისგან. მიაჩნია, რომ მაგ. სიზარმაცე, რომლის გამოც აკრიტიკებს აღმოსავლელ გოგონას, არ არის მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი.

პირველი პერიოდის ქალთა პერიოდული გამოცემების მახასიათებლების განხილვისას, მნიშვნელოვანია დასავლეთური სამყაროს გავლენის შეფასება.¹⁴ მიგვაჩნია, რომ მართალია ადრეული ქალთა პრესა ექვემდებარებოდა ადგილობრივი მოთხოვნებსა და საგარეო გავლენებს, დასავლეთიდან გადმოიღობრავალი იდეა, ფორმა და ხშირად გვხვდება თარგმნილი სტატიებიც, ეგვიპტური გამოცემებიზიარებდა სხვების გამოცდილებას, მაგრამ ამავდროულად იყო ავთენტური კონცეფციის მქონე. თუ ამ პერიოდისდასავლურ გამოცემებში სუფრა-ჰისტული იდეები იყო დომინანტური, ეგვიპტეში ჰ. ნავფალი აღნიშნავდა, რომ გენდერული თანასწორობა, როგორც აღმოსავლეთში, ისე დასავლეთში ხანგრძლივი რეფორმის ნაწილია, რომლის რეალიზებას მრავალი წელი სჭირდება. თუმცა მიაჩნდა, რომ ძველ აღმოსავლეთსა და ეგვიპტეში არსებული ქალების სოციალურ-პოლიტიკური ისტორიული მდგომარეობისთვის, ჯერ თვითონ დასავლეთის ქვეყნებსაც კი არ მიეღწიათ.

რედაქტორ-ავტორთა გენდერული იდენტობის რეპრეზენტაცია ქალთა პერიოდული გამოცემების თემატურ-იდეოლოგიურ ჩარჩოში ამ პერიოდის პრესის მახასიათებლების განსაზღვრის მნიშვნელოვანი ასპექტია. როგორც ბ. ბარონი აღნიშნავს, „ქალთა ადრეული პერიოდიკის ის ნაწილი, რომელიც მართული იყო მამაკაცთა მიერ, იზიარებდა საზოგადოებაში ქალის მნიშვნელობის სიმბოლურ წუხილს...ისინი პოლიტიზირებდნენ ქალთა უფლებების საკითხს და იყენებდნენ ქალთა პროგრესს, როგორც მორალურობისა და მოდერნულობის საზომს, განსხვავებით ქალთა მიერ მართული პრესისა, რომლის წუხილიც ეხებოდა გადაუდებელ საკითხებს ქალთა ყოველდღიური ცხოვრებიდან.“¹⁵ კვლევები ადასტურებს, რომ 1892-1914 წლებში 23 ქალთა ჟურნალიდან 5 დაარსებულ-მართული იყო მამაკაცის მიერ. ამავდროულად, გვხვდება სქესთა შორის თანამშრომლობის შემთხვევებიც, მაგ. ნავფალს მამა ეხმარებოდა ად-ფათა-ს ფუნქციონირებაში, ადმინისტრაციულ ნაწილში მამაკაცების

¹² ად-ფათა, ნომერი პირველი, სტატია პირველი.

¹³ Thomas, 1978, p. 281.

¹⁴ The Ladies' Mercury - ქალბატონებისმერკური (27 თებერვალი 1693 - 17 მარტი 1693) პირველიგამოცემა, ლონდონში, ჯონდუნტონისრედაქტორობით, რომელიცქალებისთვისიყოგანკუთვნილი. პირველიქალისმიერდაარსებულჟურნალიქალებისთვისარის ბრიტანეთშიილიზაჰიუდის „The Female Spectator“ (ქალიმყურებელი) 1744-1746 წწ. ძირითადისაკითხიყოჯახურიცხოვრებადარჩევებიამკუთხით.

¹⁵ იქვე, p. 76.

ჩართულობა განპირობებული იყო ქვეყანაში არსებული მკაცრი სქესთა სეგრეგაციით.

ქალთა საკითხის შესახებ, გენდერული იდენტობის საფუძველზე განსხვავებული ხედვების ვერბალურ-შინაარსობრივი გამოხატულების მაგალითს წარმოადგენს ჟურნალები ქალთა პრესის კატეგორიიდან ად-ფათა და ალ-მაჰ'ა ფი-დ-ისდამ. თუ ჰ. ნავფალი თავის ჟურნალს იწყებდა მიმართვით „ჩემო ქალბატონებო“ და აღნიშნავდა რომ, გამოაქვეყნებდა მხოლოდ¹⁶ „ქალთა კალამს კუთვნილ მარგალიტებს“, ად-მაჰ'ა ფი-დ-ისდამ-ის (1901 წ.) რედაქტორი იბრაჰიმ რამზისთვის ქალები იყვნენ მისი ჟურნალის ობიექტები და არა სუბიექტები. მკითხველისადმი მიმართვის ფორმაშაც „ო, ძმებო,“ ცხადყოფს, რომ ის არ იყო ორიენტირებული ქალებზე. რამზი ქალს განიხილავს როგორც ინსტრუმენტს, რომელიც საჭიროა ოჯახის, მამაკაცის, სამშობლოს გაძლიერებისთვის. მიუხედავად განაცხადისა, რომ მისი ჟურნალი „ქალი ისლამში“ ღია იყო ყველასთვის, ვისაც სურდა ეწერა, სტატიის ავტორები მხოლოდ მამაკაცები არიან, თუ არ ჩავთვლით ზ. ფავაზის ქალთა ბიოგრაფიული ცნობარიდან აღებულ ორ ბიოგრაფიას.

გენდერი ზეგავლენას ახდენდა არამართო შინაარსზე, არამედ მკითხველის მხრიდან მიმღებლობასა და ჩართულობაზე. ამ პერიოდში საზოგადოების დიდი ნაწილი, მათ შორის თვითონ ქალებიც, მსგავს აქტივობაში ქალის ჩართვას სასირცხვილოდ მიიჩნევდნენ. ამ ფაქტს პირველივე სტატიაში ეხმაურება ჰ.ნავფალი და მოუწოდებს ქალებს აქტიურობისაკენ, განმარტებით, რომ ჟურნალთან თანამშრომლობა არ არის უმანკოების, სინძინდის შემლახველი და არ უპირისპირდება იმ ღირებულებებს, რითაც აღიზარდნენ. ქალთა ჩართულობის ზრდისთვის, მოჰყავს მაგალიტები ევროპა-ამერიკიდან, სადაც ეს საქმიანობა ღირსეულად ითვლება და ამ სახელმწიფოთა წინსვლის ერთ-ერთ მიზეზადაც მიიჩნევს. თუმცა, მიუხედავად ასეთი გამოცემების რაოდენობის ზრდისა, განხილულ პერიოდში ქალები პრესასთან მეტწილად ანონიმურად თანამშრომლობდნენ, უთითებდნენ მხოლოდ სახელს, ან სახელსა და ქალაქს, სადაც ცხოვრობდნენ.

მკითხველის ჩართულობის თვალსაზრისით, საინტერესოა ტირაჟირების ტენდენცია. ად-ფათა-ს მეორე ნომერში ნავფალი ბოდიშს უხდის მკითხველს, რომ ყველა მათგანის წერილი ვერ გამოაქვეყნა, რაც ჟურნალისადმი დიდ ინტერესზე მიუთითებს. თუმცა, მეათე ნომრის პირველ სტატიაში წარმოდგენილია გარემოებები: ბევრი ადგილობრივი ინერს არარაბულ პრესას; უარყოფა სხვა ჟურნალებში გავრცელებული ინფორმაციისა, რომ ად-ფათა-ს გამომწერები არ ჰყავს; მკითხველისთვის ჟურნალის აქციების შექმნის შეთავაზება, მიუთითებს,

რომ მას შემოსავალი აკლდა. თუმცა, ად-ფათა-ს გამოცემა 12 ნომრის გამოსვლის შემდგომ 1894 წლის მარტში შეწყდა, ნავფალის დაოჯახების მიზეზით, რამდენადაც მიაჩნდა, რომ ქალისთვის დაოჯახების შემდგომ, თუ მას მისი სოციალური მდგომარეობა საშუალებას მისცემს, უკეთესია მთელი დრო შვილებსა და ოჯახს დაუთმოს. ასევე აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში ჟურნალების ტირაჟირებაზე ზეგავლენას ახდენდა: გასაღების ბაზრის სიმწირე, წერა-კითხვის მცოდნეთა მზარდი, მაგრამ არცთუ დიდი რაოდენობის გამო; ღირებულება, წლიური (10 ნომრის) გამოწერის საფასური იყო 50-60 პისტარი, როდესაც საშუალო ფენის წარმომადგენელი ქალის დღიური შემოსავალი 3-4 პისტარს უდრიდა.¹⁷

რაც შეეხება პუბლიკის მიმღებლობაზე რედაქტორ-ავტორის გენდერული იდენტობის გავლენას, ად-ფათა-ს სტატიაში „ალ-ფათა“ (ნომერი 10) პირდაპირ არის აღნიშნული, რომ გამოცემა მიზნად ისახავს ისეთ საკითხებზე მსჯელობას, რომელსაც აქამდე ვერ განიხილავდნენ, რადგან მამაკაცთა კალამს კუთვნილ კრიტიკას ქალებისადმი, შეიძლება ამ უკანასკნელთა რისხვა გამოეწვია, ხოლო იმავე სქესის წარმომადგენელთა მხრიდან, განხილული საკითხები მათ მეტი მოთმინებითა და მიმღებლობით განაწყობს.

პრესაზე რელიგიური იდენტობის გავლენის შეფასებისას, უნდა ითქვას, რომ ამ პერიოდის არამუსლიმი რედაქტორებისათვის დამახასიათებელი თვითცნებურა, ქალის არსებულ მდგომარეობაში ისლამის როლის განხილვისგან თავშეკავება, არ ნიშნავდა რელიგიის სრულად უგულვებლყოფას. შესაბამისად, თუ ჰ. ნავფალი პირველივე სტატიაში აღნიშნავს, რომ მის ჟურნალს არ სურს შევიდეს რელიგიურ საკითხებზე დისკუსიაში, შემდგომ სხვადასხვა სტატიაში საუბრობს, რომ: ქალები ღმერთის ნების საწინააღმდეგო დამოკიდებულების ობიექტები იყვნენ; ქალის მუშაობის უფლების განხილვისას (ნომერი 10, სტატია 2) კი აღნიშნავს, რომ ადამიანის სხეულისთვის (ამ შემთხვევაში ქალის) ფიზიკური ნაკლის მინერება და ამით მისი მუშაობის შესაძლებლობის უგულვებლყოფა, ყოვლისშემძლე შემოქმედის ნების საწინააღმდეგოა; ქალისა და მამაკაცის ურთიერთობის შეფასებისას კი აღნიშნავს, რომ სამყარო არ შექმნილა მხოლოდ ერთი მათგანისთვის (ნავგულისხმევია კაცი) მეორეს გარეშე, არამედ შეიქმნა იმისთვის, რომ ერთად თანაბრად ემუშავათ. (ნომერი 10, სტატია 2); ქალისა და მამაკაცის სავალდებულო საქმეთა განსაზღვრისას იშველიებს წმინდა წიგნს, რომ მამაკაცმა უნდა იმუშავოს მიწაზე, ხოლო ქალმა შობოს შვილი, შვილთან და ოჯახთან დაკავშირებული საქმეები აკეთოს. თუმცა ჰ. ნავფალი არცერთგან არ აკონკრეტებს, თუ რომელ რელიგიას ეყრდნობა ამ შეფასებები-

¹⁶ მეათე ნომერში, სადაც კიდევ ერთხელ განისაზღვრება ად-ფათა-ს მისია, გამოხატულია მზაობა, რომ ორივე სქესის წარმომადგენელთა წერილები გამოქვეყნდეს.

¹⁷ Beth Baron, Readers and the Women's Press in Egypt, Poetics Today, Summer, 1994, Vol. 15, No. 2, Cultural Processes in Muslim and Arab Societies: Modern Period II (Summer, 1994), pg 230

შლაიერმახერისა და დილთაის ჰერმენევტიკული პრინციპების
გადახილვისათვის
THE RECEPTION OF THE HERMENEUTICAL PRINCIPLES OF SCHLEIERMACHER AND DILTHEY IN
HANS-GEORG GADAMER'S PHILOSOPHY

ნინო გვარამაძე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
Nino Gvaramadze Ilia State University

<https://orcid.org/0009-0009-0879-3002>

საკვანძო სიტყვები: გადამეხი, ჰერმენევტიკა, გაგება
Keywords: Gadamer, hermeneutics, interpretation

ABSTRACT

In this paper, I will try to analyze the reception of the two main representatives of the hermeneutical tradition of the XIX century: Friedrich Schleiermacher and Wilhelm Dilthey - in Hans-Georg Gadamer's Magnum Opus: *"Truth and Method"*. I will devote the first part of this article to a review of the foundations of hermeneutics as a science in Schleiermacher's philosophy. I show that for him, hermeneutics is a universal theory of interpretation as such, or in other words, the doctrine of the interrelationship of the rules of understanding. In the second part of the paper, I will give an overview of Dilthey's grand methodological project. I will try to prove that the purpose of his project is to justify the importance of *"Geisteswissenschaften"* and to show the irreducibility of the latter's procedures to those of *"Naturwissenschaften"*. In the third part of the paper, I attempt to analyze how Gadamer, would rethink the Schleiermacher's and Dilthey's tradition. I argue that according to Gadamer, Schleiermacher sought to teach an understanding of oral and written tradition, since theology was concerned with one particular tradition, the Bible. For this reason, his hermeneutical theory was still far removed from historiography, which Gadamer believed could play the role of a methodological organon in the humanities. As for Dilthey, in Gadamerian perspective, he fails to achieve the ultimate goals he sets for hermeneutical methodology. His appeal to the natural sciences as a guide to what can be justified as true, deviates from philosophy's more rigorous foundation as a fundamental discipline. Dilthey's main desire to show the limits and possibilities of any kind of validity in the humanities is ultimately realized, by the fact that the humanities come much closer to the natural sciences in the scheme of appropriating the process of understanding.

შესავალი

ჰერმენევტიკა ინტერპრეტაციის ხელოვნებას, უფრო კონკრეტულად კი, ტექსტების ინტერპრეტაციისა თუ გაგების თეორიას გულისხმობს. როგორც სპეციალურ დისციპლინას - ინტერპრეტაციის მეტოდების შესწავლას - ჰერმენევტიკას მე-17 საუკუნის შუა ხანებიდან შეგვიძლია მივაღწევოთ თვალის, თუმცა ჰერმენევტიკის, როგორც მეცნიერების დაფუძნების დამსახურება ეკუთვნის ფ. შლაიერმახერს.

შლაიერმახერისთვის ჰერმენევტიკა ინტერპრეტაციის, როგორც ასეთის, უნივერსალური თეორიაა, არ აქვს მნიშვნელობა თუ რა ტექსტზეა საუბარი - „სასულიერო“, „კლასიკურ“ თუ უბრალოდ „ავტორიტეტულ“ წყაროზე; ინტერპრეტაციის წესები ყველა ტექსტისთვის ერთიანია (Schleiermacher, 1978, p. 1-16). ჰერმენევტიკა, შლაიერმახერის განმარტებით, არის დოქტრინა გაგების წესთა ურთიერთკავშირის შესახებ (Schleiermacher, 1978, p. 4). როგორც თავად აღნიშნავს: „ჰერმენევტიკა ხელოვნებაა, რომლის დროსაც, მეტყველება (Reden) და გაგება ერთმანეთს უკავშირდებიან. ნებისმიერი წერილობითი დოკუმენტი ენობრივ აღმოჩენას წარმოადგენს, რომელსაც ორმაგი ბუნება გააჩნია: ერთი მხრივ, ის ენის ზოგადი სისტემის ნაწილია, ხოლო მეორე მხრივ, ინდივიდის შემოქმედების პროდუქტი. ამიტომ ჰერმენევტიკა ორმხრივი ამოცანის წინაშე დგას: ერთი მხრივ, ენობრივი აღმოჩენის, როგორც კონკრეტული ენობრივი სისტემის ელემენტის შესწავლის, ხოლო მეორე მხრივ, მის უკან არსებული უნივერსალური სუბიექტურობის აღმოჩენის წინაშე. ამ კონტექსტში, შლაიერმახერი ყურადღებას ამახვილებს გაგების პროცესის წრიულ ხასიათზე და ავითარებს „ჰერმენევტიკული წრის“ იდეას, რომელიც გულისხმობს, რომ ნაწილის (მაგალითად, ერთი სიტყვის) გაგება შეუძლებელია მთელის გაგების გარეშე (კერძოდ, წინადადება, რომელშიც შედის ეს

სიტყვა), თუმცა მთლიანის გაგება, თავის მხრივ, მოიცავს ნაწილთა გაგებას. შლაიერმახერისთვის გაგება ფუნდამენტურად არასრული ქმედებაა, რომელიც ყოველთვის ექვემდებარება და დაექვემდებარება წრიულობის წესს, სახელდობრ მოძრაობას გაფართოებულ წრეებში (Scheilmacher, 1978, p. 1 - 16). განმეორებითი დაბრუნება მთელიდან ნაწილზე და ნაწილთაგან მთლიანზე ცვლის და აღრმავებს ნაწილის მნიშვნელობის გაგებას, მთლიანს მუდმივ განვითარებას უქვემდებარებს.

მე-19 საუკუნის ზემოთ აღწერილი გამოცდილების გათვალისწინებით, ვილჰელმ დილთაისთვის, ჰერმენევტიკა გრანდიოზული მეთოდოლოგიური პროექტის ნაწილი ხდება, რომლის მიზანი ისტორიული და ჰუმანიტარული შემეცნების მნიშვნელობის დასაბუთებაა („სულის მეცნიერებები“) და ამ უკანასკნელის პროცედურების არარედეცირებადობის ჩვენება ბუნებისმეტყველური შემეცნების პროცედურებამდე („ბუნების მეცნიერებები“). „გაგება“ დილთაის აზრით, ერთადერთი ადეკვატური საშუალებაა მთლიანობის გადაცემისათვის, რომელსაც სიცოცხლე ჰქვია. „გაგება“ განიმარტება, როგორც პროცედურა, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია ზოგადად „სიცოცხლის“ გაგება და გაცნობიერება. „სიცოცხლე“, ამ შემთხვევაში სულიერ-ისტორიული სამყაროს სახელწოდებაა, რომლის ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებელი მისი იზომორფიზმია ჩვენდამი, როგორც შემეცნებელთა მიმართ. ცოცხლის შემეცნება მხოლოდ ცოცხალს ძალუძს. «სულს შეუძლია გაიგოს მხოლოდ ის, რაც სულის მიერაა წარმოქმნილი.» გადასინჯავს რა მრავალგზის, გაგების საკუთარ კონცეფციას, დილთაი ან ყურადღებას ამახვილებს მის ინტუიტურ და, ამ თვალსაზრისით, ირაციონალურ ბუნებაზე, ან ხაზს უსვამს კავშირს ინტუიციურ გაგებასა და კონცეპტუალურ აზროვნებას შორის. ცდილობს გაათავისუფლოს საკუთარი კონცეფცია აშკარა ფსიქოლოგიზმისგან (Dilthey, 1996, p. 61). მოაზროვნე ყურადღებას ამახვილებს გაგების „ემპათიაზე“ (Einfühlung) დაუყვანლობის ფენომენზე, შემოაქვს „განცდის“ (Erlebnis) კონცეფციის გვერდით, „გამოხატვის“ (Ausdruck) და „მნიშვნელობის“ (Bedeutung) ცნებები და მიმართავს ჰეგელის «ობიექტური გონის» კონცეფციას (Dilthey, 1996, p. 66). ამ პერიოდის განმავლობაში, დილთაი განიხილავს გაგებას, როგორც „გამრავლებად განცდას“ (Nacherlebnis), რომელიც ეხება არა მხოლოდ ინდივიდუალურ ფსიქიკურ აქტებს, არამედ სფეროს, რომელიც არ დაიყვანება იდეალურ მნიშვნელობათა ცალკეულ სუბიექტებამდე (Dilthey, 1996, p. 66).

დილთაი აჯამებს ყოველივე ზემოთ თქმულს, გაგების სამი დონის მიხედვით: 1) ელემენტარული გაგება, რომელიც მომდინარეობს საერთო კავშირებიდან, რომლებიც დაბადებიდანვე გვზრდიან; 2) უმაღლესი კონცეპტუალური გაგება, რომელსაც ხელს უწყობს მეცნიერებები; და 3) ხელახალი გა-

მოცდილების, როგორც რეფლექსური მსჯელობის უმაღლესი გაგება. ელემენტარული გაგება ადგილობრივად არის გაზიარებული და წარმოადგენს უშუალო სახის საერთო ცოდნას. უმაღლესი გაგება მიზნად ისახავს უნივერსალურ კონკრეტურ თეორიათა შექმნას, რომლებიც დაგვეხმარება სამყაროს ფართო ანალიზში. საერთო მსჯელობა, რომელიც ამთავრებს გაგების პროცესს, ბადებს იმას, რასაც შეიძლება ეწოდოს „რეფლექსური ცოდნა“. ჰერმენევტიკის ინტერპრეტაციული ამოცანა შუამავლობაა გაგების ამ სამ დონეს შორის და იმაში დარწმუნება, რომ თითოეული დონისთვის შესატყვისი შეხედულებები არ იკარგება.

შლაიერმახერი გადამერის სქემაში

ფრიდრიხ შლაიერმახერისეული ჰერმენევტიკის გააზრებას, გადამერი „ჭეშმარიტება და მეთოდში“ დიდ ადგილს უთმობს. სწორედ ამ ტექსტში, შლაიერმახერის როლის შესახებ საინტერესო დაკვირვებას იძლევა:

ეს უფრო მეტია, ვიდრე ჰერმენევტიკული პრობლემის გაფართოება დაწერილის გაგებიდან ზოგადად მეტყველების გაგებამდე; ის ფუნდამენტურ ცვლილებას გვთავაზობს. ახლა უკვე გასაგები ხდება არა მხოლოდ ზუსტი სიტყვები და მათი ობიექტური მნიშვნელობა, არამედ მოსაუბრის თუ ავტორის ინდივიდუალობა. შლაიერმახერი თვლის, რომ ავტორის რეალურად გაგება შესაძლებელია მხოლოდ აზრის საწყისთან დაბრუნებით... ის, რაც მას „ყველაზე უგულბელყოფილად და დიდწილად უარყოფილად“ მიაჩნია არის „აზრთა თანმიმდევრობის გაგება, როგორც სიცოცხლის წარმოშობის ელემენტისა, როგორც ქმედებისა, რომელიც დაკავშირებულია ბევრ სხვასთან, თუნდაც სხვა სახეობის წარმომადგენელთან (Gadamer, 1989, p. 186).

გადამერის წაკითხვით, შლაიერმახერისეული ჰერმენევტიკის მიზანია ავტორის იმაზე უკეთ გაგება, ვიდრე თავად (ავტორს) ესმის საკუთარი თავი. ფორმულაში, რომელიც შემდგომ მრავალგზისაა გამოყენებული ცვალებადი ინტერპრეტაციების სახით, თითქოს მთელი თანამედროვე ჰერმენევტიკის ისტორიაა ჩატეული. გადამერის აზრით, შლაიერმახერი ხედავს გაგების აქტს, როგორც წარმოების რეკონსტრუქციას. ეს კი ძალაუვნებურად გვაიძულებს გავიზაროთ მრავალი ისეთი რამ, რაზეც მწერალს შესაძლოა ცნობიერად არც კი უფიქრია. გადამერისთვის, ეჭვგარეშეა, რომ აქ, შლაიერმახერი უსადაგებს გენიოსის ესთეტიკას თავის უნივერსალურ ჰერმენევტიკას (Gadamer, 1989, p. 191).

სინამდვილეში, გადამერის წაკითხვით, ამგვარად გაგებული შლაიერმახერისეული ფორმულა შეიძლება ზოგადად ფილოლოგიის ძირითად პრინციპად ჩაითვალოს, რამდენადაც ეს უკანასკნელი განიხილება, როგორც მხატვრული დისკურსის გა-

გების აქტი (Gadamer, 1989, p. 186). უკეთესი გაგება, რომელიც განასხვავებს ინტერპრეტატორს მწერლისგან, ეხება არა ტექსტის საგნის გაგებას, არამედ უბრალოდ ტექსტის გაგებას, სახელდობრ იმას, რასაც გულისხმობდა და გამოხატავდა ავტორი. ამ გაგებას შეიძლება ეწოდოს „უკეთესი“ იმდენად, რამდენადაც აზრის ექსპლიციტური, თემატური გაგება მისი შინაარსის აქტუალიზაციისგან განსხვავებით გულისხმობს უფრო მეტ ცოდნას. ამრიგად, წინადადება ამბობს რაღაც თითქმის თავისთავად ცხადს. ადამიანი, რომელიც სწავლობს ტექსტის გაგებას უცხო ენაზე, ნათლად აცნობიერებს გრამატიკულ წესებს და ლიტერატურულ ფორმებს, რომლებსაც ავტორი შეუმჩნევლად იცავდა, რადგან ის ცხოვრობდა ენაში და მისი მხატვრული გამოხატვის საშუალებებში (Gadamer, 1989, p. 186). იგივე ეხება შემომქმედი გენიოსის ყველა ნაწარმოებს და სხვების მიერ ამ ნაწარმოებთა მიღებას. ეს განსაკუთრებით უნდა გვახსოვდეს პოეზიის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით. იქაც საჭიროა პოეტის იმაზე უკეთესად გაგება, ვიდრე მას ესმოდა საკუთარი თავი, რადგან მას საერთოდ არ ესმოდა საკუთარი თავი, როცა მისი ტექსტის სტრუქტურამ ჩამოყალიბება დაიწყო მასში (Gadamer, 1989, p. 186).

გადამერისთვის, აქედან გამომდინარეობს ის ფაქტიც, რომელიც ჰერმენევტიკამ არასოდეს უნდა დაივიწყოს, რომ ხელოვანი, რომელიც რაღაცას ქმნის, არ არის ამ შექმნილის დანიშნული ინტერპრეტატორი. როგორც ინტერპრეტატორს, მას არ აქვს ავტორმატური უფლებამოსილება იმ ადამიანზე, რომელიც უბრალოდ იღებს მის ნაშრომს. რამდენადაც ის საკუთარ ნამუშევარზე ფიქრობს, საკუთარი თავის მკითხველი თავადაა. მნიშვნელობა, რომელსაც ის, როგორც მკითხველი, ანიჭებს საკუთარ ნაშრომს, არ ადგენს არანაირ სტანდარტს. ინტერპრეტაციის ერთადერთი სტანდარტი არის მისეული შემოქმედების განცდა, ის თუ რას „ნიშნავს“ ის. ამრიგად, გენიოსის შექმნის იდეა ასრულებს მნიშვნელოვან თეორიულ ამოცანას, რადგან ის არღვევს განსხვავებას ინტერპრეტატორსა და ავტორს შორის. იგი ლეგიტიმაციას უკეთებს იდენტიფიკაციას, რადგანაც ის რისი გაგებაც საჭიროა, ავტორის რეფლექსური თვითინტერპრეტაცია კი არ არის, არამედ ავტორისეული არაცნობიერი მნიშვნელობა. სწორედ ამას გულისხმობს შლაიერმახერი, გადამერის მოსაზრებით, თავის პარადოქსულ ფორმულაში (Gadamer, 1989, p. 192).

როგორც გარეგანი, ისე შინაგანი მიზეზების გამო, გადამერს, ეს ყოველივე ძალზე ნაკლებ სავარაუდოდ ეჩვენება. შლაიერმახერის დახვეწილი მეთოდოლოგიური ფორმულა, რომელიც დღესაც ხშირად გამოიყენება თვითნებური ინტერპრეტაციების ლიცენზიად და შესაბამისად თავდასხმათა ობიექტიცაა, გადამერის მოსაზრებით, არ შეესაბამება ფილოლოგიურ აზროვნებას. ავტორი ჰუმან-

ისტურ ტრადიციას იშველიებს და გვახსენებს, რომ „ჰუმანისტები“ ამაყობენ კლასიკურ ტექსტთა აბსოლუტური სანიმუშობის აღიარებით. ჭეშმარიტი ჰუმანისტისთვის, კლასიკური ავტორი, რა თქმა უნდა, არ არის ისეთი, რომ ინტერპრეტატორმა ამტკიცოს, თითქოს ნაწარმოები უკეთ ესმის ვიდრე თავად ავტორს. გადამერი შეგვახსენებს, რომ ჰუმანისტის უმაღლესი მიზანი თავდაპირველად არ ყოფილა თავიანთი მოდელების „გაგება“, არამედ მათი მიბაძვა ან თუნდაც მათი გადამეტება. აქედან გამომდინარე, ის თავდაპირველად დავალებული იყო თავისი მოდელებისგან, არა მხოლოდ როგორც ინტერპრეტატორი, არამედ როგორც მიმბაძველი და შესაძლოა მეტოქეც კი. აქედან გამომდინარე, გადამერი ხაზს უსვამს ერთ საინტერესო გარემოებას:

შლაიერმახერის ფორმულა, როგორც მას ის ესმის, აღარ ეხება განსახილველ საკითხს; უფრო მეტიც, იმას, რასაც ტექსტი ამტკიცებს, ის განიხილავს, როგორც თავისუფალ ნაწარმოებს და უგულვებლყოფს მის შინაარსს, როგორც ცოდნას. შესაბამისად, ის აგებს იმგვარ ჰერმენევტიკას, რომელიც მისთვის ყოველივე იმის გაგებას გულისხმობს, რაც ენაში და ენის მიერაა გადმოცემული, თავად ენის ნორმატიული მაგალითის მიხედვით. პიროვნების მეტყველება სინამდვილეში თავისუფალი შემოქმედებითი საქმიანობაა, თუმცა მისი შესაძლებლობები შეზღუდულია იმ ფიქსირებული ფორმებით, რაც ენამ მიიღო. ენა გამოხატველობითი სფეროა და მისი პრიმატი ჰერმენევტიკის სფეროში შლაიერმახერისთვის ნიშნავს იმას, რომ, როგორც ინტერპრეტატორი, ტექსტებს, მათ მიერ, ჭეშმარიტების მტკიცებისგან დამოუკიდებლად, წმინდა ექსპრესიულ (გამომხატველ) ფენომენად განიხილავს (Gadamer, 1989, p. 196).

გადამერისთვის, შლაიერმახერისეული ჰერმენევტიკა, ფაქტობრივად, მხედველობაში იღებდა ტექსტებს, რომელთა ავტორიტეტიც უდავო იყო. ეჭვგარეშა, რომ ეს ყოველივე მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო ისტორიული ცნობიერების განვითარების გზაზე, რომ გაგება და ინტერპრეტაცია – როგორც ბიბლიის, ისე კლასიკური ანტიკური ლიტერატურის – სწორედ შლაიერმახერის მეშვეობით, სრულიად მოწყდა ყოველგვარ დოგმატურ ინტერესს. თუმცაღა, გადამერის მოსაზრებით, ინტერესი, რამაც შლაიერმახერის მეთოდოლოგიური აბსტრაქციის პროცესი დაბადა იყო არა ისტორიკოსისგან, არამედ თეოლოგისგან წამოსული ინტერესი. გადამერის ნაკითხვით, შლაიერმახერი ცდილობდა ესწავლებინა, თუ როგორ უნდა გაგებულყოფიერ მეტყველება და წერილობითი ტრადიცია, რადგან თეოლოგია ეხებოდა ერთ კონკრეტულ ტრადიციას, ბიბლიას. ამ მიზეზით, მისი ჰერმენევტიკული თეორია ჯერ კიდევ შორს იყო ისტორიოგრაფიისგან, რომელიც გადამერის აზრით, შესაძლოა მეთოდოლოგიური ორგანონის როლს ირგებდეს ჰუმანიტარულ მეცნიერებებში. შლაიერმახერის მი-

ზანი, გადამერისთვის, იყო კონკრეტული ტექსტების ზუსტი გაგება, რომელშიც ავტორს უნდა დახმარებოდა ისტორიული კონტექსტების უნივერსალურობა. ეს არის შლაიერმახერის შეზღუდვა და გადამერის აზრით, ისტორიული მსოფლმხედველობა მას უნდა გასცდენოდა (Gadamer, 1989, p. 193-196).

დილთაის გადამერისეული რეცეფცია

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ გადამერისთვის, მე-19 საუკუნის ფილოლოგიური ნოვაციები გზას აგებენ დილთაისთვის „სიცოცხლის ფილოსოფიის“ გასავითარებლად. დილთაის გადამერისეულ რეცეფციაზე გადასასვლელად გამოგვადება დაკვირვება, რომელსაც გადამერი „ჭეშმარიტება და მეთოდში“ იძლევა. კერძოდ ის წერს, რომ:

ის, რაც დილთაის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს და განასხვავებს მას ნეოკანტიანელებისგან, რომლებიც ცდილობდნენ ჰუმანიტარული მეცნიერებების ჩართვას კრიტიკული ფილოსოფიის განახლებაში, არის ის, რომ მას არ ავინყდება, რომ ამ შემთხვევაში გამოცდილება სრულიად განსხვავებულია იმისგან, რაც ბუნების კვლევის პროცესში გვაქვს სახეზე. ამ უკანასკნელში, ყველაფერი, რაც მნიშვნელოვანია, არის გადამონმებადი აღმოჩენები, რომლებიც წარმოიქმნება გამოცდილებიდან - ანუ ის, რაც შორდება ინდივიდის გამოცდილებას და წარმოადგენს ექსპერიმენტული ცოდნის სანდო მარაგის ნაწილს. ნეოკანტიანელებისთვის ამ „ცოდნის ობიექტის“ კატეგორიული ანალიზი ტრანსცენდენტული ფილოსოფიის პოზიტიური მიღწევა იყო (Gadamer, 1989, p. 216).

გადამერი განაგრძობს დილთაის მნიშვნელობაზე საუბარს და აღნიშნავს, რომ:

დილთაის მიერ ჰუმანიტარული მეცნიერებების ეპისტემოლოგიური დასაბუთების გადამწყვეტი ნაბიჯი არის ინდივიდის გამოცდილების თანმიმდევრულობის სტრუქტურიდან გადასვლა ისტორიულ თანმიმდევრულობაზე, რომელიც საერთოდ არ განიცდის არცერთ ინდივიდს. აქ - სპეკულაციის მთელი კრიტიკის მიუხედავად - აუცილებელია «ლოგიკური საგნების» მოთავსება «რეალური სუბიექტების» ნაცვლად. დილთაი აცნობიერებს ამ სიძნელეს, მაგრამ მას დასაშვებად თვლის, რადგან ინდივიდების ერთობლიობა - როგორც ერთი თაობის ან ერთი ერის სოლიდარობა - წარმოადგენს სულიერ რეალობას, რომელიც ასეთად უნდა იქნას აღიარებული ზუსტად იმიტომ, რომ შეუძლებელია მისთვის გვერდის ავლა, მისი ახსნის მიზნით. მართალია, ეს არ არის რეალური თემა; რაც საკმარისად ნათელია მისი საზღვრების სიმყიფიდან გამომდინარე. უფრო მეტიც, ინდივიდები ჩართულნი არიან მასში მხოლოდ მათი არსების ნაწილით, თუმცა, დილთაისთვის ეჭვგარეშეა, რომ ამ სახის თემებზე (საგნებზე) შესაძლებელია განცხადებების გაკეთება. ისტორიკოსი გამუდმებით აკეთებს ამას, როცა საუბრობს ხალხთა საქმეებსა და ბედზე.

საკითხავია უბრალოდ, როგორ შეიძლება გამართლდეს ეპისტემოლოგიურად ასეთი განცხადებები (Gadamer, 1989, p. 219).

გადამერისთვის, ჰეგელის რაციონალური იდეალიზმის დილთაისეული კრიტიკა მხოლოდ მისი კონცეპტუალური სპეკულაციის აპრიორიზმს ეხებოდა. ფუნდამენტურ დონეზე, ის არ თაკილობდა გონების შინაგან უსასრულობას, რადგან მას პოზიტიურად განსხვავებულს ხედავდა ისტორიულად განათლებული გონის იდეაში, რომელიც მომწიფებას განიცდის, გენიოსის ფიგურაში, რომელსაც ყოველივეს შემეცნების უნარი აქვს. დილთაისთვის, სასრულობის გაანალიზება არ ნიშნავს იმას, რომ ცნობიერება იყო შექმნილი სასრული ან რაიმე სახით ლიმიტირებული ფორმით. უფრო მეტად, ეს გაცნობიერება ერთგვარი მოწმე ხდება სიცოცხლის უნარისა ამაღლდეს, ენერჯის თუ ქმედების სახით, ყველანაირ საზღვრებზე მაღლა. ამ ყოველივედან გამომდინარე, ის განასახიერებს უპირველეს ყოვლისა, გონების პოტენციურ უსასრულობას - თუმცა, უსასრულობა არა სპეკულაციის, არამედ ისტორიული გონის სახით განიცდის რეალიზაციას. ისტორიული გაგება ფართოვდება, მოიცავს რა ყველა ისტორიულ მონაცემს, შედეგად კი ჭეშმარიტად უნივერსალურია, რადგან მას აქვს მყარი საფუძველი გონების შინაგან მთლიანობასა და უსასრულობაში. აქ დილთაი მიჰყვება ძველ თეორიას, რომ გაგება შესაძლებელია ადამიანის ბუნების ერთგვაროვნების გამო. ის ხედავს ინდივიდის გამოცდილების პირად სამყაროს, როგორც ამოსავალ წერტილს განვრცობისთვის, რომელიც ცოცხალ ტრანსპოზიციში ავსებს მისი პირადი გამოცდილების სივრცეებსა და შემთხვევითობას, იმ უსასრულობით, რომელიც ხელმისაწვდომი ხდება ისტორიული სამყაროს ხელახალი გამოცდილებით ფორმით. ამრიგად, მისთვის გაგების უნივერსალურობის საზღვრები, რომლებიც განპირობებულია ჩვენი არსების ისტორიული სასრულობით, მხოლოდ სუბიექტური ბუნების შეიძლება იყოს (Gadamer, 1989, p. 222).

შლაიერმახერსა და დილთაის მეთოდებს შორის ერთგვარი ბმის სახით, გადამერი შენიშნავს, რომ შლაიერმახერისეული ჰერმენევტიკული მოდელი დგას კონვენციური სახის გაგებაზე, რომლის მიღწევაც შესაძლებელია მე-შენ შორის ურთიერთობაში. ტექსტები ისევე ექვემდებარება სრულ გაგებას, როგორც „შენ“ მე-შენ გაგების დროს. ავტორისეული აზრი უშუალოდ მისი ტექსტიდან შეიძლება იქნეს გაგებული. ამ ვითარებაში, ინტერპრეტატორი აბსოლუტურად თანადროულია თავის ავტორთან. ეს გახლავთ ფილოლოგიური მეთოდის ტრიუმფი - წარსულის გონების გაგება ისე თითქოს ეს წარსული ანმყო იყოს, უცნაურის, როგორც ნაცნობის გაგება. გადამერის აზრით, დილთაი ღრმად განიცდის შლაიერმახერისეული მეთოდოლოგიის მიერ მოტანილ ამ ტრიუმფს და ამ მიდგომას ჰუმანიტარულ მეცნი-

ერებათა თანასწორობის გასამართლებლად იყენებს, ბუნების მეცნიერებებთან მიმართებით. დილთაისეული პერსპექტივიდან, ზუსტად ისე, როგორც ეს უკანასკნელი იკვლევს ყოველთვის არსებულ საგანს იმ ინფორმაციის ამოსაკითხად, რაც მას ესაჭიროება ამ საგნისგან, ჰუმანიტარი სწავლულიც კითხულობს ტექსტებს, ერთგვარი დაკითხვის მიზნით. დილთაის მიაჩნდა, რომ იგი აკანონებდა ჰუმანიტარულ მეცნიერებებს ეპისტემოლოგიურად, ისტორიული სამყაროს როგორც გასაშიფრი ტექსტის მოაზრების მეშვეობით (Gadamer, 1989, p. 224).

დილთაის სწრაფვა ობიექტურად ვალიდური ინტერპრეტაციისკენ, მომდინარეობს სწორედ მისეული ამ მიდგომიდან, ეპისტემოლოგიური გამართლება მოუძებნოს ჰუმანიტარულ მეცნიერებებს. როგორც გადამერი შენიშნავს: „მისდევს რა დეკარტის მიერ *res cogitans*-ის ფორმულირებას, დილთაი განსაზღვრავს გამოცდილების ცნებას რეფლექსურობის ფენომენით, შინაგანის მეშვეობით და ყოფნის ამ სპეციფიკური მოდუსის საფუძველზე იგი ცდილობს ააგოს ისტორიული სამყაროს ეპისტემოლოგიური დასაბუთების პროექტი“ (Gadamer, 1989, p. 230).

თუმცაღა, გადამერის აზრით, ეს იმაზე მეტყველებს, რომ დილთაისთვის ისტორიული ცოდნა/ამ ცოდნის გამოყენება შესაძლებელია მასზე (ცოდნაზე) რაიმე სახის დამატებითი ინტერპრეტაციის განხორციელების გარეშე. როგორ შეიძლება წარმართოს ეს პროცესი? ერთგვარ ტრანსპოზიციულ ფორმად, ისტორიული ტექსტის გაშიფრვის აქტის სახით. თუმცაღა, გადამერის თვალში, დილთაის მიერ კარტეზიანული საწყისი წერტილის გამოყენება უპრობლემო გადაწყვეტილებას როდი უდრის. გადამერის წაკითხვით, დილთაი, დარწმუნებულობის არქიმედესეულ საწყის წერტილზე დაფუძნებით, კიდევ ერთხელ, აჩვენებს მის დამოკიდებულებას იმისადმი, რასაც ჟან გრონდინი „მეცნიერულ პარადიგმას“ უწოდებს (Grondin, 1993, p. 84). სახელდობრ, ჰუმანიტარულ მეცნიერებებთან მიახლოების ამ მეთოდის გამოყენებით, დილთაი ცდილობს შეინარჩუნოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებებათა დასაბუთების ფორმა მათი დასკვნების გამო და, ამავე დროს, განასხვავოს თავისი ფილოსოფია საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისგან. ამ ფორმით, ის ფაქტობრივად არღვევს საზღვრებს ჰუმანიტარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს შორის. მაგრამ, გადამერისთვის, დილთაი აქ ფუნდამენტური სახის დილემას ეჯახება: თუკი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა გამართლება შესაძლებელია ზუსტად ისე, როგორც საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა, საერთოდ რატომ ხდება საჭირო მათი გამიჯვნა? გადამერის მოსაზრებით, დილთაის არ აქვს ამ კითხვაზე ადეკვატური პასუხი.

მეორე, გადამერის ხედვით, კარტეზიანული საწყისი წერტილით და თავისთავად ცხადი დარწმუნების საჭიროებით, რომელიც შესაძლოა რომ თან

სდევდეს ეპისტემოლოგიურ დაფუძნებას, იხსნება გზა სუბიექტი-ობიექტის დიქტომიისთვის. სუბიექტს ესაჭიროება ისტორიისგან განშორება, რათა შეძლოს საერთო წარმოდგენა ჰქონდეს იმის შესახებ, თუ რა არის ისტორია. გადამერის პერსპექტივაში, დილთაისთვის ის, რაც ქმნის და იაზრებს სიცოცხლეს, ისტორიული ინდივიდები არიან. რამდენად აღმოიფხვრება ამგვარად კარტეზიანული პრობლემატიკა, გადამერის აზრით რთული დასაწახია. ადამიანს, რომელიც სიცოცხლეშია, არ ძალუძს ისტორიის სრულად ახსნა, ან რაიმე კონკრეტული ტექსტის, როგორც ისტორიული ობიექტის გაგება, რადგან ისტორია ყალიბდება და მუდმივად იცვლება. თუკი პიროვნება სრულად ისტორიული არსებაა, მაშინ გადამერისეულად, მნიშვნელობა/საზრისი ყოველთვის ტემპორალურ კონტექსტში უნდა იქნეს გაგებული. ნებისმიერი გარკვეული სახის ცოდნა უნდა გახდეს აბსოლუტური ფორმის, შეცდომის ან არასწორი ინტერპრეტაციისგან თავისუფალი. ამგვარი პრეტენზია კი, გადამერის მოსაზრებით, არ აკმაყოფილებს დილთაის სიცოცხლისეული გამოცდილების კონცეპტის კრიტერიუმებს. მაშ, საიდან მოდის ეს ცოდნა? თუკი კარტეზიანული საწყისი წერტილი მიღებულ იქნა როგორც ქვამარტი, თავად სიცოცხლის სტრუქტურაში უნდა მოხდეს რაღაც ისეთის გაჩენა, რაც ყოველგვარი ისტორიული ცნობიერების მიღმა იარსებებს. როგორც გადამერი შენიშნავს:

იმ ფაქტს, რომ სასრული, ისტორიული ადამიანი მიბმულია კონკრეტულ დროსა და ადგილზე, დილთაი არ მიიჩნევდა, ჰუმანიტარულ მეცნიერებებში შემეცნების შესაძლებლობის რაიმე სახის ფუნდამენტურ წინააღობად. ისტორიული ცნობიერება უნდა ამაღლებულიყო საკუთარ ფარდობითობაზე ისე, რომ შესაძლებელი გაეხადა ობიექტურობა ჰუმანიტარულ მეცნიერებებში. ჩვენ შეიძლება ვიკითხოთ, როგორ შეიძლება ამგვარი მტკიცების გამართლება, იმის დაშვების გარეშე, რასაც აბსოლუტური, ფილოსოფიური ცოდნის კონცეპტი წარმოადგენს, რომელიც ყოველგვარი ისტორიული ცნობიერების მიღმაა (Gadamer, 1989, p. 234).

ამგვარად კი, გადამერისთვის იქმნება ჩიხი: ან არ არსებობს გზა, რომ მივიღოთ ობიექტურად ცხადი ცოდნა მოცემული ინტერპრეტაციის შესახებ სიცოცხლის კონცეფციის მეშვეობით, როგორც ეს დილთაიმ ჩამოაყალიბა, ან დილთაის ზოგადი ძიება სრულებით ამაოდ უნდა გამოვაცხადოთ. ორივე გზა, გადამერის აზრით, დამანგრეველია დილთაის ფილოსოფიისთვის (Gadamer, 1989, p. 229).

კიდევ ერთი წინააღმდეგობა არის ის, რომ დილთაის ფილოსოფია შეიცავს იდეალისტური ფილოსოფიის ძალზე ბევრ ნარჩენს, რომელიც ზედმეტადაა ორიენტირებული შინაგანზე: „ამგვარად კი, ისტორიული ცნობიერებისთვის ზოგადად ტრადიცია ხდება ადამიანის გონების შეხვედრის ასპარეზი

საკუთარ თავთან“ (Gadamer, 1989, p. 229). შინაგანზე ასეთი აქცენტით, ყოველთვის არის შესაძლებლობა გადაიჩეხო იდეალისტურ სოლიფსიზმში, რომელიც გადამერის აზრით, დილთაის კონცეფციაში „სიცოცხლის“ ცნების საბურველის ქვეშ ხდება შესაძლებელი. მხოლოდ გამოცდილების ცნებაზე გადამეტებული აქცენტით თუ ახერხებს დილთაი ამ ჩიხიდან თავის დაღწევას, თუმცაღა, სუბიექტი-ობიექტის დიქტომია, რომელიც დილთაისთან ჩნდება, გაგების როლს, ამ გამოცდილებაში, კიდევ უფრო მგრძობიარეს ხდის ამ კონკრეტული პრობლემის (სოლიფსიზმის) მიმართ (Gadamer, 1989, p. 239 - 243).

თავის მხრივ, არც ისტორიის ადგილი და როლია გადამერისთვის, დილთაის პოზიციში კონცეპტუალური პრობლემებისგან თავისუფალი. მისთვის ისტორია ტექსტის ანალოგიური მოვლენაა, რომელიც განმარტებას, გაშიფვრას საჭიროებს. ამ თვალსაზრისით, ისტორია გარდაისახება ინტელექტუალურ აქტივობად, რაღაც ისეთად, რაც არასწორი ინტერპრეტაციის გადასალახად, მეთოდს საჭიროებს. დილთაი ჰერმენევტიკის იმ თეორიის ტყვეობაში რჩება, რომლის მიხედვითაც ქვეშარტება უბრალოდ ინტერპრეტაციული ცდომილების არარსებობაა და რომ ის შეიძლება გაიხსნას, მხოლოდ იმით თუკი უკეთესი ინტერპრეტაციებისგან განვარდობთ სვლას, სანამ ყველას არ ამოვწურავთ (Gadamer, 1989, p. 241).

ეს გახლდათ ინდუქციური და არა „ისტორიული“ პროცედურა, ამ სიტყვის ღრმა და ფუნდამენტური გაგებით, რომლის დროსაც ისტორიულობამ უცილობლად უნდა იმოქმედოს სიცოცხლისეულ გამოცდილებაში, თუკი ის ცნობიერების ქვეშარტად ტემპორალური აქტია. გადამერისთვის: „ინდუქციური პროცედურის დილთაისეული ცნება, რომელიც ბუნების მეცნიერებებიდან იქნა ნასესხები, არ არის ადეკვატური. რასაც ისტორიული გამოცდილება გულისხმობს, ფუნდამენტური სახით, არ გახლავთ პროცედურა, ის არ ფლობს მეთოდისეულ ანონიმურობას“ (Gadamer, 1989, p. 241).

გამოდის, რომ გადამერის ნაკითხვით, დილთაიმ ვერ მიაღწია იმ საბოლოო მიზნებს, რაც მას დასახული ჰქონდა ფილოსოფიასა და ჰერმენევტიკულ მეთოდოლოგიაში. მისი მიმართება საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისადმი, როგორც ერთგვარი გზამკვლევისადმი იმაში, თუ რა შეიძლება იყოს გამართლებული როგორც ქვეშარტი, კიდევ ერთხელ აშორებს მას ფილოსოფიის როგორც დისციპლინის უფრო ფუნდამენტური სახის დაფუძნებისგან (Gadamer, 1989, p. 241). გადამერის მოსაზრებით, დილთაის ჰერმენევტიკის თეორიიდან გამომდინარეობს გაგების ობიექტურობის მიღწევის აუცილებლობა. მას სურს აჩვენოს, რომ ჰერმენევტიკაში შეიძლება არსებობდეს საყოველთაოდ მართებული ინტერპრეტაციის შესაძლებლობა, რომელიც დაფუძნებულია ზოგადად გაგების ანალიზზე.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ გადამერის პრიზმაში, დილთაის ძირითადი სურვილია, ჰუმანიტარულ მეცნიერებებში, ნებისმიერი სახის ვალიდურობის საზღვრებისა და შესაძლებლობების ჩვენება (Gadamer, 1989, p. 241). ამ მიზნის შესრულებისას კი, საბოლოო ჯამში, მასთან, ჰუმანიტარული მეცნიერებები გაცილებით მეტად უახლოვდებიან საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს გაგების მითაცება-მითვისების სქემაში. სწორედ აქ შორდება მომავალი ჰერმენევტიკა, განსაკუთრებით ჰაიდეგერი და გადამერი დილთაის.²⁰ თუმცაღა, მიუხედავად იმისა, რომ ისინი არ იზიარებენ დილთაის იდეებს ჰერმენევტიკასთან დაკავშირებით, მისი ისტორიის თეორიის მნიშვნელობა და დაჯინებული მოთხოვნა გაგებისა და ინტერპრეტაციის ცენტრალურ როლის აღიარებაზე, კრიტიკულად მნიშვნელოვანი რჩება (Gadamer, 1989, p 229).

ისტორიული ცნობიერება და ზოგადი ჰერმენევტიკის სტატუსი არსობრივ პრობლემებად გარდაქმნიებიან გვიანდელი ფილოსოფოსებისთვის. როგორც ნაჩვენებ იქნა, უმთავრესი ნაკლი დილთაის ჰერმენევტიკაში ეპისტემოლოგიური დაფუძნების საჭიროებაა, რაც სუბიექტი-ობიექტის დიქტომიისთვის ხსნის გზას. როგორც ჰაიდეგერი, ისე გადამერი ამ პრობლემათა თავიდან ასაცილებლად, ჰერმენევტიკის რადიკალიზაციას ახორციელებენ, უკუაგებენ რა კარტეზიანულ ელემენტს დილთაის აზროვნებაში.²¹

²⁰ მარტინ ჰაიდეგერი, დილთაისგან განსხვავებით, რომელიც ზოგადად იზიარებდა საბუნებისმეტყველო მეცნიერების ნორმატიულ მოთხოვნებს, მეცნიერებას მხოლოდ წარმოებული ფენომენის სახით ინტერპრეტირებს. პირველად ფენომენს კი მისთვის გაგება წარმოადგენს. უფრო მეტიც, ამ კონცეფციის შინაარსი რადიკალურად იცვლება ჰაიდეგერთან ერთად. თუკი დილთაისთვის გაგება ერთგვარი ემპათიური პროცედურაა, რომელიც ბუნების მეცნიერებისთვის დამახასიათებელი ახსნის საპირისპიროა და, გამომდინარეობს რა თვითდაკვირვებიდან, ინტროსპექციიდან, ერთგვარად სხვაში „შეგრძნებას“ მოიაზრებს, ჰაიდეგერისთვის ფსიქოლოგიური გაგება დაუსაბუთებელი და არასაკმარისი მოცემულობაა. „ყოფიერება და დრო“-ში (1927) ჰაიდეგერი სვამს საკითხს სამყაროს „სინამდვილის“ შესახებ, რომელიც, როგორც „გარს მყოფი სამყარო“, არსებითად ეკუთვნის თავად ადამიანს (შდრ. მარტინ ჰაიდეგერი, ყოფიერება და დრო, მთარგმნელი გურამ თევზაძე, გამომცემლობა „Carpe diem“, თბილისი 2019. გვ. 285-333). ჰაიდეგერი ერთ-ერთი პირველია, ვინც აუშავებს თავად საგნებისაკენ მიმართების თემს და სახს უსვამს ამგვარი მიპყრობა-მიმართების პრაქტიკულ სასიათს. სამყაროს საგანთა თეორიული ხელმისაწვდომობისგან (Vorhandensein) განსხვავებით, ჰაიდეგერი წინ წამოსწევს საგანთა მზადყოფნის იდეას, მათი შესაძლო პრაქტიკული ხელმისაწვდომობისათვის (Zuhandensein). საგნების გარდა, ზრუნვითი მიმართების ქვეშ, ჰაიდეგერთან ექვევა ში-ყოფნა (In-sein), რაც გულისხმობს, რომ ადამიანის წარმოდგენა სამყაროსგან ფუნდამენტურად იზოლირებულ შემცენების სუბიექტად, რომელიც მხოლოდ მოგვიანებით შეიცნობს სამყაროს/ობიექტს, შეუძლებელი ხდება. კონკრეტული ადამიანი-მეცნიერებას“ მოიაზრებს, ჰაიდეგერისთვის ფსიქოლოგიური გაგება დაუსაბუთებელი და არასაკმარისი მოცემულობაა. „ყოფიერება და დრო“-ში (1927)

²¹ მარტინ ჰაიდეგერი, დილთაისგან განსხვავებით, რომელიც ზოგადად იზიარებდა საბუნებისმეტყველო მეცნიერების ნორმატიულ მოთხოვნებს, მეცნიერებას მხოლოდ წარმოებული ფენომენის სახით ინტერპრეტირებს. პირველად ფენომენს კი მისთვის გაგება წარმოადგენს. უფრო მეტიც, ამ კონცეფციის შინაარსი რადიკალურად იცვლება ჰაიდეგერთან ერთად. თუკი დილთაისთვის გაგება ერთგვარი ემპათიური პროცედურაა, რომელიც ბუნების მეცნიერებისთვის დამახასიათებელი ახსნის საპირისპიროა და, გამომდინარეობს რა თვითდაკვირვებიდან, ინტროსპექციიდან, ერთგვარად სხვაში „შეგრძნებას“ მოიაზრებს, ჰაიდეგერისთვის ფსიქოლოგიური გაგება დაუსაბუთებელი და არასაკმარისი მოცემულობაა. „ყოფიერება და დრო“-ში (1927)

დასკვნის სახით

წარმოდგენილი მასალის დახმარებით, თვალსაჩინო გახდა, რომ მიუხედავად შლაიერმახერის და დილთაის პოზიციათა გადამერისეული კრიტიკისა, მისი საკუთარი თვალსაზრისი დიდწილად პრობლემის შლაიერმახერისეულ-დილთაისეული კოორდინატებითაა განსაზღვრული. შლაიერმახერის შეზღუდვა გადამერისთვის, კონკრეტულ ტექსტთა ზუსტ გაგებაში უნდა ვეძიოთ, რომელშიც ავტორს ისტორიულ კონტექსტთა უნივერსალურობა ერთგვარ დამხმარედ ესახება, თუმცაღა, როგორც ვნახავთ, გადამერის მიერ, ჰერმენევტიკის დიალოგურ მოდელამდე დაყვანაში ცხადად შლაიერმახერის მოტივები იკითხება. გარდა ამისა, გადამერისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კითხვა – საკითხი ტექსტის საგნობრივ-პრობლემური და ავტორისეული მნიშვნელობის განსხვავების შესახებ, ასევე დადსამულია შლაიერმახერის მიერ შეკითხვის ფორმულირებით, ხოლო გადამერისეული მცდელობა გადალახოს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მეთოდოლოგიზმი, დილთაის კონცეფციაშია ფესვადგმული, მიუხედავად დილთაის პროექტის მისეული კრიტიკისა, რომელშიც ჰუმანიტარული მეცნიერებები გაცილებით მეტად უახლოვდებიან საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს გაგების აქტის ერთგვარი მითვისების პროცესში.

ლიტერატურა

- ჰაიდეგერი, მ. (2019). *ყოფილება და გიო*, მთარგმნელი გურამ თევზაძე, გამომცემლობა „Carpe diem“, თბილისი
- Dilthey, W. (1989). *Introduction to the Human Sciences, Selected Works, vol. 1*, eds. R. A. Makkreel & F. Rodi, Princeton: Princeton University Press
- Dilthey, W. (1996). *Hermeneutics and the Study of History, Selected Works, vol. 4*, eds. R. A. Makkreel & F. Rodi, Princeton: Princeton University Press
- Gadamer, H. G. (1989). *Truth and Method*. New York: Continuum
- Grondin, J. (1993). *Introduction to Philosophical Hermeneutics* (New Haven: Yale University Press)
- Schleiermacher, F. (1998). *Schleiermacher: Hermeneutics and Criticism: And Other Writings*. Edited by Andrew Bowie. Cambridge Texts in the History of Philosophy. Cambridge: Cambridge University Press
- Schleiermacher, F. (1978). *The Hermeneutics: Outline of the 1819 Lectures*. New Literary History 10, no. 1

ჰაიდეგერი სვამს საკითხს სამყაროს „სინამდვილის“ შესახებ, რომელიც, როგორც „გარს მყოფი სამყარო“, არსებითად ეკუთვნის თავად ადამიანს (შდრ. მარტინ ჰაიდეგერი, *ყოფილება და გიო*, მთარგმნელი გურამ თევზაძე, გამომცემლობა „Carpe diem“, თბილისი 2019. გვ. 285-333). ჰაიდეგერი ერთ-ერთი პირველია, ვინც აუშავებს თავად საგნებისაკენ მიმართების თემას და ხაზს უსვამს ამგვარი მიპყრობა-მიმართების პრაქტიკულ ხასიათს. სამყაროს საგანთა თეორიული ხელმისაწვდომობისგან (Vorhandensein) განსხვავებით, ჰაიდეგერი წინ წამოსწევს საგანთა მზადყოფნის იდეას, მათი შესაძლო პრაქტიკული ხელმისაწვდომობისათვის (Zuhandensein). საგნების გარდა, ზრუნვითი მიმართების ქვეშ, ჰაიდეგერთან ექცევა მი-ყოფნა (In-sein), რაც გულისხმობს, რომ ადამიანის წარმოდგენა სამყაროსგან ფუნდამენტურად იზოლირებულ შემეცნების სუბიექტად, რომელიც მხოლოდ მოგვიანებით შეიცნობს სამყაროს/ობიექტს, შეუძლებელი ხდება. კონკრეტული ადამიანი/მუნყოფნა (Dasein) - სამყაროში თავდაპირველი ყოფნა, შესაბამისად, ადამიანი სამყაროსთან მისეული მიმართების გარეშე ვერ იარსებებდა.

საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია და საბჭოთა რელიგიური პოლიტიკა (XX საუკუნის 50-იანი წლები)

THE ORTHODOX APOSTOLIC CHURCH OF GEORGIA AND SOVIET RELIGIOUS POLICY (50S OF XX CENTURY)

ნინო გურჩიანი შმ.ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი
Nino Gurchiani St. Andrews Georgian University

<https://orcid.org/0009-0006-7546-9219>

საკვანძო სიტყვები: საბჭოთა ათეიზმი, რელიგიური პოლიტიკა, მართლმადიდებელი ეკლესია
Keywords: Soviet atheism, religious policy, orthodox church

ABSTRACT

The Apostolic Orthodox Church of Georgia has been an integral part of Georgian statehood and has maintained its significance throughout various historical periods. Despite numerous scientific works on the Church of Georgia, the study of the Soviet Union's ideology and its relationship with the Apostolic Church of Georgia remains relevant today. The Soviet system, with its socialist structure, opposed the national church in every aspect because its leaders understood that eliminating religious beliefs and ideas would facilitate the formation of a unified Soviet people. The establishment of the communist regime in Europe popularized and spread anti-religious ideology. Governing nations with different religious denominations became easier if their faiths were declared utopian. Communist ideologues claimed that communism itself was a new kind of faith, distinct from religion. Various studies have explored the history of the Apostolic Orthodox Church of Georgia, focusing on the relationship between the church and the state and the influence of political ideologies on these relations. The objectivity of Georgian Soviet historiography was compromised, preventing an open presentation of the Apostolic Orthodox Church's situation in Soviet Georgia and its struggle for independence. The political regime of the time dictated this bias. The study of the Church's history entered a new phase in the 19th century with the publication of Plato Ioseliani's *A Brief History of the Church of Georgia* in 1845. Research became more active in the early 20th century, particularly concerning the restoration of the Church's autocephaly. Notable works

by Georgian researchers include: Metropolitan Anania Japaridze: *History of the Apostolic Church of Georgia* (Vol. IV, Tbilisi 2003), *Church Councils of Georgia* (Vol. III, Tbilisi 2003), *History of the Apostolic Church of Georgia* (Tbilisi 2009), *Georgia: Collection of Church Laws* (Tbilisi 2010). Sergo Vardosanidze: *Centennial Chronicle of the Georgian Orthodox Apostolic Church (1917-2017)* (Tbilisi 2017), *Georgian High Priests in the 20th-21st Centuries* (Tbilisi 2010). Akaki Varazashvili: *Some Issues of the History and Autocephaly of the Church of Georgia* (Tbilisi 1999). Ketevan Pavliashvili: *History of the Apostolic Church of Georgia: 1800-1945* (Tbilisi 2008), *Georgian Orthodox Church in the 1930s-1940s* (Tbilisi 2002). Vakhtang Toradze: *History of the Orthodox Church of Georgia* (Tbilisi 2006). Givi Rogava: *How They Fought Against Religion and the Church in Georgia (1920s-1930s)* and *Religion and Church in Georgia (19th-20th Centuries)*. Eka Silagadze: Dissertation, *History of the Union of Militant Godless in Georgia 1928-1947*. These studies have provided deeper insights into the challenges faced by the Apostolic Orthodox Church of Georgia and have encouraged further research. This research focuses on the 1950s, a period that has not yet been studied comprehensively. The goal is to highlight the indicators of Soviet atheism and its impact on Georgian society and church life. The 20th century was marked by numerous political events that significantly influenced both secular and religious life. The history of the Apostolic Orthodox Church of Georgia is deeply intertwined with the nation's statehood. The continued study of its past, especially during the Soviet era, is essential for understanding the broader socio-political and religious dynamics in Georgia.

საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიის შესწავლის საკითხს არაერთი ნაშრომი მიეძღვნა. მკვლევართა ინტერესს მოკლებული არ იყო ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობა, პოლიტიკური იდეოლოგიების გამოცხადილი ამ ურთიერთობებში. უნდა აღნიშნოს ისიც, რომ ეკლესიის ისტორიის შესწავლა, ამ ურთიერთობების გაშუქება, სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვანაირად ხდებოდა. კერძოდ, უცხოური და საბჭოთა ისტორიოგრაფია სხვადასხვა მიდგომებით განიხილავდა ეკლესიის ისტორიის საკითხებს, მის როლს პირველსა თუ მეორე მსოფლიო ომში და ასე შემდეგ. აღნიშნული მიდგომარეობა განპირობებული იყო იმ საერთო პოლიტიკური წყობიდან, რომელ ეპოქაშიც უხდებოდა მკვლევარს მოღვაწეობა.

ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფია მოკლებული იყო ობიექტურობას, ღიად და დაუფარავად ვერ წარმოაჩენდა საბჭოთა საქართველოში სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის მდგომარეობას, მისი მისწრაფებას და ბრძოლას თავისთავადობის გადარჩენისათვის. ასეთი ვითარება განპირობებული იყო იმ პოლიტიკური რეჟიმით, რომელიც ამ დროს ხელისუფლებაში გვევლინებოდა.

საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიის კვლევა შეიძლება ითქვას, რომ XIX საუკუნეში ახალ ფაზაში შედის. პირველი მონოგრაფია ცნობილმა ისტორიკოსმა პლატონ იოსელიანმა გამოსცა 1845 წელს „საქართველოს ეკლესიის მოკლე ისტორია“. ამ მიმართულებით მუშაობა უფრო გააქტიურდა XX საუკუნის დასაწყისიდან, როდესაც დღის წესრიგში დადგა საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საკითხი.

საბჭოთა რელიგიური პოლიტიკის შესწავლის დროს მნიშვნელოვანია განვიხილოთ პირველ რიგში ის წინამძღვრები, რომელთაც საფუძველი ჩაუყარეს საბჭოთა იდეოლოგიას. აღნიშნული საკითხის შესწავლის დროს მნიშვნელოვანია განვიხილოთ ის ფილოსოფიური შეხედულებები, რომელშიც თავს იყრის ათეიზმის ძირითადი მახასიათებლები. ჩვენთვის ცნობილია, რომ ათეიზმის, როგორც იდეოლოგიის შესწავლის დროს ფილოსოფიური სკოლების განხილვა არის მნიშვნელოვანი, თუმცა ამ ეტაპზე მხოლოდ იმ დეტალებს შევხებით, რაც ნათლად წარმოაჩენს საბჭოთა ათეიზმის საწყისებსა და მის კავშირს ევროპულ ათეიზმთან.

მეცნიერული ათეიზმი არის ფილოსოფიური დისციპლინა „(ბერძ. a-უარყოფა, theos-ღმერთი)-ეს არის შეხედულებათა სისტემა, რომელიც კრიტიკული ანალიზის საგნად აქცევს რელიგიურ წარმოდგენათა მთელ კომპლექსს ღმერთზე, სულის უკვდავებაზე, პირად ხსნაზე, განკითხვის დღეზე, წინასწარგანზრახულობაზე, საიქიო მისაგებელსა და მისთანებზე. იგი თანმიმდევრული მატერია-

ლისტური პოზიციებიდან იძლევა რელიგიის უმწიკობის ფილოსოფიურ, ბუნებისმეცნიერულ და ისტორიულ დასაბუთებას“ **(ათეიზმის ისტორია და თეორია 1980, გვ.5)**. შესაბამისად ათეიზმის მთავარი ამოცანაა გვაჩვენოს, რომ რელიგიას დამახინჯებული აქვს ადამიანის გონებაში სინამდვილის აღქმა. ათეიზმი ყოველთვის ცდილობდა დაენერგა პროგრესული იდეები და დაეფუძნებინა ახალი მსოფლმხედველობა. ათეიზმი აკრიტიკებდა რელიგიას და ცდილობდა მეცნიერული ახსნა მოეძებნა ყველა რელიგიური დოგმისათვის. კ. მარქსი წერდა: „ზეცის კრიტიკა მიწის კრიტიკად იქცევა, რელიგიის კრიტიკა-სამართლის კრიტიკად, თეოლოგიის კრიტიკა-პოლიტიკის კრიტიკად“ **(ათეიზმის ისტორია და თეორია 1980, გვ. 5)**.

რენესანსის ეპოქა ანტირელიგიური შეხედულებების დასაწყისია, რომელიც სათავეს იღებს XIV-XVI საუკუნეებში. შუა საუკუნეების დოგმატური შეხედულებები, სრულიად შეცვალა ამ პერიოდმა და საზოგადოებრივი აზროვნების კურსი იწყებს გადასვლას სრულიად ახალ რელსებზე. რენესანსული მსოფლმხედველობა არ უპირისპირდებოდა რელიგიას, თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ იგი შუა საუკუნეების ქრისტიანულ მსოფლმხედველობას დიდად დაშორდა. სწორედ „რენესანსი“ ითვლება აღორძინების სინონიმად და სწორედ აქ იწყება სქოლასტიკური აზროვნების ნგრევის პროცესიც. სწორედ ამ ცვლილებებმა მოამზადა ნიადაგი ათეისტური აზროვნების განვითარებისათვის, რასაც განმანათლებლობის პერიოდმაც დიდად შეუწყო ხელი. თუ შუა საუკუნეებში საზოგადოების აზროვნების მთავარი საწყისი წერტილი იყო უფალი, ყველაფრის საწყისად ითვლებოდა ის, შემდგომ უკვე განმანათლებლობის პერიოდში ცენტრალური ფიგურა ხდება ადამიანი. უარყოფილ იქნა ყველა ის დოგმა თუ შეხედულება, რომელიც მანამდე შუა საუკუნეების აზროვნებისთვის იყო დამახასიათებელი.

რენესანსული მსოფლმხედველობა ხასიათდებოდა „პელაგიაზმით“. ჰუმანისტები სწამდათ, რომ ადამიანი თანდაყოლილად კეთილია, სჯეროდათ მისი ყოვლისმომცველი შესაძლებლობების ინტელექტუალური მიმართულებით, ასევე სჯეროდათ, რომ ცოდვის ერთადერთი მიზეზი არის გაუნათლებლობა და რომ ადამიანს ყველა მიზნის მიღწევა შეუძლია. რენესანსის პერიოდში, შუა საუკუნეების შემდეგ პირველად ხდება ის, რომ ადამიანი ინტელექტუალურ ცხოვრებას თვითონ წარმართავს, ამაში არ ერევიან საეკლესიო პირები. ამ პერიოდშივე ჩნდება პირველად სკოლები, სადაც მოსწავლეები იღებენ განათლებას არა წმინდა წერილებზე დაყრდნობით, არამედ ჰუმანისტურსა და ანტიკურ ტექსტებზე დაყრდნობით. შესაბამისად ჩვენ ვხედავთ, როგორ იცვლება საზოგადოების მსოფლმხედველობა. შეიძლება ითქვას, რომ ამ პერიოდში მოღვაწე ადამიანები კრიტიკულად გა-

ნენყვნენ უკვე დამკვიდრებული ძველი შეხედულებებისადმი და თითქოსდა ნელ-ნელა დაიწყო მათი იდეოლოგიური დაპირისპირება ეკლესიის მიმართ.

საბჭოთა იდეოლოგია თავისთავად ეყრდნობა სწორედ რენესანსული პერიოდის მოაზროვნეების იდეებს და ცდილობს ეს კრიტიკა საფუძვლად დაუდოს საბჭოთა ათეიზმს. სანამ უშუალოდ საბჭოთა ათეიზმს და საბჭოთა რელიგიურ პოლიტიკას განვიხილავთ, ვფიქრობ შეუძლებელია გვერდი ავუაროთ განმანათლებლობის პერიოდს, რომელიც სათავეს ინგლისიდან იღებს, კლასიკურ სახეს კი XVIII საუკუნეში საფრანგეთში აღწევს.

XVIII საუკუნის განმანათლებლებმა ძირითადად ყურადღება გაამახვილეს ადამიანზე და მის ადგილზე სამყაროში. განმანათლებლობა თავისი არსით წმინდად ანტირელიგიურია და აქტიურად უპირისპირდება ცრურწმენებს და ქრისტიანობას. საბჭოთა კავშირი მარქსსა და ენგელსს დიდ ყურადღებას უთმობდა, რადგან სწორედ მათ წამოიწიეს რელიგიაში სოციალური საფუძვლები წინა პლანზე. სოციალური საფუძვლების წინა პლანზე წამოწევა თავის მხრივ რელიგიას უკარგავს საკრალურობას და მარქსის ცნობილი თეზისი „რელიგია ხალხის ოპიუმია“ (ლენინი 1958, გვ. 14). ხდება საბჭოთა კავშირისთვის ამოსავალი წერტილი. „რელიგია ხალხისთვის მოჩვენებითი ბედნიერებაა, სინამდვილეში კი ერთიცა და მეორეც ხალხის სულიერი სანამღავია, ფიზიკურად გამანადგურებელია“ (ლენინი 1958, გვ. 14). ამ მოსაზრებათა ერთიანობას წარმოადგენს საბჭოთა ათეიზმი.

ამრიგად საზოგადოებამ, რომელიც გაჯერებული იყო ჰუმანისტურ-რენესანსული იდეოლოგიით დაიწყო აზროვნება. საზოგადოებამ ჩამოაყალიბა ათეიზმი, რომელიც განმანათლებლობის პერიოდს, მარქსისა და ენგელსის შეხედულებებს დაეყრდნო. საბჭოთა საზოგადოებაში კი ამ მოძღვრებამ დიდ წარმატებას მიაღწია, მით უფრო მისმა პრაქტიკულმა გამოყენებამ. ჩამოყალიბდა საბჭოთა საზოგადოებრივი, პოლიტიკური მსოფლმხედველობა, რომელმაც წლების განმავლობაშიც კი არ დაკარგა სიმძაფრე და დღემდე XXI საუკუნეშიც კი პოსტსაბჭოთა ქვეყნები ებრძვიან საბჭოთა იდეოლოგიურ ნარჩენებს. საბჭოთა ხელისუფლების იდეოლოგიური „მანქანა“ დღესაც წარმატებით მუშაობს.

საბჭოთა ხელისუფლება მისი იდეების განმტკიცებისთვის, ყოველთვის ცდილობდა პროპაგანდისტული მანქანა აემოქმედებინა. საზოგადოება ინფორმაციულ ვაკუუმში იყო. საქართველო, როგორც სხვა დანარჩენი პოსტსაბჭოთა ქვეყნები იმყოფებოდა პოლიტიკურ, რელიგიურ, სოციალურ ვაკუუმში, საბჭოთა იდეოლოგია კი აქ დროთა განმავლობაში კარგად მუშაობდა. ხელისუფლება გაათიშე და იბატონე პრინციპით ცდილობდა საერთო ეროვნული ღირებულებების ჩაკვლას. XX საუკუნის 50-იან წლებში საბჭოთა საქართველოში ნიკიტა

ხრუშჩოვის ხელმძღვანელობით რელიგიური პოლიტიკის ინტენსიური ცვლილებები დაიწყო. ხელისუფლებამ აქტიურად დაიწყო ანტირელიგიური პროპაგანდა, რომლის მიზანი იყო ეკლესიის და რელიგიის გავლენის შესუსტება საზოგადოებრივ ცხოვრებაში. განათლების სისტემა და მედია, მათ შორის გაზეთები, სკოლები და უნივერსიტეტები, ფართოდ გამოიყენებოდა ათეისტური იდეების გავრცელებისათვის. ხრუშჩოვის რეჟიმმა განახორციელა ათეიზმის განვდილი მეთოდები, რათა საზოგადოება დაერწმუნებინა რწმენის უსუსურობაში. საბჭოთა პერიოდის რელიგიური პოლიტიკა არა მარტო იმ დროინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების განხილვას გულისხმობს, არამედ დღემდე აქტუალურია და ისტორიული კვლევის თვალსაზრისით მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს. თავის დროზე ლენინმა „ღვთის შესახებ ყოველ იდეას ყოვლად წარმოუდგენელი სიბილწე“ უწოდა. ამის შემდეგ ამ „სიბილწეს“ უტევდნენ თავად ბილწი და გახრწნილი ადამიანები, მაგრამ ამაო აღმოჩნდა ეს შერკინება. ებრძოდნენ საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელ ეკლესიას: ანგრევდნენ ტაძრებს, ხურავდნენ სამონასტრო კერებს, დასცინოდნენ, ავიწროვებდნენ, ხვრეტდნენ, ფიზიკურად სპობდნენ და ანადგურებდნენ სასულიერო პირებს. საბჭოთა სახელმწიფო - ახალი სტალინური რელიგიის შემქმნელი, თავად კერპმსახური, მაინც უძლური აღმოჩნდა ღმერთთან და რწმენასთან პირისპირ. „რელიგია კვდება, მაგრამ სიკვდილი არ უნდა“ (გეგეშიძე 1973, გვ. 7) - სულწაბულად ჩასაფრებული უცდიდნენ ამ დღეს.

რამდენი დევნა და განსაცდელი არ გადაუტანია ქრისტიანობას საუკუნეთა განმავლობაში. როგორც იტყვიან, ლენტი გაიჭრა იმპერატორ ნერონის დროს. იყენებდნენ ათასგვარ საშუალებას - დაპატიმრებას, გადასახლებას, წამებას, საჯაროდ აბუჩად აგდებასა და ღვთისმსახურების ხოცვა-ჟლეტას. მაგრამ, „ამ მხრივ, ალბათ, ვერაფერი შეედრება კომუნისტ ბოლშევიკების მიერ მოწყობილ დევნა-შევიწროებას. ეკლესიის ეზოში შეყრილ მორწმუნეებს, მოხუცებს, ქალებს და ბავშვებს უგინებდნენ სინმინდეებს, რომელთაც ისინი ცხოვრების მანძილზე სასოობდნენ, ამსხვრევდნენ წმინდა ხატებსა და ჯვრებს, ბილწავდნენ წმიდათაწმინდა საკურთხევლებს. წვერებით ათრევდნენ მოხუც მღვდლებს, გუმბათებსა და სამრეკლოებიდან ყრიდნენ ჯვრებს და ზარებს, ძარცვავდნენ და აჩანაგებდნენ საუკუნეთა მანძილზე ნაგროვებ სასულიერო განძს. დიოდა უდანაშულო ადამიანთა სისხლი, საგანგებოდ და მიზანმიმართულად ფეხქვეშ ითელებოდა სარწმუნოებრივი გრძნობა ღვთის მოსიყვარულე ადამიანებისა, მაგრამ იმის გამო, რომ ქრისტიანობა საქართველოში წარმოადგენდა არა მხოლოდ რელიგიურ მიმართულებას, არამედ ეროვნულ სარწმუნოებას, ბოლშევიკ-კომუნისტები მასთან ერთად ქართველი ხალხის

ეროვნულ გრძნობებსაც ბილწავდნენ... საქართველოს არც ერთი მტერი, არაბების შემდგომ, არ იყო ქართველი ხალხისათვის უფრო საშიში და ვერაგი, ვიდრე - რუსულ-ბოლშევიკური ხელისუფლება. ბოლშევიკები ანგრევდნენ ეკლესიებს, ღვთისმსახურებს ანამებდნენ, როგორც ფიზიკურად, ისე სულიერად, ხალხის წინ აიძულებდნენ უარეყოთ წმინდა სარწმუნოება. ყველა ვერ უძლებდა ზენოლას. მოძღვართა ბედს მორწმუნეებიც იზიარებდნენ იმით, რომ კომკავშირელები ზნეობრივად აბუჩად იგდებდნენ მათ გრძნობებს, ე.წ. „კომკავშირული შობით“, „კომკავშირული აღდგომით“, „სამოქალაქო ქორწინებით და ნათლობით“ (ჯაფარიძე 2009, გვ. 114).

ბევრს ოცნებობდნენ, ზოგადად რელიგიური ცნობიერების გაქრობაზე: „რელიგია ისტორიული კატეგორიაა. იყო დრო, როცა რელიგიური ცნობიერება, საერთოდ, არ არსებობდა; იყო დრო, როცა რელიგია საზოგადოებრივი ცნობიერების გაბატონებული ფორმა გახდა და დადგება დრო, როცა რელიგიური ცნობიერება არ იარსებებს“ მიუხედავად ყველაფრის, ვერ აისრულეს წადილი - ნანატრი დრო არ დადგა!

კომუნისტური რეჟიმის დამყარების დღიდან საქართველოს ეკლესია სრული გადაგვრების საფრთხის წინაშე აღმოჩნდა და ქვეყნის განვითარება-წინსვლის საქმეში მისი ისტორიული ფუნქცია უაღრესად შეიზღუდა. საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელები 30-იანი წლების მიწურულიდან დროის შესაბამისად მოქმედებდნენ, ხელისუფლებასთან ლოიალურ მოდგომას ამჯობინებდნენ, რაც იმ ეტაპზე ეკლესიის გადარჩენის საწინდარი უნდა ყოფილიყო. მიუხედავად საქართველოს ეკლესიის ასეთი მიდგომისა, მთავრობა მაინც უნდობლობით იყო განწყობილი.

ისტორიული მეხსნიერება ყოველთვის გვარწმუნებდა იმაში, თუ რა დიდი ძალა ჰქონდა ეკლესიას, საზოგადოებრივი ცნობიერების ჩამოყალიბების პროცესში. ეს კარგად ესმოდა საბჭოთა რეჟიმსაც და სწორედ ამიტომ მისი მთავარი სამიზნე ეკლესია გახდა. ყოველივე ეს ძალიან კარგად ესმოდათ საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობეებს, რომელთა უმთავრესი ოცნება საქართველოს სამოციქულო მართმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა იყო. სწორედ ამიტომ იყო რომ XX საუკუნის II ნახევარში ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის პროცესში აქტიურად ჩართო ქართველი სამღვდელთა. მათ პოლიტიკური თავისუფლების მოთხოვნას დაუმატეს რელიგიური თავისუფლების მოთხოვნაც. კათალიკოს-პატრიარქს კალისტრატეს ჰქონდა ის ძალა, რომელიც სჭირდებოდა იმ ხნად საქართველოს ეკლესიას. რაღათქმაუნდა კალისტრატეს ჰყავდა მომხრეებიც და მოწინააღმდეგეებიც. ნაწილი იზიარებდა მის ხედვას, ნაწილი კი უპირისპირდებოდა მას. ამ კუთხით საინტერესოა

განვიხილოთ კალისტრატეს შეურიგებელი ოპონენტის დავით კაჭახიძის პოზიცია, თუ მის მოსაზრებას შევადგებთ, რეალურად საქართველოს მართმადიდებელი ეკლესიის ისტორიაში დგება დრო, რომელსაც უკეთესობისკენ უნდა შეეცვალა არსებული მდგომარეობა. მაგრამ აქვე არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ კალისტრატეს უწევს უმძიმესი რეალობის წინაშე დგომა. 1940 წელს მოქმედი ეკლესიები 15-ამდე, სასულიერო პირები კი 128-მდე შემცირდა. ხელისუფლება კი ყოველმხრივ ზღუდავდა ეკლესიის დამოუკიდებელ ქმედებას. სასულიერო პირებს არა მარტო ართმევდნენ სიტყვის თავისუფლებას, არამედ მათ ფიზიკურადაც უსწორდებოდნენ. უწმინდესმა და უნეტარესმა კალისტრატემ დაიწყო უთანასწორო ბრძოლა ბოლშევიკური ხელისუფლების წინააღმდეგ.

1939 წლის დეკემბერში უწმინდესმა და უნეტარესმა კალისტრატემ სცადა უშუალოდ ი. სტალინს დაკავშირებოდა: „ თქვენ სიჭაბუკითგანვე არ სცანით ძილი თვალთა, რული წამთა და განსვენება ხორცთა ტვირთმძიმეთა და მამგრალთა ცრემლითა მოსასპობად, ამისთვის მადლიერმა ერმა დაგვავთ ძლიერთა თვისთა შორის და შეგმოსათ დაუჭნობელი დიდებით“ (ჯარდოსანიძე: 2017, გვ. 276), ამ წერილის შემდგომ დღის წესრიგში დადგა სვეტიცხოვლისა და სიონის დახურვის საკითხი. თუმცა პოლიტიკური ვითრებიდან გამომდინარე, საბჭოთა კავშირზე გერმანული ფაშისტების თავდასხმის შემდეგ საბჭოთა ხელისუფლება მიხვდა, რომ მას სწორედ ახლა სჭირდებოდა საზოგადოების მთლიანი ძალა მიემართა მტრის წინააღმდეგ, წინააღმდეგ შემთხვევაში იცოდა რომ კატასტროფა გარდაუვალი იქნებოდა.

მეორე მსოფლიო ომმა ერთგვარად შეცვალა როგორც ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკური, ისე საქართველოს ეკლესიის ვითარება. საბჭოთა ქვეყანას ომის მსვლელობის დროს არა მხოლოდ გარე ძალების დახმარება, არამედ შიგნით, სახელმწიფოში ესაჭიროებოდა დასაყრდენი ძალა. ასეთ საყრდენად ხელისუფლებამ ეკლესია მიიჩნია. სწორედ ეკლესიის გამოყენებით უნდა მომხდარიყო საქართველოში ეროვნული ინტერესებისა თუ მისწრაფებების საერთო სოციალური ინტერესებით ჩანაცვლება. აღნიშნულმა მიზეზმა განაპირობა საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკის შეცვლა საქართველოს ეკლესიის მიმართ. ხელისუფლება მთელი ძალით ცდილობდა ეკლესიის ავტორიტეტის გამოყენებას მოსახლეობაში თავის სასარგებლოდ, ასევე ეროვნული ინტერესებიდან ეკლესიის ჩამოცილებას. აღნიშნული მოვლენა რა თქმა უნდა არ ნიშნავდა იმას, რომ სასულიერო პირები და საქართველოს ეკლესია მისი ნდობით აღჭურვილ ორგანოს წარმოადგენდა. ხელისუფლება ეკლესიაზე ზედამხედველობის დაწესების ახალი მეთოდების შემუშავებას შეუდგა. ომით გამოწვეული მძიმე სულიერი თუ ფიზიკური

მდგომარეობა ხალხს ეკლესიისკენ უბიძგებდა. საბჭოთა მმართველობა კი ზენოლისა თუ თვალთვალის ხერხებს აძლიერებდა. ამ თვალსაზრისით კვლავ „მებრძოლი ათეისტები“ იყვნენ გამორჩეულები, რომლებიც აგენტების აგზავნიდნენ ტაძარში სამღვდლოებისა და მრევლის სულისკვეთების უკეთ შესასწავლად (**ბენდელიანი 2002, გვ. 85**). აღნიშნულის დასტურია 1942 წელს აღდგომის დღესასწაულის შესახებ ერთ-ერთი აგენტის წერილი: „ეკლესიაში ხალხი არ ეტეოდა. აქ თავი მოეყარა, როგორც მორწმუნეებს, ისე მერყევ ელემენტებსაც, მათ შორის მნიშვნელოვანი რაოდენობით იყვნენ ფრონტიდან დაბრუნებულებიც. ბევრი მათგანი საბჭოთა უნთებდა ხატს და ლოცულობდა, ერთი პიროვნება, რომელიც ჯარისკაცის ფორმაში იყო გამოწყობილი მღვდელ-დიაკონთან ფუსფუსებდა... (**სუიცა, ფ. 1547, აღწერა 1, საქმე 144**). ეს პატარა მონაკვეთიც ნათლად ადასტურებს არსებულ მდგომარეობას.

არსებული პოლიტიკური მდგომარეობა სწორად იქნა შეფასებული საქართველოს ეკლესიის მხრიდან, შეიძლება დღეს ეკლესიის ეს გადაწყვეტილება უარყოფით კონტექსტში განიხილოს ვინმემ, მაგრამ იმ პერიოდში, რეპრესია გამოვლილი ეკლესიისთვის საჭირო იყო თანადგომა გამოეცხადებინა ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში და რეალურად გვერდით დადგომოდა იმ პოლიტიკურ ძალას, რომელიც მას ავიწროვებდა. ომის დაწყების დღიდან საქართველოს ეკლესიამ ანტიფაშისტურ ორიენტაციას დაუჭირა მხარი. ამის ნათელი დასტურია 1941 წლის 24 ივნისს კათოლიკოს-პატრიარქის კალისტრატე ცინცაძის მიმართვა საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სახკომსაბჭოს სახელზე, სადაც ის აღმფთვებდა ვერ მალავს ფაშისტური გერმანიის საბჭოთა ქვეყანაში შემოჭრის გამო. საქართველოს ეკლესია ცდილობდა სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე ემოქმედა, ის აქტიურად ჩაება სამომავლო ომში გამარჯვებისათვის სასარგებლო აგიტაცია-პროპაგანდაში. სავსებით შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა მთავრობის საეკლესიო პოლიტიკა კომპრომისისკენ იყო მიმართული, აშკარად იკვეთება პარტიის ფრთხილი დამოკიდებულება ეკლესიისადმი. რუსეთის რიგ რეგიონებში მასიურად დაიწყო 20-30-იან წლებში დახურული ეკლესია-მონასტრების ხელახლა გახსნა. მსოფლიო ომმა და შემდეგ უკვე სამომავლო ომმა გარკვეულად შეამსუბუქა საქართველოს ეკლესიის და ზოგადად ეკლესიის მდგომარეობა. მართალია „შემსუბუქების პოლიტიკა“ მიზანმიმართულად სხვა ინტერესებს ემსახურებოდა, მაგრამ მაინც ამ თვალსაზრისით საქართველოშიც დაიწყო გარკვეული ნაბიჯის გადადგმა. საქართველოს სამრევლოებმა აქტიურად მოითხოვეს დახურული ეკლესიების გახსნა. აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა საკმაოდ გაჭიანურებული იყო და შეგნებულადაც ქიანურდე-

ბოდა. მათი ქმედებებიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ საბჭოური საეკლესიო პოლიტიკა შთაბეჭდილებას ქმნიდა თითქოს მზად იყო ეთანამშრომლა ხალხთან, დაეცვა მისი სარწმუნოებრივი ინტერესები, ხოლო ადგილობრივი ხელისუფლება კი უხეშად არღვევდა დადგენილ კანონებს.

XX საუკუნის 30-იან წლებში საბჭოურ სისტემაში შემავალი ყველა რესპუბლიკის მსგავსად საქართველოც სოციალიზმის სტადიაში შევიდა. სარწმუნოების საკითხში ლენინური პრინციპის განხორციელება გულისხმობდა სახელმწიფოსაგან ეკლესიის გამიჯვნას. კომუნისტურმა სისტემამ უარყო ეკლესიის სახელმწიფოებრივი იდეოლოგია, რადგან ეკლესია ეროვნული ინტერესების მატარებელი იყო. ათეიზმმა, რომელსაც საბჭოთა კავშირი ემყარებოდა, ჩამოყალიბებული სახე, ლენინის მმართველობის პერიოდში მიიღო. ლენინმა, შეძლო და ისტორიის შუქზე სულ სხვა კუთხით ახსნა რელიგიისა და ათეიზმის ბევრი მნიშვნელოვანი საკითხი. მარქსის ცნობილი დებულება, „რელიგია ხალხის ოპიუმია“, ლენინის აზრით, მარქსის მსოფლმხედველობის მთავარი ქვაკუთხედი და მნიშვნელოვანი ადგილი უკავია რელიგიის გაგების საკითხში. საბჭოური ათეიზმის ძირითადი მიზანი, რელიგიის ყალბი, ანტიმეცნიერული ბუნებისა და მისი, ისტორიული წარმავალი ხასიათის წარმოჩენა იყო. ლენინს მიაჩნდა, რომ რელიგია ადამიანის განვითარების მაღალ საფეხურზე გაქრებოდა და მთელს მსოფლიოში კომუნიზმი დამყარდებოდა. საბჭოთა კავშირში ანტირელიგიური პროპაგანდა ყოველთვის იყო პოლიტიკური ამოცანისა და იდეოლოგიის განუყოფელი ნაწილი.

საბჭოთა კავშირში, განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა იდეოლოგიური მუშაობის საკითხს, რომელიც ძირითადად მშრომელთა მასების კომუნისტური იდეოლოგიით აღზრდაზე იყო ორიენტირებული. საბჭოური მანქანა ცდილობდა მარქსისტულ-ლენინური თეორიით აღეზარდა საზოგადოება და ამ მიზნის განსახორციელებლად, მთავარი იერიში რელიგიაზე მიიტანა. ხელისუფლებას კარგად ესმოდა, რომ თუ საზოგადოებას წაართმევდა რელიგიას, ჩაახშობდა მათ ხმასაც. ქვეყანაში რელიგიის დაძლევისა და ათეიზმის დამკვიდრების საქმეში საბჭოთა მთავრობა სხვადასხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ეყრდნობოდა, სწორედ მათი მეშვეობით უნდა მომხდარიყო ქვეყნის საშინაო პოლიტიკის სარწმუნოებრივ საკითხში მნიშვნელოვანი გარდაქმნები. საბჭოთა ათეისტურმა პოლიტიკამ მკვეთრი ხასიათი შეიძინა ვლადიმერ ლენინის დროს, როდესაც ანტირელიგურმა შეხედულებმა თუ ქმედებებმა საკმაოდ აგრესიული სახე მიიღო. მოგვიანებით აშკარა გახდა, რომ XX საუკუნის 20-30-იანი წლებში ეკლესიის მიმართ გატარებულმა მკაცრმა პოლიტიკამ 40-იან წლებში მისთვის საპირიპირო შედეგი გამოიღო. მეორე მსოფლიო ომმა

გარკვეულწილად განაპირობა ხელისუფლების პოლიტიკის შერბილება ეკლესიის მიმართ. საქართველოს ეკლესიის მეთაურებმაც შეცვალეს თავიანთი მიდგომა თუ დამოკიდებულება ხელისუფლებისადმი. საბჭოურ პოლიტიკასთან ლავირების მეთოდით სასულიერო დასი ცდილობდა ეკლესიისთვის საჭირო და სასარგებლო ნაბიჯების გადადგმას. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, თვითგადარჩენის მიზნით, თანამშრომლობდა საბჭოთა ხელისუფლებასთან და ამავდროულად, ცდილობდა მისი ადგილი დაეკავებინა მსოფლიო საეკლესიო სივრცეში. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დათმობითმა პოლიტიკამ, გააჩინა მისი საერთაშორისო ასპარეზზე გამოჩენისა და ავტოკეფალიისთვის ბრძოლის შესაძლებლობა. ეკლესიის მიერ, არჩეული პოლიტიკის შედეგად, საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია განეწივრებინა ეკლესიასთან საერთო საბჭოში. ქართული ეკლესიის დათმობითი პოლიტიკა, დღემდე სადაო საკითხია და მისი ერთმნიშვნელოვნად დადებითი ან უარყოფითი შეფასება შეუძლებელია. დანამდვილებით შეიძლება ითქვას მხოლოდ ის, რომ დათმობითი პოლიტიკა იყო ის ძირითადი ბერკეტი, რომლითაც ეკლესია გაუმკლავდა საბჭოთა ხელისუფლების მიერ, რელიგიურ ინსტიტუტებზე მიტანილ იერიშს და შემდგომში, საბჭოთა კავშირის დაშლის პარალელურად, მალევე შეძლო ავტოკეფალიის აღდგენა.

რელიგიური ვითარება კიდევ უფრო შეიცვალა ნიკიტა ხრუშჩოვის დროს, რომელიც სტალინის მონაპოვარის უგულებელყოფის ქმედებებთან არის დაკავშირებული. ნიკიტა ხრუშჩოვმა კიდევ უფრო გააძლიერა ზენოლა სარწმუნოებაზე. სწორედ ამას ემსახურებოდა „მეცნიერული ათეიზმის“ პროპაგანდის ფართოდ გაშლა საბჭოთა ქვეყნებში. მიზნის მიღწევის საუკეთესო საშუალებას კი ჟურნალ-გაზეთები წარმოადგენდა, სადაც აქტიურად ისმოდა ანთისარწმუნოებრივი მოწოდებები. ასეთ ვითარებაში საინტერესო იყო როგორი დამოკიდებულება ჰქონდა საქართველოს ეკლესიას საბჭოთა პოლიტიკისადმი? რა ქმედითი ნაბიჯები გადაიდგა საქართველოს ეკლესიის თვითმყოფადობის გადასარჩენად? ფაქტია, რომ საქართველოს ეკლესიის მეთაურები კარგად აცნობიერებდნენ ხელისუფლების მზაკვრულ პოლიტიკას. მათთვის წინააღმდეგობის გაწევა იმავე აგრესიული ფორმით მხოლოდ ზიანს მოუტანდა ისევ საქართველოს ეკლესიას, ამიტომ ხელისუფლებასთან თანამშრომლობის გზით შეეცადნენ ეკლესიის გადარჩენას.

ლიტერატურა

- ათეიზმის ისტორია და თეორია (1980).** *ათეიზმის ისტორია და თეორია: დამხმარე სახელმძღვანელო.* თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- ლენინი, ვ.(1949).** *სოციალიზმი და ხედიგია.* თხზულებანი (მეოთხე გამოცემა, ტომი 5). სახელგამი.
- ლენინი, ვ. (1950).** *სოციალიზმი და ხედიგია.* თხზულებანი (მეოთხე გამოცემა, ტომი 10). სახელგამი.
- ლენინი, ვ. (1950).** *მუშათა პარტიის დამოკიდებულება ხედიგიისადმი.* თხზულებანი (მეოთხე გამოცემა, ტომი 15). სახელგამი.
- გეგუშიძე, დ. (1986).** *საქართველოში ხედიგიისა და ეკლესიის მდგომარეობის ბუჟუაზიუდ-კდეიკადუიფადისიფიკაციის კიტიკა.* საბჭოთა საქართველო.
- ფანჯიკიძე, თ. (2003).** *ხედიგიუხი კიტიკეები საქართველოში XX და XXI საუკუნეთა მიჯნაზე.* ლეგა.
- ვარდოსანიძე, ს. (2017).** *საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ასწროვანი მატიანე (1917-2017 წწ.).*
- სუიცსა, ფ. (1547).** *აღწეხა 1, საქმე 144.*

„თურქეთის საუკუნეში“ თურქეთის კავკასიური პოლიტიკის პერსპექტივის ანალიზი
ANALYSIS OF THE PERSPECTIVE OF TURKEY'S CAUCASIAN POLICY IN THE "TURKISH CENTURY"

დავით თავაძე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Davit Tavadze Ivane Javakhishvili Tbilisi State University

<https://orcid.org/0009-0002-1889-0040>

საკვანძო სიტყვები: თურქეთის კავკასიური პოლიტიკა, „თურქეთის საუკუნე“, საგარეო პოლიტიკა
Keywords: Türkiye's Caucasian Policy, "Century of Türkiye", Foreign Policy

ABSTRACT

On the 100th anniversary of the founding of the Republic of Türkiye, President Erdoğan presented a new concept—the “Century of Türkiye”—intended to serve as a guide for the country’s development in the coming decades. Alongside other directions, it outlines the country’s foreign policy goals and aspirations. The document highlights the potential use of both “soft” and “hard” power to achieve Türkiye’s foreign policy objectives, as well as the steps to enhance the effectiveness of these strategies. Additionally, the concept details possible policies that official Ankara may adopt towards specific countries, regions, and foreign policy processes.

The aim of this study is to analyze the perspectives of the Republic of Türkiye’s “Caucasian Policy” within the context of the “Century of Türkiye” program. The research is based on two key elements: first, the main doctrinal principles of Türkiye’s foreign policy from the

1990s to 2023; and second, an examination of Türkiye’s practical regional policy in the Caucasus during this period. For evaluation and analysis, events in the study are discussed following a chronological division:

The main lines of Türkiye’s policy in the Caucasus during the 1990s;

Changes in Türkiye’s foreign policy following the rise to power of the “Justice and Development Party” (AKP);

Türkiye’s Caucasian policy and its outcomes following the 2008 Russo-Georgian War;

Theses on Türkiye’s foreign policy after the establishment of the presidential governance system in Türkiye;

Foreign policy theses of the “Century of Türkiye” program.

შესავალი

თურქეთის საგარეო პოლიტიკას სამხრეთ კავკასიის რეგიონის მიმართ ისტორიულად განსაზღვრავდა გეოგრაფიული სიახლოვე და რეგიონული დინამიკა. ოსმალეთის იმპერიის დროიდან მოყოლებული, თურქეთი მოქმედებს როგორც გეოპოლიტიკური მოთამაშე, რომელიც ცდილობს საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე დააბალანსოს რუსეთისა და ირანის გავლენა რეგიონში. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, სამხრეთ კავკასია თურქეთის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად იქცა. ბოლო ათწლეულებში რეგიონში თურქეთის პოლიტიკის ევოლუციამ უფრო პრო-

აქტიური ხასიათი შეიძინა, რაც განსაზღვრულია მისი ეკონომიკური, სამხედრო და გლობალური სტრატეგიული ინტერესებით.

ოსმალეთის იმპერიის, ხოლო შემდგომ თურქეთის რესპუბლიკის კავკასიური პოლიტიკა საუკუნეების მანძილზე ყალიბდებოდა და პერიოდულად განიცდიდა ტრანსფორმაციას. საბჭოთა კავშირის არსებობის პირობებში, კავკასიის რეგიონთან ანკარის პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირების აბსოლუტურად შეზღუდული იყო, თუმცა, XX საუკუნის 90-იან წლებში, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, თურქეთმა დაიწყო საკუთარი პოზიციების

გაძლიერებარეგიონში. თურქეთის რესპუბლიკის პირველადისტრატეგიაორიენტირებულიიყოპოსტ-საბჭოთაქვეყნებისდასავლურსტრუქტურებთანინტეგრაციისხელშეწყობაზე და დასავლეთთან კოლაბორაციით, ასევე მათი შესაძლებლობების გამოყენებით, საკუთარი პოლიტიკის გატარებაზე. ამასთან, 2000-იანიწლებისდასაწყისში, „სამართლიანობისადაგანვითარებისპარტიის“ ხელისუფლებაშიმოსვლასთანერთად, დაიწყოახალიეტაპი, რომელიცხასიათდებაპროაქტიურიდამრავალ-ვექტორულიმიდგომით.

2002 წლის შემოდგომაზე თურქეთის რესპუბლიკის ხელისუფლებაში მოვიდა „სამართლიანობის და განვითარების პარტია“ და რეჟეფ თაიფ ერდოღანი, რომლის მმართველობის პირობებში, თურქეთმა განიცადა მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია. შესაბამისად, ცვლილებები შევიდა თურქეთის კავკასიურ პოლიტიკაშიც. ზემოაღნიშნული პარტიის მმართველობა შესაძლებელია დაიყოს ოთხ ეტაპად:

1) **2002-2008 წლების** პერიოდში მიმდინარეობდა მუშაობა ქვეყნის ახალი საგარეო პოლიტიკის პერსპექტივის ფორმირებაზე. ამ ეტაპზე, თურქეთის ხელისუფლება ძირითადად ორიენტირებული იყო შიდა პოლიტიკური პრობლემების მოგვარებაზე, რისთვისაც აქტიურად იყენებდა ევროკავშირის მიერ რეფორმების და დემოკრატიზაციის მიზნით წაყენებულ მოთხოვნებს (Murat Yeşiltaş, Ferhat Pirinççi, 2020, s. 20-21).

2) **2008-2012 წლების** პერიოდში თურქეთის ხელისუფლებამ სცადა რეგიონულ დონეზე საგარეო პოლიტიკური შესაძლებლობების გაღრმავება და გლობალურ პოლიტიკაში ჩართვა.

3) **2012-2016 წლების** პერიოდში „არაბულმა გაზაფხულმა“ თურქეთი დააყენა მნიშვნელოვანი რეგიონული პრობლემების წინაშე. ამ პერიოდში აქტიურად განიხილებოდა ე.წ. „თურქული მოდელის“ დანერგვის პერსპექტივა ახლო აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, რასაც აქტიურად უწყობდა ხელს თავად თურქეთი (მაკარაძე, 2019, გვ. 219). შედეგად, თურქეთის საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრიორიტეტი გახდა ახლო აღმოსავლეთი და ტერორიზმთან ბრძოლა.

4) **2016 წლის 15 ივლისის** სამხედრო გადატრიალების მცდელობა წარმოადგენდა გარდამტეხ წერტილს, რომლის შემდეგაც იწყება ახალი ეტაპი თურქეთის რესპუბლიკაში. განხორციელდა საკონსტიტუციო და სტრუქტურული რეფორმები. საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკაში უფრო მეტი ადგილი დაეთმო სამხედრო ელემენტებს და ხისტი ძალა იქცა მიზნების მიღწევის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრაქტიკულ მექანიზმად. ჩამოყალიბდა დისკურსი „ველზე და მაგიდასთან ძლიერი თურქეთი“ (Erdoğan, R., 2023).

2023 წლის საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების წინ, თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა რ.თ.ერდოღანმა წარადგინა ახალი პროგრამა

- „**თურქეთის საუკუნე**“, რომელიც არჩევნების შემდეგ იქცა მმართველი ძალის სამოქმედო პროგრამად. იგი მოიცავს სხვადასხვა მიმართულებებს, მათ შორის, საგარეო პოლიტიკურ მიზნებს და მისწრაფებებს. (თავაძე, 2023, გვ. 28)

წინამდებარე სტატიის მიზანია პროგრამის „თურქეთის საუკუნე“ კონტექსტიდან თურქეთის რესპუბლიკის „კავკასიური პოლიტიკის“ პერსპექტივების ანალიზი. კვლევა ეფუძნება ერთი მხრივ 1990-იანი წლებიდან 2023 წლამდე თურქეთის საგარეო პოლიტიკის ძირითადი დოქტრინალური პრინციპების, ხოლო მეორე მხრივ ამ პერიოდში კავკასიაში თურქეთის პრაქტიკული რეგიონული პოლიტიკის შესწავლას.

სტატიაზე მუშაობის დროს გამოყენებული იქნა საისტორიო კვლევის ქრონოლოგიური, ისტორიულ-შედარებითი, რეტროსპექტიული და პოლიტიკური ანალიზის პრინციპები და მეთოდები.

თურქეთის რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის ტრანსფორმაცია

თურქეთის საგარეო პოლიტიკის თეორიული ჩარჩოების განხილვის კონტექსტში აღსანიშნავია, რომ 2000-იანი წლების დასაწყისამდე თურქეთის რესპუბლიკა ატარებდა შედარებით ფრთხილ და „თავდაცვით“ საგარეო პოლიტიკას, რაც განპირობებული იყო ცივი ომის პირობებში არსებული გეოპოლიტიკური ვითარებით და ამ პერიოდში მიღებული გამოცდილებით, ასევე თურქეთის რესურსების სიმწირით (Çelikpala, Türkiye ve Kafkasya: Reaksiyoner Dış Politikadan Proaktif Ritmik Diplomasiye Geçiş, 2010, p. 97). ამასთან, 1990-იან წლებში ანკარის საგარეო პოლიტიკაში გამოიკვეთა გეოპოლიტიკური მნიშვნელობის ზრდის და თურქულ სამყაროში გავლენის მოპოვების სურვილი (Hunter, 1994, p. 162). ამასთან, რესურსების და შესაძლებლობების ნაკლებობის პირობებში თურქეთის სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობა იძულებული იყო გაეტარებინა დასავლეთის ინტერესების შესაბამისი საგარეო პოლიტიკა (Çelikpala, Türkiye ve Kafkasya: Reaksiyoner Dış Politikadan Proaktif Ritmik Diplomasiye Geçiş, 2010, გვ. 95-96).

21-ე საუკუნეში თურქეთის რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკამ განიცადა ტრანსფორმაცია, რასაც ხელი შეუწყო ერთი მხრივ საერთაშორისო ასპარეზზე განვითარებულმა პროცესებმა ხოლო მეორე მხრივ თურქეთის ხელისუფლების მიერ შიდა ასპარეზზე გატარებულმა რეფორმებმა და განხორციელებულმა ცვლილებებმა, რამაც რადიკალურად შეცვალა მე-20 საუკუნეში თურქეთის რესპუბლიკაში ჩამოყალიბებული შიდა პოლიტიკური სტრუქტურა და ძალთა ბალანსი. შედეგად, თურქეთის რესპუბლიკა ახალი პოლიტიკა დაეფუძნა შემდეგ ძირითად პრინციპებს: „პროაქტიური საგარეო პოლიტიკა“ (Davutoğlu, A., 2013);

„სტრატეგიული ავტონომია“ (Murat Yeşiltaş, Ferhat Pirinççi, 2020, გვ. 83);

„რეგიონალური პატრონაჟი“ (Müderrişoğlu, 2024).

2000-იან წლებში თურქეთის საგარეო პოლიტიკა ხდება მრავალვექტორული, რაც ითვალისწინებს დასავლეთის პარალელურად რუსეთთან, ჩინეთთან და სხვა არადასავლური ცივილიზაციის სახელმწიფოებთან თანამშრომლობის განვითარებას. იწყება აზიის ქვეყნებთან ურთიერთობების გაღრმავება, რაც 2019 წელს ჩამოყალიბდა, როგორც ინიციატივა „ხელახლა აზია“ (Yeniden Asya Girişimi, 2025). ასევე, ყურადღება მახვილდება აფრიკის ქვეყნებთან დიპლომატიური და სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებაზე (Türkiye-Afrika İlişkileri, 2025). ამასთან, წარსულში რეაქტიული საგარეო პოლიტიკა გადავიდა პროაქტიულ რეჟიმში.

აღნიშნულ ეტაპზე თურქეთის რესპუბლიკის სამხედრო-პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ აქცენტი გააკეთა მეზობელ სახელმწიფოებთან ნორმალიზაციაზე, რაც ჩამოყალიბდა „მეზობლებთან ნული პრობლემის“ პოლიტიკად (Davutoğlu A., 2013). ამავე პერიოდში თურქეთის საგარეო პოლიტიკაში პოლპულარული ხდება გეოგრაფიული რეგიონების კლასიფიკაცია და პრიორიტეტიზაცია, რაც მკაფიოდ იქნა წარმოჩინებული ა.დავუთოღლუს ნაშრომში „სტრატეგიული სიღრმე - თურქეთის საერთაშორისო პოზიცია“. ტერმინის „მახლობელი სახმელეთო აუზის“ შემოღება (Davutoğlu A., 2001, გვ. 119), რომელიც ა.დავუთოღლუს უკავშირდება, ითვალისწინებს თურქეთის გარშემო მდებარე რეგიონების მიმართ საერთო მიდგომების და პოლიტიკის შემუშავებას, თითოეული ამ რეგიონის სპეციფიკების გათვალისწინებით. პარალელურად, 2000-იანი წლების დასაწყისში თურქეთი აუღერებს პრეტენზიას იქცეს მძლავრ რეგიონალურ სახელმწიფოდ, რომელაც ასევე ექნება გლობალურ პოლიტიკაში მონაწილეობის გარკვეული პრეტენზიები.

2010-იანი წლებიდან თურქეთის რესპუბლიკის პოლიტიკაში აქცენტი კეთდება „მდგრად სტაბილურობაზე“ (Murat Yeşiltaş, Ferhat Pirinççi, 2020, გვ. 80), „სტრატეგიულ ავტონომიაზე“ (Murat Yeşiltaş, Ferhat Pirinççi, 2020, გვ. 83), „სტრატეგიულ მოქნილობაზე“ (Murat Yeşiltaş, Ferhat Pirinççi, 2020, s. 86). „სტრატეგიული ავტონომიის“ პრინციპი სრულიად განსხვავდება 1990-იან წლებში დასავლეთთან ერთად მოქმედების პოლიტიკისგან და რიგ შემთხვევებში წინააღმდეგობაში მოდის მისი პარტნიორების ინტერესებთან. იგი ითვალისწინებს დამოუკიდებელი პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებას, რისთვისაც საჭიროა შეკავების (შეიარაღებული ძალები), დიპლომატიური მანევრის (საგარეო საქმეთა სამინისტრო და „რბილი ძალის“ ინსტრუმენტები) და წინმსწრები ინფორმაციის მოპოვების და ანალიზის (სპეცსამსახურები) საშუალებების განვითარება. განსაკუთრებულ მნიშვნე-

ლობას იძენს სამხედრო ოპერაციების დამოუკიდებლად ჩატარების შესაძლებლობა, რისთვისაც საჭიროა თვითკმარი თავდაცვითი მრეწველობის ფორმირება (Murat Yeşiltaş, Ferhat Pirinççi, 2020, s. 84). ამავე პერიოდში დისკურსს „მშვიდობა ქვეყანაში, მშვიდობა მსოფლიოში“ ანაცვლებს „ბრძოლის ველზე და მოლაპარაკებათა მაგიდასთან ძლიერი თურქეთის“ ცნება (“TÜRKİYE YÜZYILI” NDA MİLLİ DİŞ POLİTİKA, 2023). აღნიშნული პოლიტიკა ითვალისწინებს საჭიროების შემთხვევაში თურქეთის საგარეო პოლიტიკის ხისტი სამხედრო ძალით მხარდაჭერას და საფრთხის თურქეთის ტერიტორიის გარეთ გაუვნებელყოფას. სწორედ აღნიშნული პოლიტიკის შედეგია თურქეთის მიერ ერაყში და სირიაში ოპერაციების ჩატარება.

2016 წლის შემდეგ, 2000-იან წლებში ჩამოყალიბებულმა „სახმელეთო აუზის“ ცნებამ განიცადა ტრანსფორმაცია და დაიშალა 5 სარტყელად, რომლებიც მოიცავენ სხვადასხვა გეოგრაფიულ რეგიონებს. აღნიშნულ ეტაპზე წინა პლანზე გამოდის თურქეთის გლობალური ამბიციები, საუბარია გაეროს უშიშროების საბჭოს რეფორმირების აუცილებლობაზე. (Erdoğan, Dünya 5'ten büyüktür, 2014) თუმცა ჯერ კიდევ ხაზი ესმება, რომ თურქეთს არ გააჩნია ძალა, რომ დიდი ზემოქმედება მოახდინოს გლობალურ ვითარებაზე და მისი მიზანი უნდა იყოს გლობალურ წესრიგში, პოლიტიკაში და ეკონომიკაში წვლილის შეტანა. (Murat Yeşiltaş, Ferhat Pirinççi, 2020, s. 83)

პროგრამაში „თურქეთის საუკუნე“ (Erdoğan, “TÜRKİYE YÜZYILI” TANITIM TOPLANTISI KONUSMASI, 2022) ჩამოყალიბებული საგარეო პოლიტიკის პრინციპები დიდწილად თანხვედრაშია გასულ პერიოდში შემუშავებულ თეზისებთან. ამასთან, შეიცავს მნიშვნელოვან ცვლილებებს, რომლებიც გამოწვეულია ყარაბაღის და რუსეთ-უკრაინის ომის შედეგად მსოფლიოში და რეგიონში განვითარებული მოვლენების გავლენით. პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ „სტრატეგიული ავტონომია“ ჩანაცვლებულია გარე ძალებისგან დამოუკიდებელი პოლიტიკის წარმოების ცნებით, რომელმაც უნდა უზრუნველყოს თურქეთის გეოპოლიტიკური ღერძის შექმნა და თურქეთის რეგიონულ გრავიტაციის ცენტრად გარდაქმნა. (Fidan, 2023)

პროგრამა „თურქეთის საუკუნე“ მსოფლიოს სამ სარტყელად ყოფს და განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს პირველ სარტყელში (შავი ზღვის, კავკასიის, ბალკანეთის, ევროპის, ჩრდილოეთ აფრიკის, ახლო აღმოსავლეთის, სპარსეთის ყურის და ცენტრალური აზიის რეგიონები) სტაბილურობის და მშვიდობის დამყარებას. აღინიშნება, რომ თურქეთმა ამ სარტყელში სტაბილურობის უზრუნველყოფის პროცესში უნდა გასწიოს მაქსიმალური ძალისხმევა და იკისროს ლიდერი ქვეყნის ფუნქცია. (Türkiye Yüzyılı için Doğru Adımlar, Seçim Beyannamesi 2023, 2023, p. 422)

საერთო ჯამში შეიძლება აღინიშნოს, რომ 1990-იანი წლებიდან 2023 წლამდე პერიოდში, თურქეთი, შეზღუდული შესაძლებლობების და საშუალებების მქონე ქვეყნიდან, რომელიც თავად სარგებლობდა საერთაშორისო დახმარებებით, გადაიქცა გლობალური ამბიციების მქონე ქვეყანად, რომელიც აცხადებს ამბიციას საკუთარი გეოპოლიტიკური ღერძის შექმნაზე და გლობალურ აქტორად ჩამოყალიბებაზე, დასახული მიზნების მიღწევის მიზნით, საერთაშორისო ასპარეზზე აქტიურად იყენებს როგორც დიპლომატიურ რესურსებს და საშუალებებს, ასევე „რბილ“ და „ხისტ“ ძალებს.

თურქეთის კავკასიური პოლიტიკა მე-20 საუკუნის ბოლოსა და 21-ე საუკუნის პირველ მეოთხედში

მე-20 საუკუნის ბოლოდან თანამედროვე ეტაპამდე თურქეთის კავკასიური პოლიტიკის ანალიზის კუთხით შეიძლება აღინიშნოს, რომ 1990-იანი წლების დასაწყისში პოსტ-საბჭოთა სივრცეში თურქეთის საგარეო პოლიტიკა ორიენტირებული იყო ცენტრალური აზიის თურქული რესპუბლიკებზე, თუმცა დროთა განმავლობაში სხვადასხვა ობიექტური თუ სუბოქტური მიზეზების გამო, იძულებული გახდა აქცენტი გადაეტანა კავკასიის რეგიონზე. პირველ ეტაპზე თურქეთი სარგებლობდა დასავლეთის მხარდაჭერით (Aydin, 2019, p. 142) და საერთო საგარეო პოლიტიკური მიზნების მისაღწევად იყენებდა დასავლეთის რესურსებს და პროგრამებს (F. S. Larrabee, I. O. Lesser, 2003, pp. 2-3). თურქეთის და დასავლეთის საერთო ინტერესს წარმოადგენდა პოსტ-საბჭოთა სახელმწიფოებთან დასავლურ სამყაროსთან თავსებადი რეგიონალური თანამშრომლობის მექანიზმების ფორმირება და საერთო ძალისხმევით რეგიონში რუსეთის და ირანის დაბალანსება. (Jones, 2000, p. 57)

თურქეთი სიფრთხილის უდგებოდა კავკასიაში არსებულ კონფლიქტებს და თვლიდა, რომ მათ გააჩნდათ თურქეთის შიდა პოლიტიკაზე ზემოქმედების პოტენციალი. აღნიშნულიდან გამომდინარე იგი ამ კუთხით აწარმოებდა ჩაურევლობის და თავდაცვითი ხასიათის პოლიტიკა (Çelikpala, Türkiye’de Kafkas Diasporası ve Türk Dış Politikası’na Etkileri, 2005, s. 102). პარალელურად, რეგიონის სტაბილურობის მიზნით დაიწყო რეგიონის ქვეყნებს და დასავლურ უსაფრთხოების სტრუქტურებს შორის შუამავლის როლის შესრულება და მხარს უჭერდა რეგიონის კონფლიქტების საერთაშორისო ორგანიზაციების ეგიდით გადაწყვეტას.

2008 წლის ომის შემდეგ განვითარებულმა მოვლენებმა, რფ-ს მიერ აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებლობის აღიარებამ და ოკუპირებულ ტერიტორიებზე რუსული სამხედრო ბაზების განლაგებამ, მნიშვნელოვნად შეცვალა კავკასიაში არსებული ვითარება (მანჩხაშვილი, 2014, გვ. 93). რფ-მ, აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის აღიარე-

ბით საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხი საკამათო თემად აქცია და გაიზარდა რეგიონის სხვა კონფლიქტებთან მიმართებით ძალის გამოყენების ალბათობა (Çelikpala, Türkiye ve Kafkasya: Reaksiyoner Dış Politikadan Proaktif Ritmik Diplomasiye Geçiş, 2010, გვ. 107-108). 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ გაჟღერებული „კავკასიის სტაბილურობის და თანამშრომლობის პლატფორმის“ ინიციატივა წარმოადგენს რეგიონალური პრობლემების და კონფლიქტების დარეგულირებაში ჩართვის და წვლილის შეტანის გამოვლინებას (Babacan, 2008), რაც აშკარად მიანიშნებს 90-იანი წლების თავდაცვითი პოზიციიდან გამოსვლის ტენდენციებზე. ამასთან, თურქეთს, საკუთარი საშუალებები და შესაძლებლობები არ აძლევდა საშუალებას აქცენტი გაეკეთებინა დასავლეთის გავლენის ბოლომდე შემცირებაზე, რის გამოც პლატფორმას განიხილავს ეუთო-ს პრინციპების ქოლგის ქვეშ. (Çelikpala, Türkiye ve Kafkasya: Reaksiyoner Dış Politikadan Proaktif Ritmik Diplomasiye Geçiş, 2010, s. 109-110)

2020 წლის შემდეგ ინიცირებული ე.წ. „3+3 ფორმატი“ ასახავს თურქეთის მხარდ ამბიციებს, იკისროს ლიდერის როლი რეგიონში და გლობალურ არენაზე. ეს ინიციატივასრულ იზოლაციაში აქცევს არარეგიონული ძალებს და წინა პლანზე გამოყავს რფ, თურქეთი და ირანი.

თურქეთის საგარეო პოლიტიკის ტრანსფორმაციის პარალელურად იცვლებოდა მისი მიდგომა კავკასიის რეგიონის კონკრეტული ქვეყნების მიმართ. თუ საწყის ეტაპზე თურქეთის ძირითადი ამოსავალი აზერბაიჯანის ინტერესები იყო, 2008-2009 წლებში, „მეზობლებთან ნული პრობლემის“ პოლიტიკის შედეგად, ყურადღება ასევე გამახვილდა სომხეთთან ნორმალიზაციაზე. ამასთან, თურქული ინიციატივა წარუმატებელი აღმოჩნდა და ზიანი მიაყენა აზერბაიჯანთან ურთიერთობებს. 2010 წლიდან თურქეთი დაუბრუნდა ძველ პოლიტიკას, საერთაშორისო და შიდა პოლიტიკური ვითარების უკეთესობისკენ შეცვლამდე. 44 დღიანი ომის შედეგებმა თურქეთის და სომხეთის ნორმალიზაციის პროცესი ისევ დააყენა დღის წესრიგში. მხარეები აწარმოებენ მოლაპარაკებებს სპეციალური წარმომადგენლების დონეზე. ამასთან, თურქეთი დეტალურად აწვდის ინფორმაციას აზერბაიჯანს და ითვალისწინებს მის ინტერესებს, რათა თავიდან იქნას აცილებული წარსული უთანხმოებები.

შეიძლება აღინიშნოს, რომ უკანასკნელ პერიოდამდე თურქეთის პოლიტიკას საქართველოსთან მიმართებით არ განუცდია მკვეთრი ცვლილება. თურქეთი საქართველოს განიხილავს პირველ რიგში სატრანზიტო ქრილში და შესაბამისად პრიორიტეტს ანიჭებს სტაბილურობას და სიმშვიდეს. აქედან გამომდინარე მხარს უჭერს საქართველოს ევრო-ატლანტიკურ მისწრაფებებს და ჩართულია სხვადასხვა სამხედრო და სამოქალაქო ხასიათის

პროექტებში. ყარაბაღის კონფლიქტის გადაწყვეტის შემდეგ, რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე, მნიშვნელოვნად გაიზარდა აღმოსავლეთ-დასავლეთის დამაკავშირებელი დერეფნების როლი. აღნიშნულ კონტექსტში დიდი მნიშვნელობა ენიჭება თურქეთ-საქართველო-აზერბაიჯანის თანამშრომლობას.

მსოფლიოში მიმდინარე პროცესების და რეგიონში შექმნილი ვითარების, ასევე ზემოთ განხილული საგარეო პოლიტიკური მიზნების და მისწრაფებების გათვალისწინებით, პროგრამის „თურქეთის საუკუნე“ ფარგლებში, თურქეთის კავკასიური პოლიტიკის პრიორიტეტებად შესაძლებელია განსაზღვრული იქნას შემდეგი საკითხები:

- კავკასიის რეგიონში სტაბილური გარემოს უზრუნველყოფა და არსებული კონფლიქტების გამწვავების არ დაშვება. შესაბამისი პირობების წარმოქმნის შემთხვევაში მათ გადაწყვეტაში საკუთარინ წვლილის შეტანა;
- აზერბაიჯანის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პროცესის დასრულება და სომხეთ-აზერბაიჯანის სამშვიდობო შეთანხმების გაფორმება;
- სომხეთთან ნორმალიზაციის პროცესის გაგრძელება და პროგრესის მიღწევა;
- კავკასიაში საკუთარი გავლენის ზრდა და რუსეთის და ირანის დაბალანსება;
- კავკასიაში არარეგიონალური აქტორების აქტივობების შეზღუდვა;
- აღმოსავლეთ-დასავლეთის დამაკავშირებელი სატრანსპორტო დერეფნის სტაბილური ფუნქციონირება და შესაძლებლობების გაზრდა. მათ შორის ზანგეზურის დერეფნის პროექტის განხორციელება;
- ცენტრალური აზიის ქვეყნების ენერგომატარებლების თურქეთთან დამაკავშირებელ მილსადენ სისტემაში ჩართვა და მსოფლიო ბაზარზე ტრანსპორტირება;
- სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება.

დასკვნა

ზემოაღნიშნულიდან განმომდინარე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ უახლოეს მომავალში ოფიციალური ანკარა შეეცდება ანარმოს პროაქტიური საგარეო პოლიტიკა და გაზარდოს საკუთარი როლი საერთაშორისო არენაზე, რისთვისაც გამოიყენებს რფ-უკრაინის ომის შემდეგ განვითარებულ მოვლენებს და წარმოქმნილ შესაძლებლობებს. თურქეთისთვის აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვა, კავკასია, შავი ზღვა, ბალკანეთი, ახლო აღმოსავლეთი, და ცენტრალური აზია დარჩება ინტერესის ძირითად სფეროდ. თურქეთის ხელისუფლების აზრით, სწორედ ამ რეგიონებისთვის უნდა იქცეს გრავიტაციის

ცენტრად „თურქული ღერძი“. ამასთან, თურქეთის საგარეო პოლიტიკა ორიენტირებული იქნება მრავალვექტორულ საგარეო პოლიტიკაზე და შეეცდება ტრადიციული მიმართულებების გარდა, საკუთარი შესაძლებლობები გაზარდოს სხვადასხვა საგარეო პოლიტიკურ ფორმატებში.

უნდა აღინიშნოს, რომ შავ ზღვაზე და სამხრეთ კავკასიაში თურქეთისთვის პრიორიტეტული იქნება ე.წ. „რეგიონალური პატრონაჟის“ პოლიტიკის გატარება, რის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მექანიზმადაც რჩება „მონტროს კონვენცია“. თურქეთს არ სურს რეგიონში გარე ძალების აქტიურობა და მაქსიმალურად შეეცდება წინა პლანზე წამოწიოს ინიციატივები, რომლებშიც ჩართულები იქნებიან მხოლოდ რეგიონის ქვეყნები. სავარაუდოდ ამ საკითხში თურქეთის და რფ-ს ინტერესები თანხვედრაში მოდიან.

თურქეთით თვლის, რომ თურქეთ-სომხეთისა და აზერბაიჯან-სომხეთის ნორმალიზაციის პროცესების პროგრესი აუცილებელია სამხრეთ კავკასიაში სტაბილურობის, მშვიდობის, კეთილდღეობისა და უსაფრთხოებისთვის, რაც მიუთითებს, თურქეთის საგარეო პოლიტიკურ დღის წესრიგში აზერბაიჯანის ტერიტორიული მთლიანობის საკითხის მნიშვნელობაზე, ასევე, სომხეთთან დაწყებული ურთიერთობის ნორმალიზების პროცესის გაგრძელების პერსპექტივაზე.

თურქეთის საგარეო პოლიტიკურ დღის წესრიგში შენარჩუნდება საქართველოსადმი განსაკუთრებული ინტერესი, ჩვენს ქვეყნებს შორის არსებული მჭიდრო პოლიტიკური, ეკონომიკური, სავაჭრო ურთიერთობების გათვალისწინებით. ჩვენს ქვეყნებს შორის, ურთიერთობების ამჟამინდელი დინამიკა გვაფიქრებინებს, რომ იმ შემთხვევაში, თუ თურქეთის ან საქართველოს საგარეო პოლიტიკურ დღის წესრიგში არ მოხდა რადიკალური ცვლილებები, გაგრძელდება თურქეთის მხარდაჭერა საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის საკითხზე, ასევე, საქართველოს ნატო-სა და ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესთან დაკავშირებით.

ამასთან, აქტუალობას შეინარჩუნებს მოქმედი სატრანსპორტო-ენერგეტიკული პროექტები და დღის წესრიგში პრიორიტეტულობას შეიძენს ტრანსკასპიური საერთაშორისო სატრანსპორტო გზის, იგივე „შუა დერეფნის“ ინიციატივა, რომელიც, მნიშვნელოვანი კომპონენტი იქნება უძველესი „აბრეშუმის გზის“ აღდგენისკენ მიმართულ ძალისხმევაში.

დიდი ალბათობით, სავაჭრო ურთიერთობები იქნება წამყვანი სფერო ორმხრივ თანამშრომლობაში.

რეგიონის კონფლიქტების დარეგულირების მიზნით, მოსალოდნელია, რომ თურქეთი კვლავ უპირატესობას მინიჭებს „რეგიონული პატრონაჟის“ პოლიტიკას და ადგილობრივ ინიციატივებს. ამასთან, წარსულში, თურქეთის მიერ შესრულებული მედია-

ციის გათვალისწინებით, ერდოღანის ახალი ვადით მმართველობის პერიოდში, გამორიცხული არ არის, რომ კიდევ უფრო გააქტიურდეს ანკარის მცდელობები, რეგიონის სხვა კონფლიქტების დარეგულირების პროცესში მონაწილეობის მისაღებად.

ლიტერატურა

- “TÜRKİYE YÜZYILI”NDA MİLLİ DIŞ POLİTİKA.(2023).** Retrieved 07 30, 2024, from Dış İşleri Bakanlığı: <https://www.mfa.gov.tr/dis-politika-genel.tr.mfa>
- Aydın, M. (2019).** Between Euphoria and Realpolitik: Turkish Policy toward Central Asia and the Caucasus. In T. Y. Ismael, *Turkey's Foreign Policy in the 21st Century: A Changing Role in World Politics* (p. 142). New York: Routledge Taylor & Francis Group.
- Babacan, A. (2008, 09 23).** *Calming the Caucasus*. Retrieved 02 06, 2024, from The New York Times: <https://www.nytimes.com/2008/09/23/opinion/23iht-edbabacan.1.16407371.html>
- Çelikpala, M. (2005).** Türkiye’de Kafkas Diasporası ve Türk Dış Politikası’na Etkileri. *Uluslararası İlişkiler*, 2, N:5, 102.
- Çelikpala, M. (2010).** Türkiye ve Kafkasya: Reaksiyoner Dış Politikadan Proaktif Ritmik Diplomasiye Geçiş. *Uluslararası İlişkiler*, 7, N:25, 95.
- Davutoğlu, A. (2001).** *Stratejik Derinlik: Türkiye'nin Uluslararası Konumu*. İstanbul: Küre Yayınları.
- Davutoğlu, A. (2013, 03 21).** *Zero Problems in a New Era: Realpolitik is no answer to the challenges posed by the Arab Spring*. Retrieved 02 05, 2024, from Foreign Policy Magazine: <https://foreignpolicy.com/2013/03/21/zero-problems-in-a-new-era>
- Davutoğlu, A. (2013, 03 21).** *Zero Problems in a New Era: Realpolitik is no answer to the challenges posed by the Arab Spring*. Retrieved 12 14, 2024, from Foreign Policy Magazine: <https://foreignpolicy.com/2013/03/21/zero-problems-in-a-new-era>
- Erdoğan, R. T. (2014, 09 24).** *Dünya 5'ten büyüktür*. Retrieved 07 31, 2024, from Al-Jazeera: <https://www.aljazeera.com.tr/haber/erdogan-dunya-5ten-buyuktur>
- Erdoğan, R. T. (2022, 10 28).** *“TÜRKİYE YÜZYILI” TANITIM TOPLANTISI KONUŞMASI*. Türkiye Cumhuriyeti Cumhurbaşkanlığı: https://www.tccb.gov.tr/assets/dosya/2022-10-28-turkiye_yuzuil.pdf adresinden alındı
- F. S. Larrabee, I. O. Lesser. (2003).** *Turkish Foreign Policy in an Age of Uncertainty*. Arlington: RAND.
- Fidan, H. (2023, 08 14).** *Dışişleri Bakanı Sayın Hakan Fidan'ın 14. Büyükelçiler Konferansı Açılışında Yaptığı Konuşma*. Retrieved 07 31, 2024, from Dış İşleri Bakanlığı: <https://www.mfa.gov.tr/disisleri-bakani-sayin-hakan-fidan-in-14-buyukelciler-konferansi-acilisinda-yaptigi-konusma--7-agustos-2023.tr.mfa>
- Hunter, S. (1994).** *The Transcaucasus in Transition: Nation Building and Conflict*. Washington D.C.: Center for Strategic and International Studies.
- Jones, S. A. (2000).** Turkish Strategic Interests in the Transcaucasus . In G. K. (der.), *Crossroads and Conflict: Security and Foreign Policy in the Caucasus and Central Asia* (p. 57). New York: Routledge.
- Müderrişoğlu, O. (2024, 03 02).** *Bölgesel Sahiplenme girişimi*. www.sabah.com.tr: <https://www.sabah.com.tr/yazarlar/muderrisosglu/2024/03/02/bolgesel-sahiplenme-girisimi> adresinden alındı
- Murat Yeşiltaş, Ferhat Pirinççi. (2020).** *Küresel Dönüşüm Sürecinde Türkiye'nin Büyük Stratejisi*. İstanbul: SETA kitapları.
- R.T.Erdoğan. (2023, 05 05).** *Haberler*. 02 09, 2024 tarihinde İletişim Başkanlığı: <https://www.iletisim.gov.tr/turkce/haberler/detay/cumhurbaskani-erdogandan-sahada-ve-masada-guclu-turkiye-paylasimi> adresinden alındı
- Türkiye Yüzyılı için Doğru Adımlar, Seçim Beyannamesi 2023.**(2023, 04 11). Retrieved from Ak Parti: <https://www.akparti.org.tr/media/dwyd05pu/tu-rkiye-yuzy%C4%B1%C4%B1-ic-in-dog-ru-ad%C4%B1mlar-2023-sec-im.pdf>
- Türkiye-Afrika İlişkileri. (2025, 2 23).** Retrieved from Dış İşleri Bakanlığı: <https://www.mfa.gov.tr/turkiye-afrika-iliskileri.tr.mfa>
- Yeniden Asya Girişimi. (2025, 2 25).** Retrieved from Dışişleri Bakanlığı: <https://www.mfa.gov.tr/yeniden-asya-girisimi.tr.mfa>
- თავაძე, დ. (2023).** თურქეთის რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები „თურქეთის საუკუნეში“. „*დუნია*“, თავისუფალი უნივერსიტეტის აზინსა და აფიკის ინსტიტუტის სამეცნიერო ჟურნალი #1, 28.
- მაკარაძე, ე. (2019).** თურქეთის ისტორია 1918-2018 წლებში (სადექტო ჩანაწერები). თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“.
- მანჩაშვილი, მ. (2014).** თურქეთი XX საუკუნის ბოლოსა და XXI საუკუნის დამდეგს. თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“.

ეთნოგრაფიული ტურიზმი და სოციალური მედია საქართველოში
 ქალაქისა (ბათუმი) და სოფლის მაგალითებზე (მერიისი)
 ETHNOGRAPHIC TOURISM AND SOCIAL MEDIA IN GEORGIA
 ON THE EXAMPLE OF THE CITY (BATUMI) AND THE VILLAGE (MERISI)

ნათია თავდგირიძე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Natia Tavdgiridze Shota Rustaveli Batumi State University

<https://orcid.org/0009-0001-5866-1907>

საკვანძო სიტყვები: ეთნოგრაფია, ტურიზმი, სოფელი
Keywords: ethnography, tourism, village

ABSTRACT

The purpose of this research is to present the role that ethnographic tourism and social media play in fostering the tourism industry's growth. Nowadays, social media stands out as an excellent platform for showcasing Georgia's cultural-historical treasures. To leverage this, it is crucial to identify locations of cultural value and design the country's tourist routes accordingly. Among the post-Soviet countries, Georgia is a country with a rich diversity of ethnographic regions. From the point of view of tourism resources, Adjara is particularly special among these regions. The best example of transformation is the newly transformed and modernized city of Batumi, often referred to as the "Batumi Miracle". The city of Batumi and the region of Adjara, in general, are successful examples of regional development based on tourism. The issue discussed in the paper is highly relevant today because social media represents the most effective platform for showcasing Georgian tourism, the proper use of which in specific contexts is crucially important. In the past, discovering the country's attractive locations required extensive travel, whereas now, through social media, interested individuals can explore and gather information about various travel routes from the comfort of their screens. In the 21st century, even a few seconds of video clips from leading media outlets can compel travelers to pack their bags and journey to the captivating seaside town of Batumi. The visual effect plays a crucial role in boosting tourism business development, as exemplified by our TV series of informative and entertaining programs, titled "One Day in the Village". For eleven years through this project, we have been exploring the highlands of Adjara, showcasing its tourist destinations, history, ethnography, and folklore to our viewers. For instance, the local traditional cuisine has already been honored by UNESCO as a cultural heritage monument. These programs have played a pivotal role in uncovering and developing several previously unknown tourist routes into popular tourist attractions. The materials studied offer intriguing insights. In today's

highly developed tourism landscape, competition and expectations have risen accordingly. Naturally, travel has evolved into a compelling ritual for people from nearly every country. Through observation over time, it's clear that tourists no longer seek out just the same locations. Hence, Adjara tourism now targets not only the city of Batumi and its picturesque sea but also the surrounding mountain villages. Previously, the social media campaign "Spend Your Summer in Georgia" has now evolved to include the challenge "Spend 4 Seasons in Georgia," which has piqued the interest of those in the tourism sector. This shift indicates that the region offers travelers more than just the sea, boulevard, botanical garden, and Roman Gonio Castle; now, Adjara with its mountains and passes is attracting visitors throughout all four seasons. An important innovation has emerged in the form of new tourist routes, focusing specifically on the ethno-cultural aspects of Batumi, the Pontic Greeks, and the Merisi Valley. These elements provide the basis for creating structured routes for guides and presenting key events in social media and ethnographic tourism through video studies produced by the authors. The main theoretical and methodological foundations of our research include field-ethnographic materials, visualization of ethnographic facts, modern literary sources, and scientific research. Our preferred research methods prioritize the historical-comparative method, as well as quantitative and qualitative research approaches. According to the research, it has been found that the strategy for tourism development in Georgia aligns with globally recognized principles of sustainable tourism. However, being a relatively young sector in Georgia, it is not immune to certain shortcomings, and some elements may not fully meet market requirements. Therefore, to effectively showcase the tourist infrastructure, it is essential to use media more effectively and develop a comprehensive plan that integrates all tourist locations and cultural values. This plan should systematically process each element within its contextual direction.

მსოფლიო ტურიზმის ინდუსტრიაში გარკვეულ ქვეყნებს თავისი ნიშა უკვე უჭირავს, რომელთა მაგალითზე აღმოსავლეთი ევროპისა და დასავლეთი აზიის რეგიონების სხვადასხვა ქვეყანა ცდილობს თავიანთი გამოცდილებები განაახლონ და ასევე განახლებული ტურისტული პროდუქტებით თავიანთ ქვეყნებში ტურისტების მიზიდვა შეძლონ. ტურისტული ინდუსტრია განვითარების ფართო სპექტრს ქმნის და ეს საქართველოსაც შეეხება. ამ მხრივ, პოსტსაბჭოთა ქვეყნებში საქართველო ეთნოგრაფიული მხარეებით გამორჩეული მრავალფეროვანი ქვეყანაა. საქართველოს კულტურულ-ისტორიული ფასეულობებისა და ტურიზმის წარმოსაჩენად სოციალური მედია დღეს ერთ-ერთი ყველაზე კარგი საშუალებაა, პლატფორმაა, რომლისთვისაც აუცილებლობას წარმოადგენს კულტურული ღირებულებების ადგილების განლაგების დადგენა და, შესაბამისად, ქვეყნის ტურისტული მარშრუტების განსაზღვრა. კონკრეტულ პირობებში მათი სწორად გამოყენება უმნიშვნელოვანესია.

ტურისტული რესურსების თვალსაზრისით საქართველოს მხარეებს შორის აჭარა განსაკუთრებულია, ახლადგარდაქმნილი და მოდერნიზებული ქალაქი, ბათუმი კი ტრანსფორმაციის საუკეთესო მაგალითია. მას „ბათუმის სასწაულს“ უწოდებენ. ქალაქი ბათუმი და, ზოგადად, აჭარის რეგიონი, ტურიზმზე დაფუძნებული რეგიონული განვითარების წარმატებული ნიმუშია. თუ ძველად ქვეყნის გასაცნობად და მიმზიდველი ადგილების აღმოსაჩენად ხანგრძლივი მოგზაურობა იყო საჭირო, ახლა სოციალური მედიის საშუალებით დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ ყველა ის მარშრუტი მოიძიონ, სადაც მოგზაურობა სურთ, გაეცნონ მრავალფეროვან მასალას და ინფორმაცია შეკრიბონ. შესაბამისად, სასურველი თავგადასავლისთვის უკეთესად მოემზადონ.

XXI საუკუნეში წამყვანი მედიასაშუალებების მიერ მომზადებული რამდენიმეწამიანი ვიდეორგოლების ნახვაც კი საკმარისია იმ ეფექტის მოსახდენად, რაც მოგზაურს ბარგს ჩაალაგებინებს და მიმზიდველ ზღვისპირა ქალაქ ბათუმში ჩაიყვანს. ტურისტული ბიზნესის განსავითარებლად ვიზუალური ეფექტი ძალიან მნიშვნელოვანია, რომლის ნათელი მაგალითია ჩვენ მიერ მომზადებული შემეცნებით-გასართობ გადაცემათა სატელევიზიო ციკლი – „ერთი დღე სოფელში“. ამ პროექტის საფუძველზე აჭარის მაღალმთიანეთში უკვე თერთმეტი წელია ვმოგზაურობთ და მაყურებელს აჭარის საინტერესო ტურისტულ ადგილებს, მის ისტორიას, ეთნოგრაფიას, ფოლკლორს ვაცნობთ. ნიმუშისათვის, ადგილობრივი ტრადიციული სამზარეულო, როგორც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი, უკვე იუნესკოს მიერაცაა აღიარებული. სწორედ ამ გადაცემების მეშვეობით აქამდე უცნობი არაერთი ტურისტული მარშრუტი აღმოჩნდა და ტურისტულ პროდუქტად ჩამოყალიბდა.

დღეს, როცა ტურიზმი ასე განვითარდა, შესაბამისად გაიზარდა კონკურენცია, მოთხოვნები და, ბუნებრივია, რომ თითქმის ყველა ქვეყნის წარმომადგენლისთვის მოგზაურობა საინტერესო რიტუალად იქცა. დროში დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ტურისტებს უკვე აღარ მოსწონთ ერთი და იმავე ადგილების ხილვა და ისინი სიახლეს მოითხოვენ. ამიტომ, აჭარის ტურიზმის სამიზნედ იქცა არა მარტო ქალაქი ბათუმი და თვალწარმტაცი ზღვა, არამედ მის მიმდებარედ არსებული მთიანი სოფლებიც. თუ აქამდე სოციალურ ქსელში იყო კამპანია „Spend Your Summer in Georgia“, ახლა ტურიზმის სექტორში დასაქმებულთათვის საინტერესო გახდა გამოწვევა – „Spend 4 Season to Georgia“, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს რეგიონი მოგზაურთათვის არა მარტო ზღვით, ბულვარით, ბოტანიკური ბაღით და რომაული ხანის გონიოს ციხით არის საინტერესო, არამედ მთითა და უღელტეხილებით. შესაბამისად, აჭარა უკვე ოთხივე სეზონზე მოთხოვნადი გახდა. ამის ნათელი საილუსტრაციო ნიმუშია ბათუმიდან სამი საათის სავალ გზაზე არსებული გოდერძის უღელტეხილი, რომელიც წარმოდგენილია ალპური მდელოებითა და ტყიან ზოლში არსებული მდიდარი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებით (ხალვაში და სხვანი, 2019, გვ.15-25). გოდერძი აჭარის სამთო-სათხილამურო კურორტია. ეს არის მთა, სადაც თოვლი ყველაზე ადრე მოდის და ყველაზე გვიან დნება. კურორტ გოდერძიზე ყველაზე გრძელი – შვიდკილომეტრიანი სასრიალო ტრასაა. ექსტრემის მოყვარულები ამ ადგილს. გაუკვალავ თოვლში სრიალის გამო, ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან სტუმრობენ. გოდერძის უღელტეხილზე მზარდი მოთხოვნების გამო, საოჯახო სასტუმროების პარალელურად ხუთვარსკვლავიანი სასტუმროებიც მრავალადაა, სადაც ტურისტს დასვენებისთვის ყველა პირობა ხვდება.

მიმზიდველი მდებარეობის და მრავალფეროვანი დასასვენებელი ადგილების წარმოსაჩენად ტურიზმის დეპარტამენტმა არაერთი ვიდეორგოლი და სტატია მოამზადა, რომლებიც მსოფლიოს წამყვან ტელევიზიებსა თუ ჟურნალებში გამოქვეყნდა. ამით ჩვენ ვცდილობთ ბათუმი მიმზიდველი და პოპულარული გახადოთ არა მარტო მეზობელი ქვეყნებისთვის, არამედ მსოფლიოს ისეთი ქვეყნებისთვისაც, რომელთა მთავარი ღირებულება ტურიზმი და ახალი ლოკაციების აღმოჩენაა. უნდა აღინიშნოს, რომ გასულ წელს, ბათუმმა, როგორც ევროპისა და შემდეგ უკვე, როგორც მსოფლიოს სწრაფად მზარდმა ტურისტულმა მიმართულებამ, World Travel Awards-ის პრესტიჟული ჯილდო მოიპოვა. 2023 წლის 30 სექტემბერს კი ბათუმში ევროპის დაჯილდოების ცერემონია გაიმართა. მსოფლიოში ოსკარის სახელით ცნობილ გალა ცერემონიაში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ტურიზმის ინდუსტრიის წამყვანმა კომპანიებმა, სასტუმროებმა, ტურისტულმა სააგენტოებმა და ბიზნესორგანიზაციებმა მიიღეს მონაწილეობა.

აღნიშნული ღონისძიება საერთაშორისო მედიის სა-
მასამდე წარმომადგენელმა გააშუქა. ამ თვალსაზ-
რისით, სოციალური მედიის როლი და თანამედროვე
გამოწვევები უმნიშვნელოვანესი იყო აღნიშნული
მოვლენის მასშტაბური გავრცელებისათვის. ეს კი
იმას ნიშნავს, რომ დღეს ტურიზმის საინტერესო
ადგილების დამსვენებლებამდე სწორად შეფუთვა
და მიტანა სჭირდება, რა როლსაც XXI საუკუნეში სო-
ციალური მედია კისრულობს (თავდგირიძე, 2024).

ჩვენი მიზანია მედიასაშუალებების გამოყენე-
ბით განვსაზღვროთ კულტურული მემკვიდრეობის
როლი აჭარის ტურიზმის განვითარებაში, ვეძებოთ
ამ პრობლემის გადაჭრის სხვადასხვა ალტერნატი-
ული გზა, რათა სამომავლოდ ტურისტული ინფრა-
სტრუქტურის განვითარების კონცეპტუალური მო-
დელი ჩამოვყალიბოთ.

ამისთვის დღის წესრიგში დადგა ისეთი ამო-
ცანების გადაწყვეტა, როგორებიცაა კულტურული
ტურიზმის სახეობათა განსაზღვრა, ტურისტული მა-
რშრუტებისა და ძირითადი ტურისტული ღირსშესა-
ნიშნაობების დადგენა, კულტურული (არამატერია-
ლური და მატერიალური) და რელიგიური ტურიზმის
უმთავრესი მახასიათებლების შეფასება, შესაბამი-
სად, რეგიონში ტურიზმის განვითარების ხელისშე-
მშლელი ფაქტორების გამოვლენა და მათი მოგვა-
რების გზების ძიება. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი
ამოცანაა სოციალური მედიის საშუალებით მომხ-
მარებლებისათვის მრავალფეროვანი ტურისტული
პროდუქციის შეთავაზება და ამ პლატფორმის სწო-
რად გამოყენება, ამის გათვალისწინებით კი სამო-
მავლო ხედვების საფუძველზე ოპტიმალური ტუ-
რისტული მოდელის დამუშავება.

კვლევის მეთოდები

ჩვენი კვლევის ძირითადი თეორიული და მე-
თოდოლოგიური საფუძვლებია სავლე-ეთნოგრა-
ფიული მასალები და ეთნოგრაფიული ფაქტების
ვიზუალიზაცია; ლიტერატურული წყაროები და სა-
მეცნიერო კვლევები. კვლევის მეთოდებიდან ჩვე-
ნთვის პრიორიტეტულია ისტორიულ-შედარებითი,
რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევის მეთო-
დები.

წინამდებარე სტატიაში ყურადღება გამახვილე-
ბულია აჭარის რეგიონის ბუნებრივ-გეოგრაფიულ
დახასიათებაზე, ქალაქ ბათუმის, საქართველოს
შავიზღვისპირეთში მცხოვრები პონტოელი ბერძ-
ნებისა და მერისის ხეობის ეთნოკულტურულ თა-
ვისებურებებზე, რომლის საფუძველზე გიდებს შეი-
ძლება მოდელირებული მარშრუტები შევთავაზოთ
და ავტორთა მიერ შექმნილი ვიდეოეტიუდების მა-
გალითზე სოციალური მედიისა და ეთნოგრაფიული
ტურიზმისათვის მნიშვნელოვანი შემდეგი მოვლე-
ნები განვიხილოთ.

ქალაქი ბათუმი

ბათუმი ევროპული ტიპის ქალაქია აღმოსავლური
აქცენტებით, რომლის ისტორია და თანამედრო-
ვეობა მრავალ საინტერესო ეპიზოდს აერთიანებს.
ყურადღებას იქცევს ქალაქის ეთნოკონფესიური
პორტრეტი, მასთან დაკავშირებული ტურისტული
პოტენციალი და კულტურული რესურსები: ქრისტი-
ანული – მართლმადიდებლური და კათოლიკური
ტაძრები, სინაგოგა, მეჩეთი, მიმზიდველია ძველი
ბათუმის არქიტექტურა, შესაბამისად, ქალაქი გამო-
ირჩევა შიდა ტურისტული მარშრუტებით (ელიზიანი
და რაიცი, 2010; აზმაიფარიშვილი, 2019). ბათუმისა და
მისი შემოგარენის საფორტიფიკაციო, საეკლესიო
და საერო ხუროთმოძღვრების ძეგლები, ხალხური
ხითხურობის ნიმუშები, საცხოვრებელი და სამე-
ურნეო დანიშნულების შენობები, საინჟინრო ნაგე-
ბობები, ფორმითა და შინაარსით მეტ-ნაკლებად
შეესატყვისება ზოგადად აჭარის კულტურულ მოზაი-
კას, თუმცა XIX საუკუნის მიწურულისა და XX საუკუნის
დასაწყისის ბათუმმა ევროპული ქალაქების სტი-
ლში აღმოსავლური აქცენტებით დაიწყო განვითარ-
ება. საქალაქო არქიტექტურის ძეგლები ადასტუ-
რებენ, რომ საქართველოს ძირძველი კუთხე – აჭარა
კულტურული მემკვიდრეობის ნუმუშებით მდიდარი
მხარეა. მატერიალური კულტურის ძეგლები, ლი-
ტერატურული წყაროები, ხალხური გადმოცემები
აქ მაღალი სამშენებლო ტრადიციების არსებობას
ადასტურებს. უძველესი ციხე-სიმაგრეები, ხიდები,
მათ შორის, შუასაუკუნეების ხისა და ქვის თაღო-
ვანი ხიდები, მუზეუმები, ნაეკლესიარები თუ ეკლე-
სიები, მუსლიმანური სამლოცველოები – მეჩეთები
ამ კუთხის მრავალფეროვნებას კიდევ ერთხელ
უსვამს ხაზს (მგელაძე და ლორია, 2010; ბარამიძე,
2010). ამასთან, აჭარის კულტურული მემკვიდრე-
ობა ბათუმში, ისე როგორც მთიანი სოფლის ტიპის
დასახლებებში ქართული ისტორიისა და კულტუ-
რის ნაწილია. მისი ისტორიული ღირებულებები,
სხვა რეგიონის ფასეულობებთან ერთად, ქართული
კულტურის მრავალფეროვნებას განსაზღვრავს და
მახლობელი ქრისტიანული თუ ისლამური ტრადი-
ციების მქონე ქვეყნების კულტურასთან მჭიდრო
კონტაქტებს ავლენს.

XVIII საუკუნის პირველ ნახევარში „მცირე ქა-
ლაქი“ ბათუმი მდინარე ყოროლის წყლის შავ ზღვა-
სთან შეერთების ადგილას მდებარეობდა. XVIII საუ-
კუნის დამლევადან ძველმა დასახლებამ თანდათან
სამხრეთით გადაინაცვლა, რადგან აქ ქალაქის
გაშენების შესაძლებლობას ყურის გარშემო არსე-
ბული ვრცელი დაბლობი ქმნიდა, რომელიც მაშინ
ხშირი ტყით და ჭაობით იყო დაფარული (მაღაყ-
მაძე და ფუტკარაძე, 2024, გვ.7). 1878 წლიდან აჭარის
საქართველოსთან დაბრუნებისა და რუსეთის იმპე-
რიასთან მიერთების შემდეგ ბათუმი საპორტო ქა-
ლაქად იქცა. XIX საუკუნის 80-90 წლებისთვის პარა-

ლელური და პერპენდიკულარული ქუჩების ქსელით ბათუმის დაგეგმარება უკვე განსაზღვრული იყო. ქალაქი სანაპირო ზოლში გაშენდა და მისი ბუნებრივი ორიენტირით, ზღვით, შემოისაზღვრა. საპორტო ქალაქის სპეციფიკამ არქიტექტურული სივრცის ბუნებრივი დომინანტიდან, ზღვიდან, ორიენტირებას შეუწყო ხელი.

XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე აჭარის კულტურული მემკვიდრეობის მრავალფეროვნება ყველაზე მეტად სწორედ ბათუმის საკულტო არქიტექტურაში აისახა. ეს ბუნებრივიც იყო, რადგან ამ პერიოდის ბათუმი მულტიკონფენსიური ქალაქი იყო. აქ ერთმანეთის გვერდით ქრისტიანული, მუსლიმური, ებრაული და სხვა კონფესიების სალოცავები თანაარსებობდა. მხატვრულ-სტილისტური თვალსაზრისით, ბათუმის არქიტექტურა, ისე როგორც საქართველოს სხვა ქალაქებისა, რუსეთისა და ევროპის ქალაქების სპეციფიკას გამოხატავდა და „ევროპეიზებული“, „კოსმოპოლიტურ“ ხასიათს ატარებდა (ჭიჭილეიშვილი, 2010; მგელაძე, 2013)

ქალაქ ბათუმის ისტორიულ უბანში მდებარე წმინდა ნიკოლოზის ბერძნულად წოდებული მართლმადიდებლური ტაძარი ბათუმის ერთ-ერთი ყველაზე ადრეული საეკლესიო ნაგებობაა. იგი 1865-1871 წლებში ადგილობრივი ქართველი საზოგადოების მხარდაჭერით ბერძნების დაკვეთით აიგო. გარე ფორმებისა თუ ინტერიერის მხატვრული გადაწყვეტით, ტაძარი ბიზანტიური არქიტექტურის ნიმუშებთან იჩენს სიახლოვეს. დღეს ტაძარი ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის მფლობელობაშია.

რუსეთის იმპერიასთან დაკავშირების შემდეგ ბათუმში კათოლიკეთა რიცხვი გაიზარდა. კათოლიკე ქართველებთან ერთად მომრავლდნენ ქალაქში ჩამოსული ევროპელი კომერსანტები, მრეწველები, საკონსულოებში მომუშავე დიპლომატები, რაც, თავის მხრივ, ეკლესიის აშენების აუცილებლობას განაპირობებდა. ბათუმის კათოლიკური თემისთვის განკუთვნილი ბათუმის ღვთისმშობლის საკათედრო ტაძარი 1898-1902 წლებში ცნობილი ქართველი ნავთობმრეწველისა და მეცენატის – სტეფანე ზუბალაშვილის შემწეობითაა აგებული. არქიტექტორ ალექსანდრე როგოისკის პროექტით აშენებული ტაძარი ქალაქ ბათუმის ერთ-ერთი გამორჩეული ძეგლია. 1989 წლიდან ეკლესია ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის მფლობელობაშია. აქვე უნდა გამოიყოს გასულ საუკუნეში აგებული სომხური ეკლესია და ებრაელთა დიასპორის ინიციატივით აშენებული სინაგოგა.

XIX-XX საუკუნეების მიჯნის ბათუმის მულტიკონფენსიურ სივრცეში მნიშვნელოვანი ადგილი მუსლიმურ სალოცავებს ეჭირა. 1909 წლის რუკის მიხედვით ბათუმში „აზიზიესა“, „ახმედიესა“ და „მუფთიეს“ მეჩეთები ფუნქციონირებდა. აჭარის სამუფთოს ცენტრალური მეჩეთი 1866 წელს არის აგებული. მას „ორთა-ჭამე“ ანუ „შუა ჭამე“ ეწოდება, რადგან იგი ორ მეჩეთს

– „აზიზიესა“ და „მუფთიეს“ შორის იყო განთავსებული. ბათუმის „ორთა ჭამე“ ქართული და ისლამური კულტურული ტრადიციების სინთეზის ნიმუშია (ბარამიძე, 2010, 2014; ჭიჭილეიშვილი, 2024: გვ.126-150).

ბათუმი გამორჩეულია სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების დასახლებებით, ამ მხრივ მნიშვნელოვანია პონტოელი ბერძნების დასახლება. აჭარის ზღვისპირეთში ბერძნული დასახლებები გვხვდება სოფლებში: ახალშენი, ყოროლისთავი, ფერია, დაგვა, კვირიკე, აჭყვა, ქალაქებში: ბათუმი და ქობულეთი. ზღვისპირა ქალაქების, დაბებისა და მახლობელი სოფლების გარდა, ბერძნები აჭარის მთიანეთშიც მკვიდრდებოდნენ და უმეტესად ხელოსნობას – მჭედლობას მისდევდნენ (მგელაძე და გიორგაძე, 2020). ეთნოგრაფიული კუთხით საინტერესოა აჭარაში მცხოვრებ ბერძენთა საკარმიდამო კომპლექსი, რომელიც საცხოვრებელ ნაგებობასთან ერთად საცხოვრებელ მოიცავდა. მას „ფურუნი“ ეწოდებოდა. „ფურუნი“ პურის საცხოვრებელ ნაგებობად გამოიყენებოდა. ახლო წარსულში მას ჭყინტი სიმინდის გასახმობად, სხვადასხვა ხილისაგან ჩირის დასამზადებლად და „პასკის“ საცხოვრებელ იყენებდნენ.

აჭარაში მცხოვრებ ბერძენთა უმეტესობა თავის დროზე ტრაპიზონის, ყარსისა არგიოპოლისის მიდამოებიდან შევიწროებას გამოერიდა და მათი დიდი ნაწილი საქართველოში დასახლდა. აჭარის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან საქართველოს შავიზღვისპირეთში მცხოვრები პონტოელი ბერძნების საეკლესიო არქიტექტურას უჭირავს. ამიტომ, პონტოელ ბერძენებთან მიმართებით აქ კულტურულ გარემოსთან და ყოველდღიურობასთან დაკავშირებულ იმ ასპექტებს განვიხილავთ, რომლებიც საქართველოს შავიზღვისპირეთში, ბათუმსა და მისი შემოგარენში პილიგრიმულ ტურიზმს უკავშირდება, რადგან პონტოელი ბერძნები საქართველოში პილიგრიმული ტურიზმის კუთხით განსაკუთრებით საინტერესოა. პონტოელ ბერძენთა განსახლების აჭარის არეალში – ქალაქში თუ ყველა სოფელში ერთი ეკლესია, ზოგ შემთხვევაში კი – რამდენიმე მართლმადიდებლური ეკლესია მაინც გვხვდება. ხალხური გააზრებით, ისინი დღემდე ცნობილია, როგორც ბერძნული ეკლესიები. ამ მხრივ, ბათუმის წმიდა ნიკოლოზის ეკლესია ერთგვარი გამონაკლისია, რომელსაც ერთი პერიოდი რუსულ ეკლესიასაც ეძახდნენ. სოფლებში, სადაც ბერძნები ცხოვრობდნენ, თითქმის ყველგან ამა თუ იმ წმინდანის სახელზე ეკლესიები მათ მიერვე იგებოდა: სოფელ კვირიკეში წმიდა კონსტანტინესა და ელენეს ეკლესია, ასევე, წმიდა გიორგის ეკლესია; სოფელ დაგვაში – ყოვლისწმინდა ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია; სოფელ აჭყვაში – პეტრე-პავლეს და წმინდა თეოდორეს ეკლესიები; ორთა-ბათუმში – წმიდა პანტელეიმონის ეკლესია, ხოლო სოფელ ახალშენში – ფერისცვალების ეკლესია.

ყველა წმინდანს იმავე ეკლესიაში შესაბამისი საეკლესიო პროცედურით მისი სახელობის სადღესასწაულო დღე ეძღვნებოდა. დღესასწაული იყო არა მხოლოდ სოფლის მაცხოვრებელთა შეკრების, არამედ ნათესავთა, მათ შორის, სოფლიდან სხვა მხარეში გადასულთა გაერთიანების ადგილი. ტაძრების არქიტექტურაში სინთეზირებულია ბიზანტიური, ოტომანური და ქართული ხუროთმოძღვრული ელემენტები (ლორია, გიორგაძე, მგელაძე, 2017).

სოფელი მერისი

სოფელი მერისი ბათუმიდან ერთი საათის სავალ გზაზე მდებარეობს. იგი რამდენიმე სოფლისგან შედგება, ესენია: გარეტყე, გუნდაური, ინაშარიძეები, ნამონასტრევი, სიხალიძეები, სილიბაური და საკუთრივ მერისი. ამ ხეობას ასევე მთა „ნაკონალვარი“ ეკუთვნის, რომელიც ბათუმთან ყველაზე ახლოს მდებარე საიალალო მთაა. აქ არსებული ავთენტური ბუნება და ადგილობრივების მიერ შემონახული ტრადიციული ყოფის ამსახველი ნიუანსების ნახვა უცხოელი ტურისტებისთვის განსაკუთრებით მიმზიდველია.

მერისის ხეობა აჭარის ტურისტულ რუკაზე შედარებით ახალი მარშრუტია, რომელსაც დანარჩენი მიმართულებებისგან უგემრიელესი ტრადიციული კერძების გარდა, განსხვავებული საოჯახო სასტუმროები გამოარჩევს. აქ ბოლო რამდენიმე წელია საოჯახო სასტუმროებთან ერთად თანამედროვე ხის კოტეჯები განთავსდა, რომელთაგან რამდენიმე კოტეჯი მსოფლიო პოპულარობით სარგებლობს, მაგალითად ასეთია: „Eko House Merisi“, „Mokvare“ და „GreenWood Merisi“. დასვენებასთან ერთად აქ ჩამოსულ ტურისტებს სასტუმროები ფოლკლორულ მასტერკლასებს სთავაზობს და სტუმრები ქართულ ხალხურ სიმღერებსა და ცეკვებს სწავლობენ. თურმანიძეების მომღერალ ოჯახში სამი თაობა მღერის. ისინი თვითნასწავლი მუსიკოსები არიან, რომელთა ძირითადი შემოსავალი უცხოელი მუსიკოსებისთვის ქართული ხალხური სიმღერის სწავლებაა. მათ საფრანგეთიდან, ჩინეთიდან, ავსტრიიდან და სხვა ქვეყნებიდან ჩასული ტურისტები სტუმრობდნენ.

გამორჩეულ ადგილმდებარეობასთან ერთად მერისის ხეობა საინტერესოა ისტორიული წარსულითა და ღირსშესანიშნაობებით (თავდგირიძე, 2023). მერისში მოგზაურობისას გზად ქედის ისტორიულ მუზეუმში მოხვდებით. აქ ადგილობრივი ყოფის ამსახველი ყოველდღიური ნივთები, სამოსი, შრომის იარაღები და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშებია წარმოდგენილი. აჭარული თოფის, „მაჭახელასა“, და ძველებური სკივრების, ტრადიციული სამოსების გვერდით, შიდაგაშიგ საბჭოთა სიმბოლიკის ნიმუშებსაც შეხვდებით. ასევე, სოფლისკენ მიმავალ გზაზე საუკუნეების წინ ლაზი ოსტატების მიერ აგებული მუსლიმანური სამლოცველოს, მე-

ჩეთის, ნახვაც შეიძლება, რომელიც ისტორიული ძეგლის სტატუსს ატარებს. საინტერესოა სანახავია მერისის სხვადასხვა სოფელში გაბნეული უძველესი ქვის სანახელები, რომელთა გვერდით მევენახეები ვაზს ახარებენ და ჩხავერისა და ცოლიკაურის ჯიშის ყურძნისაგან უგემრიელეს ღვინოს აყენებენ. პოპულარული ქედის ღვინის პარალელურად სოფელ ინაშარიძეებში ტურისტს შესაძლებლობა აქვს მინერალური წყალი მიირთვას და კუჭის პრობლემებს გაუმკლავდეს. ფეხით სავალი ბილიკების მეშვეობით სოფლის სტუმრებს გზად ბევრი საინტერესო ნიშნული შეხვდებათ. რკინის სამჭედლო, სადაც დღემდე შრომობს მჭედელი, მდინარის პირას წყლის ენერჯიაზე მომუშავე დურგალი, რომელიც ხის ჯამებს მამაპაპური მეთოდით ამზადებს. ამ ხეობაში რამდენიმე თაობა კვლავ ერთ ჭერქვეშ ცხოვრობს და უხუცესების საშუალო ასაკი 90 წელია.

მდინარე „აკავრეთას“ ხეობაში მდებარე მერისში ერთდროულად ბევრი რამის ნახვა შეიძლება. მოკლედ, ეს არის ადგილი, სადაც ტურისტებს ერთდროულად შეუძლიათ ბუნებაში დაისვენონ, გაეცნონ აჭარული სოფლის ტრადიციებს, დააგემოვნონ გამორჩეული კერძები, დატკბნენ უნიკალური მერისული ფოლკლორით, ანდა დალაშქრონ ალპური მთები (თავდგირიძე, გვ. 2013; 2019).

ამრიგად, ჩვენ შევეცადეთ ზემოთ წარმოდგენილი ქალაქისა და სოფლის ტურისტული ადგილების მაგალითზე წარმოდგენა შეგვექმნა აჭარის მომხიბვლელ ბუნებრივ-გეოგრაფიულ გარემოსა და ტრადიციულ ფასეულობებზე. აქ წლის ნებისმიერ მონაკვეთში ტურისტულ ჯგუფს შესაძლებლობა ეძლევა ალპური დასახლებებიდან დაწყებული ზღვისპირამდე უმოკლეს დროში იმოგზაუროს, გაეცნოს ადგილობრივ მკვიდრთა ცხოვრების წესსა და მათ ისტორიულ მემკვიდრეობას, დააგემოვნოს ნატურალური პროდუქტისაგან დამზადებული კერძები და, შესაბამისად, კულტურულად დაისვენოს.

დასკვნები

მართალია, საქართველოში ტურიზმის განვითარების სტრატეგია ტურიზმის მდგრადი განვითარების მსოფლიოში აღიარებულ პრინციპებს ეყრდნობა, მაგრამ რადგან იგი საქართველოში ახალგაზრდა მიმართულებაა, ბუნებრივია, დაცული ვერ იქნება გარკვეული ხარვეზებისაგან და, შესაძლებელია, მისი ცალკეული ელემენტი ბაზრის მოთხოვნებს სრულად არ შეესაბამებოდეს. ამისათვის, ტურისტული ინფრასტრუქტურის წარმოსაჩინად საჭიროა მედიასაშუალებების უფრო ეფექტური გამოყენება, გენერალური გეგმის შექმნა, სადაც ყველა ტურისტული ადგილი თუ კულტურული ფასეულობა ურთიერთდაკავშირებული იქნება, ხოლო მისი ყველა პარამეტრის ცალკეული ელემენტი კონტექსტური მიმართულებით დამუშავებული.

ლიტერატურა

- აზმაიფარიშვილი, მ. (2019).** საქართველოს ჩივილია და ზღვისპირა საკუხოხგო ზონის თანამედროვე გამოწვევები.– საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, „ბათუმი: წარსული და თანამედროვეობა“. ბათუმი.
- ბარამიძე, რ. (2010).** მუსლიმური საკუდგო ძეგლები (აჭარა), ბათუმი.
- ბარამიძე, რ. (2014).** საქართველოს მუსლიმური თემი და სახელმწიფო პოლიტიკა (1991-2012 წლები). ბათუმი.
- ნარიშანიშვილი, გ., ხალვაში, მ., ტუნაძე, თ., შანშაშვილი, ნ., ოქროპირიძე, ს. (2019).** გოგეძის უღელტეხილის ისტორია და ეთნოაქეოლოგია. ბათუმი.
- ელიზიანი, ზ., რაიცი, კ. (2010).** ბათუმის ადგილი აჭარის გუხისგური ინდუსტრიის განვითარებაში.– საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, „ბათუმი: წარსული და თანამედროვეობა“. ბათუმი.
- თავდგირიძე, ნ. (2023).** „ქოხწინების გზადიცა მუხისის ხეობაში“.– საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, „ჩვენი სულიერების ბალავარი“. ბათუმი.
- მალაყმაძე, რ. ფუტკარაძე, მ. (2024).** აჭარის ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება. – აჭარა უძველესი დროიდან თანამედროვეობამდე. ბათუმი.
- მგელაძე, ნ. ლორია, მ. (2010).** ბათუმის თანამედროვე ხედიგუხი პოხგეგი (კათოლიკეები, გიგოხიანელები, მუსლიმები, იუდეველები, მახთმადიდებელი ბეხძნები).– საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები „ბათუმი: წარსული და თანამედროვეობა“. ბათუმი.
- მგელაძე, ნ. გიორგაძე, მ. (2020).** საქართველოს შავი-ზღვისპირა სოფლების პონტოელი ბეხძნები: მიგრაციის მოდელები, მარშრუტები და სოციო-პოლიტიკური მიზეზები. – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის „მოამბე“, ტომი 14, №4. თბილისი.
- ჭიჭილეიშვილი, მ. (2010).** ძველი ბათუმის აქტივეტუხის მხატვარი სტილის ზოგიერთი საკითხი. – საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები „ბათუმი: წარსული და თანამედროვეობა“. ბათუმი.
- ჭიჭილეიშვილი, მ. (2013).** ძველი ბათუმის ხეკონსტრუქციის ზოგიერთი ასპექტი.– საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, „ბათუმი: წარსული და თანამედროვეობა“. ბათუმი.
- ჭიჭილეიშვილი, მ. (2024).** აჭარის მატეხიადუხი კუდგუხური მემკვიდრეობა.– აჭარა უძველესი დროიდან თანამედროვეობამდე. ბათუმი.

ფილმები

- თავდგირიძე, ნ. (2013).** ფილმი – მერისი: ეხთი დღე სოფელში. ბათუმი.
- თავდგირიძე, ნ. (2019).** ფილმი – ნაკონალვარის მთა: ეხთი დღე სოფელში. ბათუმი.
- თავდგირიძე, ნ. (2024).** ფილმი – გოდერძი : ეხთი დღე სოფელში. ბათუმი.
- ლორია, მ. გიორგაძე, მ. მგელაძე, ნ. (2017).** დოკუმენტუხი ფილმების ციკლი – პონტოელი ბერძნები აჭარაში: 1. ფურუნი; 2. წმიდა ნიკოლოზის ეკლესია; 3. წმიდა კონსტანტინესა და ელენეს ეკლესია; 3. წმიდა გიორგის ეკლესია; 4. ყოვლისწმინდა ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია; 4. პეტრე-პავლესა და წმინდა თეოდორეს ეკლესიები; 5. წმიდა პანტელეიმონის ეკლესია; 6. ფერისცვალების ეკლესია. ბათუმი.

სიონის დეკანოზ ნიკოლოზ მიქაძის (1720-1780 წწ.) მიერ
გადაწერილი და მოხატული წიგნების მხატვრული დაჯგუფება და მიზნობრივი აქცენტები
NIKOLoz MIKADZE, (ARCHPRIEST OF SION CHURCH IN TBILISI 1720-1780) ARTISTIC
GROUPING AND PURPOSEFUL ACCENTS OF TRANSCRIBED AND PAINTED BOOKS

როსტომ კაჭახიძე საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტი

Rostom Kachakhidze Shota Rustaveli Theater and Film University

<https://orcid.org/0009-0005-2499-5457>

საკვანძო სიტყვები: სიონი, ხელნაწიხი, მინიატიურა

Keywords: Sioni, manuscript, miniature

ABSTRACT

The aim of the study is to present the artistic work of Nikoloz Mikadze, Archpriest of the Tbilisi Zion Cathedral, as a miniaturist and designer of handwritten books, providing a complete retrospective by examining his creative output. The study includes a thematic grouping of manuscripts painted by him, which reveals the deliberate artistic choices in his fine creations from an artistic perspective. The relevance of the issue lies in the frequent discussion of Archpriest Nikoloz Mikadze's work in academic spaces, where his contributions are typically studied from philological and liturgical perspectives. However, no one has yet explored Nikoloz as a calligrapher, an artist of handwritten books, and an illustrator. The scientific novelty of this study lies in the chronological observation of the manuscripts he copied. It shows that Nikoloz's artistic activity gradually diminished over time—the enthusiasm for manuscript painting that characterized his youth began to fade. I believe this shift was influenced not only by the difficult historical conditions and the demands and challenges of his patrons but also by his active involvement in printing, which illustrates the collaborative relationships between calligraphers and the newly established printing houses of the 17th and 18th centuries, based on specific examples. The research methods involved a comparative analysis of the works of Archpriest Nikoloz Mikadze, highlighting his artistic goals as an 18th-

century miniaturist. His work shows a closeness to both European and Georgian Christian painting, revealed through artistic-stylistic analysis. His creations feature traditional forms, with a synthesis of Georgian-Eastern elements in some instances and a vibrant, bold color palette in others. In certain cases, his illustrations reflect a deep understanding of the text's content. When writing Asomtavruli, Khutsuri, or Mkhedruli texts, Nikoloz avoids overly binding letters or overloading them with ornamental decoration. In this respect, he is very moderate and prudent, as the books he transcribed were mainly of religious content and used during worship, often read by candlelight at different times of the day and night. Therefore, each letter needed to be clearly distinguishable so as not to hinder the reader during the service. As a result of studying the manuscripts transcribed by Nikoloz, three groups of manuscripts can be distinguished based on their artistic decoration. All of these manuscripts are preserved at the National Center of Georgian Manuscripts named after Korneli Kekelidze: 1. Manuscripts that are unpainted, where the decorative system consists only of singular decorations of the paragraphs and upper letters. 2. Manuscripts that feature black-and-white, graphic, headpiece decorations, analogous to the decoration style of books printed at the Vakhtang VI printing house.

წინამდებარე კვლევის მიზანია თბილისის სიონის ტაძრის დეკანოზ ნიკოლოზ მიქაძის მხატვრული შემოქმედების, როგორც მინიატიურისტი და ხელნაწერი წიგნის გამფორმებლის სრულყოფილი რეტროსპექციით წარმოჩენა მისი შემოქმედების შესწავლის მაგალითზე. მის მიერ მოხატული ხელნაწერების თემატური დაჯგუფება, რაც ცხადყოფს

მისი სახვითი შემოქმედების მიზნობრივ აქცენტებს მხატვრული თვალსაზრისით და ამავედროულად შეავსებს XVIII ს.-ის ქართული ხელნაწერი წიგნის მომხატველ ოსტატთა კორპუსს მათი შემოქმედების შესწავლის თვალსაზრისით.

დეკანოზ ნიკოლოზ მიქაძის შემოქმედება საშემოქმედო სივრცეებში ხშირად გამხდარა კვლევის

საგანი, მისი ნაშრომები შესწავლილია როგორც ფილოლოგიურ, ისე ლიტურგიკულ ქრილში, მაგრამ, სამწუხაროდ, ნიკოლოზზე, როგორც ხელნაწერ წიგნთა გამფორმებელზე და მხატვარზე ჩაძიებით არავის უსაუბრია. მისი კალიგრაფია საკმაოდ გამორჩეულია მის თანამედროვე ოსტატთა შორის, რაც თავისთავად, უკვე საყურადღებო ფაქტია. ნიკოლოზის მიერ გადაწერილი წიგნების გაცნობისას, მკითხველის თვალი არ იღლება, ნიკოლოზი თითოეულ ასოს გამოსახავს თითქოს „კალმის მძიმე დაჭრებით“²², რაც ასოებს უფრო მკვეთრსა და ადვილად ამოსაკითხს ხდის. ასომთავრული, ხუცური, თუ მხედრული ტექსტების წერისას იგი ერიდება ასოთა ბმას, ან ორნამენტებით გადატვირთულ გაფორმებას, ამ მხრივ იგი მეტად ზომიერი და წინდახედულია, რადგან ნიკოლოზის მიერ გადაწერილი წიგნები ძირითადად სასულიერო შინაარსის არის და დღე-ღამის სხვადასხვა მონაკვეთში იკითხებოდა სანთლის ნათების ქვეშ ღვთისმსახურების დროს, ამიტომაც თითოეული ასო კარგად გასარჩევი უნდა ყოფილიყო და არ უნდა გამხდარიყო შემაფერხებელი მსახურების დროს წიგნის მკითხველისთვის; ნიკოლოზი ფიქრობს არა მარტო ტექსტის შინაარსზე, არამედ შემდგომში მის მკითხველზეც. ბევრგან ტექსტს სადა, წვრილბოლიან ჩარჩოებში აქცევს, ბევრგან ჩარჩოებს ოქრომელნით მკრთალ ზოლსაც აყოლებს, ასევე ყველა ხელნაწერში, დასაწყისი საზედაო ასოები საძიებლები და აბზაცები სინგურით აქვს გამოყოფილი, რასაც შავი მელნით შესრულებული ტექსტის, გამშვენებისა და გახალისების ფუნქციის გარდა პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს. თავად, როგორც სასულიერო პირს ეს საკითხი კარგად ესმოდა და უმეტესად მის მიერ გადაწერილი ლიტურგიკული შინაარსის წიგნების გვერდებზე მხატვრულ დეკორაციას ტექსტის სწორხაზივნება, ხუცურ ასოთა კუთხოვანი მოყვანილობა, თითოეული ასოს მკვეთრი და ცხადი ფორმა, სანყისი ასოებისა და სასვენი ნიშნების სინგური ფერით აქცენტირება ქმნიდა.

მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს დეკანოზ ნიკოლოზ მიქაძის მიერ გადაწერილ ხელნაწერთა ქრონოლოგიური დაკვირვება, სადაც წარმოჩინდა, რომ ნელ-ნელა სუსტდება ნიკოლოზის მხატვრული აქტივობა - ისეთი მონდომება ხელნაწერების მოხატვისა, რაც მას ახალგაზრდობაში ჰქონდა დროდადრო უკანა პლანზე ინაცვლებს; ვფიქრობ, ამის მიზეზი, გარდა რთული ისტორიული პირობებისა, მოუცლელობისა, დამკვეთთა ინტერესებისა და სიდუხჭირისა, იყო მისი აქტიური ჩართულობა სასტამბო საქმიანობაში, რაც XVII-XVIII სს.-ის კალიგრაფთა ახლადდაარსებულ სტამბასთან თანამშრომლობით ურთიერთობაზე მიგვიჩივებს, კონკრეტული მაგალითების საფუძველზე.

ირინე საგანელიძე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
 უნივერსიტეტი
Irine Saganelidze Ivane Javakhishvili Tbilisi State University

<https://orcid.org/0009-0003-3515-6881>

საკვანძო სიტყვები: მოდერნიზმი, კულტურა, პოლიტიკა
Keywords: modernism, culture, policy

ABSTRACT

Georgian modernism, which began to take shape in the 1880s-90s and fully emerged in the early 20th century, became a defining element of national culture over the following decades. It clearly reflects the nature of this type of art, its unique creative energy, and the rapidly changing artistic trends during a period marked by significant upheaval. Georgian modernism is not just an artistic movement but also a socio-political phenomenon—an integral part of cultural policy and a manifestation of multiculturalism. Based on this broad and initial assessment, the main objective of my research was to conduct a comprehensive study of the modernist cultural processes in Georgia from 1900 to 1936, including the historical, political, and cultural contexts that influenced and shaped these processes, and to consider contemporary cultural policy in this light. For this purpose, I analyzed the most significant creative outputs of Georgian modernism by evaluating the works and lives of both Georgian and non-Georgian modernist artists, writers, and directors, using methods of historical reconstruction, analysis, and synthesis. Given the complexity of the research, I focused on the creative influences, cultural exchanges, and stylistic innovations present in these works, as well as the cultural diversity and ethnopolitics of the time that were reflected in them, either deliberately or incidentally. Alongside the

artistic and cognitive analysis of individual works, I also addressed the socio-political factors that led to significant historical events and influenced diverse artistic processes, particularly modernist cultural thought, both globally and in Georgia. As a result, I presented Georgian modernism as a component of cultural policy with social implications, marking a scientific innovation in its interpretation. In addition to the historical context, I approached Georgian modernism as a contemporary and innovative artistic movement that embodied European cultural values in both content and form. This perspective offers a significant opportunity for positioning Georgia on the path to European integration, promoting Georgian culture, and fostering international cultural relations. Through cultural diplomacy and “soft power,” Georgian modernism allows the country to present itself on the global stage not only as an independent cultural entity situated at the crossroads of Asia and Europe but also as part of the European cultural family, civilization, and values. This relevance of Georgian modernism to foreign audiences has been demonstrated in recent years through numerous events—exhibitions in prominent international museums and participation in global festivals—that have showcased Georgia’s cultural heritage in a dignified manner as the country continues its journey toward European integration.

კულტურის რთულ ფენომენთან დაკავშირებულია და, არსებითად, მისითაა განპირობებული კულტურის ნებისმიერი პოლიტიკა, მეტიც, ის კულტურის პოლიტიკის ორგანული სეგმენტია, თავის მხრივ კი, კულტურა - ხელოვნების მიმართულებათა მრავალფეროვნებას დიდად განსაზღვრავს ნებისმიერი ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური თუ კულ-

ტურული ლანდშაფტი. ამ მხრივ XIX საუკუნეში მრავალეთნიკურსა და მრავალკულტურულ ევროპაში აღმოცენებული მოდერნისტული (ლათ. modernus თანამედროვე, ბოლოდროინდელი) კულტურაც არაა გამონაკლისი, თუმცა, ის იმითაა გამორჩეული, რომ მასში სხვადასხვა კულტურის პლასტები ორგანულად ტრანსპორტირდა, სინთეზირდა და თანა-

ბრად მრავალფეროვნად განსახოვნდა ხელოვნებისა თუ ლიტერატურის განსხვავებულ სახეობებში. ამასთან, ევროპაში მოდერნიზმის წარმოშობას წინ უძღოდა მწვავეომები დარევოლუციების სერია. მისი ფუძემდებლური იდეა იყო, ზოგადად, ხელოვნების, ლიტერატურის, საზოგადოების სოციალური ორგანიზაციისა და ყოველდღიური ცხოვრების ტრადიციული ფორმების მოძველების გამო მათი უკუგდება დაახლის ძიება. მკვეთრად გამოხატულ ამ პროგრესულ მისწრაფებათა, ასევე ეთნოკულტურათა ორგანული სინთეზირების გამო, შეიძლება ითქვას, მოდერნიზმი სრულიად განსაკუთრებულ მოვლენად იქცა მსოფლიო კულტურულ სივრცეში და რა გასაკვირია, რომ მან ნოყიერი ნიადაგი ჰპოვა ისტორიულად და თანადროულადაც მულტიკულტურულ საქართველოშიც, სადაც XIX ს-ის 80/90-იანი წლებიდანვე, განსაკუთრებით, XX საუკუნის დასაწყისიდან, ქართული კულტურის ემისრები ადგილზე აქტიურად ეცნობიან ევროპულსა და რუსულ მოდერნიზმს; მათში ქართული და აქ დამკვიდრებული მულტიკულტურული ელემენტების შეტანითა და ტრანსფორმირებით კი, გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, არტსცენაზე უკვე XX საუკუნის დასაწყისიდან თამამ განაცხადს აკეთებს მოდერნიზტული კულტურის სრულიად თვითმყოფადი განშტოება – *ქახუდი ეხოვნუდი მოდერნიზმი*. მან ჯერ კიდევ მაშინ, განსაკუთრებით კი, არაერთი ათწლეულის შემდეგ – უკვე XXI საუკუნის დასაწყისში ევროპულ კულტურულ სივრცეში დემონსტრირებისას ევროპელთათვის ცხადი გახდა, რომ ევროინტეგრაციის გზაზე დამდგარი ჩვენი კულტურა, ხელოვნება არაა მხოლოდ აზიისა და ევროპის გადაკვეთის არეალში მდებარე საქართველოს ეროვნული ფენომენი, არამედ ის ევროპული კულტურისა და კულტურის პოლიტიკის ორგანული სეგმენტაცაა. ცხადია, ამ კონდიციამდე ქართული კულტურის დღეს უკვე განუყოფელმა მდგენელმა-ქართულმა მოდერნიზმმა ეთნიკური, პოლიტიკური და კულტურული პერიპეტიებით აღსავსე რთული გზა განვლო და ამ კონტექსტის გამო გარკვეულად მის სოციალურ-პოლიტიკურ და კულტურულ პროდუქტად იქცა. ჩემი კვლევა, ძირითადად, ფოკუსირებულია სწორედ ამ კონტექსტზე. ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ ცხადია, ევროპაში მოდერნიზმის წარმოშობის ერთ-ერთი განმაპირობებელი პოლიტიკურ-სოციალური და კულტურული წინამძღვრები იდენტური არ იყო და ვერც იქნებოდა XIX საუკუნის საქართველოში. თუმცა, ასეთ წინაპირობად, უფრო მართებული იქნება თუ ვიტყვით, წინაპირობის ბიძგად ნაწილობრივ იქცა XIX საუკუნეში განვითარებული საყოველთაოდ ცნობილი პროცესები. იძულებით და ძალისმიერად რუსეთის კოლონიური სივრცის შემადგენელ ნაწილად ქცეულ საქართველოში რადიკალურად შეიცვალა პოლიტიკური, სოციალური და, შესაბამისად, კულტურული ანტურაჟი, ამ სიტყვის ფართო გაგებით. მეტიც, მ. ვორონცოვმა და მისმა მომდევნო მმართველებმა თავიანთი იმპერიული ზრახვების ეფექტურად განსახორციელებლად ე. წ. რბილ პოლიტიკას მიმართეს და კულტურა ერთ-ერთ სტრატეგიულ იარა-

ლად აქციეს. ამ პოლიტიკას პირობითად მართლაც შეიძლება ეწოდოს კულტურის იმპერიულ-პრაგმატული პოლიტიკა (**შატერაშვილი, 2023:172**), რადგან მათი მიდგომა ავტოქთონი თუ ეთნიკური უმცირესობების კულტურათა მიმართ მთლიანად იყო მორგებული იმპერიის გეოპოლიტიკურ ინტერესებს, კერძოდ, მიზანი იყო ახალ იმპერიულ გარემოში მშვიდობიანი, არაანტაგონისტური გზით ყველა ეთნოსის კეთილგანწყობის მოპოვება, საბოლოოდ კი მათი ინტეგრირება და რუსებთან ასიმილირება. ამისთვის კი მიმართავდა სხვადასხვა ტაქტიკურ ხერხს. ერთ-ერთი იყო ეთნიკურ-კულტურული ექსპანსია, ანუ ისტორიულად ისედაც პოლიეთნიკურ საქართველოში უცხო ეთნოსთა ჩამოსახლებით ეთნონონასწორობის გამიზნულად დარღვევა და მათთვის სოციალურ პრივილეგიათა ლეგიტიმაციასთან ერთად ეთნიკურ კულტურათა ინსტრუმენტალიზების (ეთნიკური პერიოდიკის, თეატრების, საგანმანათლებლო ინსტიტუციების...) არეალის გაფართოება; ეთნიკური მხატვრების, მწერლების, საზოგადო მოღვაწეთა საქმიანობის მატერიალური და მორალური მხარდაჭერა (**Акты... 1885: 26; ჩხეტია 1944: 1**). ამგვარი პოლიტიკის შედეგად საქართველოში საუკუნების წინ თუ ახალდამკვიდრებულ ეთნოსებს, მაგალითად, რუსებს, სომხებს, აზერბაიჯანელებს, ოსებსა და სხვებს მიეცათ მანამდე არარსებული შესაძლებლობა საქართველოს საჯარო კულტურულ სივრცეში მოეხდინათ დემონსტრირება თავიანთი ინტელექტუალურ-კულტურული პოტენციალისა. ამისთვის კი კულტურის მართვის მაშინდელი პოლიტიკით ასევე გათვალისწინებული იყო ობიექტურ მიზეზთა გამო მანამდე ჩვენში მწირად არსებული სამეცნიერო-კულტურული ინსტიტუციების დაარსება. სანიშნოდ დავასახელებთ მათგან რამდენიმეს: ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკა (1846 წ.); რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილება (1851 წ.) (**Кавказский календарь, 1855**); კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების მუზეუმი (1855 წ.); ნატურალისტ ბაიერნის კაბინეტი (1856 წ.); კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოება (1873 წ.); მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების კავკასიის განყოფილება (1901 წ.); ქართული (1850 წ.) და რუსული თეატრები (1851 წ.); იტალიური ოპერა (1952წ.); რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების მუზეუმი (1852 წ.) (**ჩხიტი, 2003**), შემდგომ კავკასიის მუზეუმად წოდებული, დღევანდელი სიმონ ჯანაშიას სახელმწიფო მუზეუმის წინამორბედი; მ. ვორონცოვის მოწვევით რუს მხატვარ გრ. გაგარინის მიერ სიონის ტაძრის კანკელის აღდგენა და მოხატვა (**Дзუцова 2016:60-64**). ამ ფრესკების ხილვა დღესაც შეუძლია მნახველს; 1877 წელს დაარსდა ნატიფი ხელოვნების წამახალი-სებელი კავკასიის საზოგადოება, რომელიც 1907 წლამდე ერთადერთი ინსტიტუცია იყო, რომელიც მასთან არსებულ სამხატვრო სკოლასთან ერთად საქართველოსა და მთელამიერკავკასიაში სამხატვროცხოვრებას განსაზღვრავდა (**საგანელიძე, 2022: 28**); 1891 წელს დაარსდა საქართველოსა და კავკასიაში პირველი სამუსიკო სასწავლებელი (**საგანე-**

ლიძე, 2019: 195). ასეთი პრაგმატული პოლიტიკის კიდევ ერთი მიმართულება იყო ე. წ. ევროპეიზაცია, რაც ითვალისწინებდა საქართველოს, გამორჩეულად კი, კავკასიის ადმინისტრაციული ცენტრის – თბილისის ლანდშაფტის შეცვლას, ევროპული ყოფითი ანტურაჟის მასიური იმპორტირებისთვის ხელშეწყობას, ევროპული ტიპის არქიტექტურული შენობების აგებასა და მრავალ სხვა ღონისძიებას. უდიდესია თბილისის არქიტექტურული იერსახის ფორმირებაში რუსეთის იმპერიის ცენტრებიდან ჩამოსული და საქართველოში მოღვაწე რუსი ან რუსეთის ქვეშევრდომი ევროპელი (პოლონელი, იტალიელი, გერმანელი) არქიტექტორების მოღვაწეობის მნიშვნელობაც (**საგანელიძე, 2022 : 31**). ი.სემიონოვის, ალ. შემკვეიჩის, კ.ტატიშჩევის, ალ. ზალცმანის, ო. სიმონსონის, პ.შტერნის, ვ. შრეტერის, ჯ. სკუდიერის, ლ. ბილფელდისა და სხვათა მიერ დაპროექტებული-აგებული შენობები დღესაც ქმნის თბილისის ევროპულ მოზაიკას (**ბერიძე, 1963**); (**გერსამია, 2019**). (**გაბადაძე, 2014**). XIX საუკუნის დაზგურ ფერწერას ადგილობრივ-ქართველ და სომეხ მხატვრებთან ერთად რუსები და ევროპელი მხატვრებიც ქმნიდნენ. (**ჭოლოშვილი, 2006**). მათ (პ. და პ. ფრანკენებმა, კ. ზომერმა, ბატალისტმა მხატვარმა ფრ. რუბომ, პეიზაჟისტმა ბ. ფოგელმა, ოს. შმერლინგმა და სხვებმა ქართული ფერწერის განვითარებაზე დიდი გავლენა იქონიეს (**კიკვაძე, 2012: 32**; **ჭოლოშვილი, ციციშვილი, 2008**). უცხოელი მხატვრები ქმნიდნენ წარჩინებულთა საოჯახო პორტრეტებსა და დაზგური ფერწერის სხვა ჟანრის ნიმუშებს, რომელთა დიდი ნაწილი დღესაც დაცულია საქართველოს სიძველეთსაცავებსა და კერძო კოლექციებში.

აღსანიშნავი ისიცაა, რომ რუსეთის მმართველობა XIX საუკუნის მიწურულიდან და XX საუკუნის დასაწყისში კულტურის მისეულ იმპერიულ-პრაგმატულ პოლიტიკას სრულყოფილად ისე ვეღარ ახორციელებდა იმპერიის ცენტრებში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკური ძვრებისა (1905 წლის რევოლუცია, პირველი მსოფლიო ომი, 1917 წლის ოქტომბრის გადატრიალება...) და, იმის გამოც, რომ ინტელექტუალურად და კულტურულად მომძლავრებული, რუსეთსა და ევროპაში განსწავლული ადგილობრივი მოსახლეობის მონივრულ ნაწილი უკვე წარმატებით მოღვაწეობდა ქართული კულტურის, ხელოვნებისა და მეცნიერების სფეროებში, მაგ., 1916 დიმიტრი შევარდნაძის თაოსნობით შეიქმნა ქა-ხთვედ ხელოვნება საზოგადოება; 1920 წელს კი- ეროვნული გალერეა, სადაც თავი მოიყარა მსოფლიო და ქართული ხელოვნების მნიშვნეულ ნაწილი უკვე დიდების ტაძარში 1916-1920 წლებში გაიმართა ქართველ და არაქართველ მხატვართა ნამუშევრების გამოფენები. აქვე გამოიფინა 1917 წელს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მიერ მოწყობილი ექსპედიციებისას გადმოღებულ ფრესკათა პირების გამოფენა; ექ. თაყაიშვილის ინიციატივით 1907 წელს დაარსდა საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოება, რომელიც აწარმოებდა საისტორიო-საარქეოლოგიო, საეთნოგრაფიო, საანთროპოლოგიო, სალინგვისტო, სანუმინმატიკო სამუშაოებს,

გამოსცემდა სამეცნიერო კრებულებსა და წიგნებს, აწყობდა გამოფენებს. ქართველი მეცნიერები ატარებდნენ ლექციებს... ამ წანამდღვრებმა, უდავოდ, გამოიღო ნაყოფი. და უკვე XX საუკუნის პირველ ათწლეულებში საქართველოში დადგა კულტურაში - ხელოვნების სხვადასხვა სახეობასა და ლიტერატურაში რეფორმატორული, მოდერნისტულ- ავანგარდული ხასიათის ცვლილებებით აღსავსე ხანა. ის მოიცავს საქართველოს დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის მოკლე პერიოდსაც -1918-1921 წლებსაც. ოფიციალური კულტურის პოლიტიკის ორგანულ სეგმენტად სახელმწიფოს მაშინდელ მესვეურთა მიერ იქცა შემოქმედებითი ცხოვრების თავისუფალი ბუნების აღიარება, რაც ნაწილობრივ აისახა საქართველოს პირველ კონსტიტუციაში. „ხედვება, მეცნიერება და მათი სწავლება თავისუფალია: სახედმწიფოს მოვადეობაა მფაჩველობა გაუწიოს და ხედი შეუწყოს მათ განვითარებას“ (საქართველოს დამფუძნებელი კრება, 1921, გვ. 32). პირველ კონსტიტუციაში კულტურის თავისუფალი ბუნების ხაზგასმა და კულტურის გასავითარებლად სახელმწიფოს მიერ მხოლოდ მფარველობითი ფუნქციით შემოფარგვლა კულტურის პოლიტიკის მობილური მოდელის პროგრესული მონახაზია, რამაც დიდად განსაზღვრა საქართველოში ნებისმიერი შემოქმედებითი საქმიანობის განსაკუთრებული აღმავლობა 1918-1921 წლებში. ვ. ბერიძე ამ პერიოდის კულტურის (თეატრის, მუსიკის, ხელოვნების, ლიტერატურის...) საერთო მახასიათებლად მიიჩნევს ეროვნულობასა და საყოველთაობას (**ბერიძე, 2018**). კულტურა მართლაც უფრო ტრანსპარენტული, მიზანმიმართული და, რაც უმთავრესია, თავისუფალი გახდა. ამ პოსტულატის პროეცირებაა ლ. გუდიაშვილის მიერ 1918 წელს შექმნილი გრაფიკული ნახატიც ბევრისმთქმელი სახელწოდებით „გაუმარჯოს თავისუფალ ხელოვნებას თავისუფალ საქართველოში“. „დადგა, ხმაურიანი ეპოქა უცნაური რიტორიკით, ესთეტიკური „ამბოხით“, „ინდივიდუალიზმის, თავისუფლების, ხელოვნების თვითმიზნობის“ დამკვიდრებით“ (**ყიფიანი, 2018**).

მოდერნისტულ-რეფორმატორული ტენდენციები განსაკუთრებით სახასიათოა ამ დროის ლიტერატურის, მხატვრობისა და თეატრალური ხელოვნებისათვის. განსაკუთრებით აქტიური შემოქმედებითი ცხოვრება ჩქეფდა ქუთაისსა და თბილისში. გრ. რობაქიძის მახვილი ფრაზით, „ტფილისი შეიქნა ფანტასტური“. ამ „ფანტასტურ“ ქალაქში ქმნიდნენ მოდერნისტი, ავანგარდისტი, ფუტურისტი, ზაუმელი, დადაისტი ქართველი და არაქართველი მხატვრები და პოეტები. მათი იდეების ილუსტრირება კი ხდებოდა თბილისშივე გამოშვალ ქართულენოვანი და რუსულენოვანი არაერთი ჟურნალ-გაზეთის („თეატრი და ცხოვრება“, „მეოცნებე ნიამორები“, „ცისფერი ყანწები“, „შვიდი მნათობი“, „თოლაბურასის სარტყელი“, „ARS“, „ფენიქსი“, „კურანტები“, „არლეკინი“, „ტფილისი“, „41“), ბროშურის, წიგნის, ლექციის (თბილისში ქართველი და რუსი შემოქმედნი ლექციებს კითხულობდნენ პოეზიასა და ხელოვნებაზე) მეშვეობით.

ქართული ეროვნული მხატვრობის ისტორიის უმნიშვნელოვანესი ფურცელი (**ბერიძე, 1992: 17**) შექმნეს ევროპაში განათლებამიღებულმა მხატვრებმა - დ. შევარდნაძემ, ვ. სიდამონ-ერისთავმა, ალ. გველესიანმა, დ. კაკაბაძემ, ქ. მაღალაშვილმა, ელ. ახვლედიანმა, ლ. გუდიაშვილმა, შ. ქიქოძემ, რომლებიც არა მხოლოდ ხელოვანები და მხატვრები, საზოგადო მოღვაწენიც იყვნენ. აღნიშნულია, რომ „ ამ პერიოდის მხატვრობა საინტერესოა ეროვნულ-მხატვრული ფორმების ძიებით“ (**კიკვაძე, 2012; 4**), ასევე მათი მეშვეობით ქართულ სახვით ხელოვნებაში მკვიდრდება ევროპული ტენდენციები. 1918 წლიდან იწყება ავანგარდული არტისტული კაფეების („ქიქერიონი“, „Артистический кабачок“, „სიმპათია“, „ინტერნაციონალი...“) მოხატვა ქართველი და რუსი მხატვრების მიერ. ძალზე მნიშვნელოვანი ფურცელი ჩანერგეს ქართული მოდერნისტული მხატვრობისა და ლიტერატურის ისტორიაში ძმებმა - ი. და კ. ზდანევიჩებმა. ცხადია, განუზომელია ამ პერიოდშივე მოღვაწე ნ. ფიროსმანაშვილის როლი და ადგილი არა მხოლოდ ქართულ, არამედ მოგვიანებით მსოფლიო კულტურაშიც.

საქართველოს სხვადასხვა ქალაქში, განსაკუთრებით, თბილისსა და ქუთაისში სისხლსავსე თეატრალური ცხოვრება ჩქეფს. მას ქმნიან როგორც დიდი რეჟისორები- სანდრო ახმეტელი, ისე მოგვიანებით, 1922 წელს, საქართველოში დაბრუნებული კოტე მარჯანიშვილი, ასევე სხვა რეჟისორებიც; 1918 წელს დაარსებული გ. ჯაბადარის სტუდია და სტუდიელები (მსახიობები: ვ. ანჯაფარიძე, აკ. ვასაძე, უშ. ჩხეიძე, შ. ლამბაშიძე ...), ასევე თეატრალური მხატვრობის ორი დიდი კორიფე - ირაკლი გამრეკელი და პეტრე ოცხელი, რომელთაც არსებითად გადატრიალება მოახდინეს ქართულ სცენოგრაფიაში. მათი (და არა მხოლოდ მათი) შემოქმედებითი ტანდემით დადგმული სპექტაკლები გამოირჩევა პიესათა შინაარსის აქტუალობითა და მათი მოდერნისტულ-ავანგარდისტული მხატვრული ხერხებით გადმოცემით. ესაა ქართული თეატრის აღმავლობის ეტაპი. დრამატული თეატრის გარდა, მნიშვნელოვანი მიღწევები დაფიქსირდა სამუსიკო ინსტიტუციებშიც, სადაც მოღვაწეობენ და საოპერო სპექტაკლებს („თქმულება შოთა რუსთაველზე“, „აბესალომ და ეთერის“, ქეთო და კოტეს“...) დგამენ უცხოეთში განსწავლული ქართული პროფესიული მუსიკის ფუძემდებლები - მ. ბალანჩივაძე დ. არაყიშვილი, ზ. ფალიაშვილი, ნ. სულხანიშვილი, კ. ფოცხვერაშვილი, ფ. ქორიძე და სხვები. ინტენსიურ მუშაობას განაგრძობს თბილისის კონსერვატორია; ქართველ მუსიკოს-მომღერალთა კავშირი; ქართული სამუსიკო და საქველმოქმედო საზოგადოება და ა.შ. ამ და სხვა სამუსიკო ცენტრებში ხელი ეწყობოდა ეროვნული მუსიკის ფორმირებასა და განვითარებას, კონცერტებისა და წარმოდგენების მეშვეობით ეროვნული და ევროპული მუსიკის პოპულარიზაციას.

ჩემ მიერ ქართული მოდერნიზმის ფორმირებაზე საუბრისას ისტორიული კონტექსტის წინ წამოწევისას ყურადღება გავამახვილე ორ ქრონოლოგიურ

პერიოდზე- XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისზე, როცა ეყრებოდა საფუძველი და შემდგომ სრულფასოვნად ყალიბდებოდა ქართული მოდერნისტულ-ავანგარდული კულტურა (განსაკუთრებით, თბილისური), რომელმაც საბჭოთა ეპოქაში ტაბუდადების შემდეგ, ფაქტობრივად, XX ბოლო ათწლეულში, გამოვიდა რა, ასე ვთქვათ, იატაკქვეშეთიდან იქცა ქართველ და მსოფლიო ხელოვნებათმცოდნეთა კვლევების ერთ-ერთ ძირითად საგნად. ამიტომ ლოგიკური იქნება გავაგრძელო საუბარი უკვე XXI საუკუნეში მის დემონსტრირებაზე საერთაშორისო კულტურულ სივრცეებში როგორც მისი რეაბილიტირება-ლეგიტიმაციის ერთგვარ გამოვლენაზე. თუმცა, არა მხოლოდ მოდერნისტული, არამედ მრავალსახოვანი ქართული კულტურა აკეთებს თამამ განაცხადს საერთაშორისო ასპარეზზე.

უპირველესად, აღვნიშნავ 2018 წელს ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე ჩვენი ქვეყნის ლიტერატურული პოტენციალის წარმოჩენას. *ანბანით მოყოლიდი საქაჩთვედო* - ამ სლოგანით ჩატარებული ეს ღონისძიება ევროპელებს აცნობდა მრავალფეროვან ლიტერატურას, უნიკალურსა და უძველეს ქართულ ანბანს, რომლითაც შეიქმნა და დღესაც იქმნება ამ ანბანით ამეტყველებული ჩვენი ქვეყნის წარსულისა და თანამედროვეობის მათიანე. ქართული კულტურის დემონსტრირების კიდევ ერთი საერთაშორისო პლატფორმა ვენეციის თანამედროვე ხელოვნებისა და არქიტექტურის საერთაშორისო ბიენალეებია, სადაც საქართველო დამოუკიდებელი ქვეყნის სტატუსით 2008 წლიდან პოზიციონირებს. ესაა შესაძლებლობა, ქვეყანამ თავისი თანამედროვე ხელოვნების პოტენციალი და გამოწვევები საერთაშორისო კონტექსტში წარმოაჩინოს.

და მაინც ქართული კულტურის ბოლო წლების ყველაზე მასშტაბური წარდგინება მოხდა 2023-2024 წლებში გამართულ ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალზე - *ევხოპაღია*, რომელზეც საქართველო სტუმარი ქვეყნის სტატუსით იყო მიწვეული. სიმბოლური იყო ფესტივალის მიმდინარეობა საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობისკანდიდატი ქვეყნის სტატუსის მინიჭების მოლოდინის ფონზე. 2023 წლის ოქტომბრიდან 2024 წლის იანვრის ჩათვლით ქ. ბრიუსელში, ბენელუქსისა და ევროპის ქვეყნების სახელოვნებო სივრცეებში გამართულ ამ ფესტივალზე ჩვენმა ქვეყანამ წარმოადგინა მასშტაბური კულტურული პროგრამა (კულტურული მემკვიდრეობა; თანამედროვე ვიზუალური ხელოვნება; მუსიკა; თეატრი; კინო; ლიტერატურა. სულ 60 -მდე ღონისძიება), რამაც ხელი შეუწყო ქვეყნის პოპულარიზაციას, ცნობადობის გაზრდას, ძირითადად კი, ეს იყო უნიკალური შესაძლებლობა ევროინტეგრაციის მიმართულებით ქვეყნის პოზიციონირებისათვის.

საფესტივალო პროგრამის თანახმად, საქართველოს კულტურის სამინისტროს, სსიპ ეროვნული მუზეუმის, ასევე *ევხოპაღია ინტეგრირებული* ორგანიზებით პირველად ევროპაში დაიგეგმა ორი უდიდესი გამოფენა. პირველი იყო გამოფენა- *საქაჩთვედო შეხვედრების აგვიდი/Georgia A Story of*

Encounters. ის 27 ოქტომბერს გაიხსნა ბრიუსელის ისტორიისა და ხელოვნების სამეფო მუზეუმში. ქართველი და ევროპელი მეცნიერების ერთობლივად შემუშავებული საგამოფენო კონცეფცია ითვალისწინებდა ჩვენი ქვეყნის ისტორიისა და კულტურის მასშტაბურად წარმოჩენას ნეოლითის ხანიდან XIX საუკუნის ჩათვლით. გამოფენის ლაიტმოტივი იყო – საქართველო *ხოგოხც ცივილიზაციათა შეხვედრის ადგილი*. ცხადია, ლაიტმოტივის ამგვარი ფორმულირება განპირობებული იყო იმით, რომ ქართული იდენტობის ფორმირება მოხდა ქართული კულტურისა და აღმოსავლურ-დასავლური ცივილიზაციების ურთიერთქმედების, ორი განსხვავებული კულტურული ორბიტის დამახასიათებელი სოციალური ურთიერთობების, ტექნიკური მიღწევების, სახელმწიფოებრივი სტრუქტურებისა თუ მხატვრული ენის ტრანსფორმირება-ადაპტაციით ადგილობრივ სოციალურ-კულტურულ გარემოსთან, ქართული კულტურის მსგავსება-განსხვავებით მედიტერანული არეალის სხვა კულტურებთან მისი თვითმყოფადობისა და უნიკალურობის შენარჩუნების გზით. მასზე წარმოდგენილი იყო საქართველოსა (საქართველოს ეროვნული მუზეუმის, საქართველოს ისტორიის მუზეუმი, ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი, ვანის არქეოლოგიური მუზეუმი, ქუთაისის ისტორიული მუზეუმი, აჭარის მუზეუმი, ახალციხისა და ონიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმები, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ეროვნულ არქივი. სულ 200 ექსპონატი) და უცხოეთის სხვადასხვა მუზეუმში (Louvre, Metropolitan Museum, Berlin National library, Tiroler Landesmuseum Ferdinandeum) დაცული ექსპონატები. გამოფენას ახლდა კატალოგი, რომელშიც ქართველი, დასავლეთ ევროპელი და ამერიკელი მეცნიერების სტატიებში ფართოდ განიხილებოდა გამოფენაზე წარმოდგენილი ექსპონატები. ნიშანდობლივია ისიც, რომ ეს გამოფენა თითქმის საუკუნის შემდეგ XX საუკუნის 30-იან წლებში განხორციელებული პროექტის ერთგვარი გაგრძელება იყო, როდესაც პირველად მოხდა ქართული ქრისტიანული კულტურის (IV-XVIII საუკუნეები) წარდგენა დასავლეთ ევროპაში (ბერლინი, კიოლნი, ნიურბერგი ვენა). გამოფენის კონცეფციის ავტორები იყვნენ ქართული სამეცნიერო ელიტის მაშინდელი თვალსაჩინო წარმომადგენლები – გიორგი ჩუბინაშვილი და შალვა ნუცუბიძე.

ქართული კულტურის განვითარების სრულ სპექტრს ევხოპადიის ამ გამოფენაზე სიმბოლურად ასრულებდა ნიკო ფიროსმანაშვილის ტილო, რომელიც ერთგვარი გადასვლა იყო უკვე მოდერნიზმის გამოფენაზე. ამით გამოფენის კონცეფციის ავტორებმა მიანიშნეს ქართული კულტურის განვითარების უწყვეტ ხაზზე, მის მთლიანობაზე, რაც ევროპელთათვის დამატებითი მნიშვნელოვანი გზავნილი იყო ქართული კულტურის გენეზისის ტრანსლირებისათვის.

ფესტივალი ითვალისწინებდა უპრეცედენტოდ-მასშტაბური კიდევ ერთი გამოფენის მოწყობას – ავანგარდის საქართველოში – 1900-1936, რომელიც 4

ოქტომბერს გაიხსნა ბრიუსელის ნატიფი ხელოვნების ცენტრში (BOZAR -Centre for Fine Arts). საერთაშორისო არტფესტივალი ევხოპადია ორ წელიწადში ერთხელ იმართება ბელგიის დედაქალაქ ბრიუსელში და ევროპას წარუდგენს მასზე მიწვეული ქვეყნის კულტურულ მემკვიდრეობას. ბოზარის ცნობილ ცენტრში ევხოპადიას 40-ზე მეტი უმაღლესი ხარისხის გამოფენა მოეწყო: ბიანკუში, შიშვედი ვენეცია, პიგეჩ ბიეიგედი და მრავალი სხვა. რაც შეეხება ჩვენს ამ გამოფენას, ისიც საკმაოდ მასშტაბური იყო (20 - ზე მეტი არტისტის 300 -მდე ფერწერული და გრაფიკული ნამუშევარი. გარდა ამისა, წიგნები და პერიოდული გამოცემები, საარქივო მასალა, სცენოგრაფია, თეატრალური მაკეტები), რადგან მასზე წარმოდგენილი იყო ექსპონატები თბილისისა და რეგიონების მუზეუმებიდან (საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი; ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი; იოსებ გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმი; საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა; ხელოვნების სასახლე; თბილისის კერძო კოლეჯები; კოტე მარჯანიშვილის სახელმწიფო დრამატული თეატრის მუზეუმი; რუსთაველის ეროვნული თეატრი). საქართველოს გარდა, ექსპონატები ჩამოტანილი იყო საფრანგეთიდან და ესპანეთიდან (ილია ზდანევიჩის არქივი-ფრანსუა მერეს კოლეჯია; მარსელი-გალერეა მინოტავრი; პარიზი-პომპიდუს ცენტრი; პარიზი- დავით კაკაბაძის ფონდი; მადრიდი- დედოფალ სოფიას მუზეუმი). საქართველოს პირველად მიეცა შესაძლებლობა, რომ ევროპელი ფართო აუდიტორიისათვის სრულყოფილად ეჩვენებინა მისთვის მანამდე, ფაქტობრივად, უცნობი ქართული მოდერნისტული ხელოვნება როგორც ევროპული კულტურის სეგმენტი და დემონსტრირება მოეხდინა ამ სახის ქართული ხელოვნების ისტორიული წვლილისა ევროპულ ხელოვნებაში. გამოფენის ორგანიზატორებმა განსაკუთრებული კონცენტრირება მოახდინეს ე. წ. ტფილისურ ავანგარდზე, რომელიც თავისი ისტორიულ-მხატვრული მნიშვნელობით არ ჩამოუვარდება გაბედულ ექსპერიმენტებზე დაფუძნებულ რუსეთისა და ევროპის მეტროპოლიების ავანგარდულ განაცხადებს. მიუხედავად იმისა, რომ ქართული მოდერნისტული ხელოვნება ევროპული მოდერნიზმის შემადგენელი კულტურულ-მსოფლმხედველობრივი მოვლენაა და მასთან მჭიდრო კავშირში ვითარდებოდა, ამავე დროს, აქ ექსპონირებულმა არტეფაქტებმა ცხადყო ქართული მოდერნისტული- ავანგარდული ხელოვნებისთვის სპეციფიკური მხატვრული ნიშნები, ქართველ მხატვართა ინდივიდუალიზმი, მათი შემოქმედებითი ნიჭი, მდიდარი წარმოსახვა და შესრულების მაღალი პროფესიონალიზმი.

როგორც ცნობილია, ქართულმა ავანგარდმა სულ 3 ათეული წელი იარსება და ძალადობრივად იქნა განყვეტილი ბოლშევიკების მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ. ამ ფაქტის შემზარავი ვიზუალური დასაბუთება იყო გამოფენაზე წარმოდგენილი ვალერიან სიღამონ-ერისთავის სურათი წითელი კავადეჩია, რომელიც მიზნად ისახავდა ევროპელი დამთვალ-

ერებლის ინფორმირებას, რომ ქართული მოდერნიზმი როგორც თავისუფალი ხელოვნება აიკრძალა საბჭოთა რეჟიმის მიერ. რასაკვირველია გამოფენის მნიშვნელოვანი ნაწილი ქართული იდენტობის განმსაზღვრელი- ნიკო ფიროსმანაშვილის ფერწერა იყო. ამ უნიკალურ მხატვარს შედარებით მეტად იცნობდა ევროპა მისი არაერთხელ გამართული სოლო გამოფენებით 2023 წელსაც კულტურის სამინისტროსა და *Fondation Beyeler*-ის გალერეაში ქალაქ ბაზელში მოეწყო ნიკო ფიროსმანის 45 ნამუშევრის გამოფენა (2023 წლის 16 სექტემბერი-2024 წლის 28 იანვარი). 2023 წელსვე იმავე ორგანიზატორთა მიერ გამართა (2023 წლის 5 მაისი- 2023 წლის 20 აგვისტო) ფიროსმანის პირველი ექსპოზიცია დანიაში, ლუიზიანას პრესტიჟულ მუზეუმში.

ჩემ მიერ შედარებით ვრცლად მიმოხილული ორი ქრონოლოგიური მონაკვეთი და კულტურაში ასახული მოდერნიზტული ტენდენციები დავუკავშირე XXI საუკუნეში მიმდინარე სახელმწიფო პროცესებს, კერძოდ, ქართული კულტურის, მათ შორის, მოდერნიზტული კულტურის როგორც ევროპული კულტურის ორგანული სეგმენტის დემონსტრირებას საერთაშორისო ასპარეზზე, მეტიც, ქრონოლოგიური ამპლიტუდის ცვლილების მიუხედავად, ის ერთიან, მდგრად კულტურულ პროცესად მივიჩნე, რომელსაც უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს. ჯერ კიდევ 2016 წელს დამტკიცებულ კულტურის პოლიტიკის ჩარჩო-დოკუმენტ *კურგუჩის სტრატეგია 2025*-ში საზგასმულია ქართული კულტურის პოპულარიზაციის, საერთაშორისო ასპარეზზე გატანის აუცილებლობა. თუმცა, პოპულარიზაციას გაცილებით მეტი დატვირთვა აქვს. ის კულტურათა დიალოგია, კულტურული დიპლომატიაა, ე. წ. რბილი ძალაა, რომლის მნიშვნელობა კიდევ უფრო მზარდია თანამედროვე ძალზე ტურბულენტურ მსოფლიოში, განსაკუთრებით ისეთი პატარა ქვეყნისთვის როგორცაა საქართველო და რომელიც პოზიციონერობს როგორც ევროგაერთიანების მომავალი წევრი. ამიტომ სრულიად ლოგიკურია ჩემ მიერ ხაზის გასმა, რომ 2024 წელს ევროპაში ძირძველი ქართული, განსაკუთრებით კი, მოდერნიზტული კულტურის წარდგინებას ორმაგი ფუნქცია ჰქონდა. ცხადია, უპირველესად, მისი მიზანი იყო მულტიეთნოსური და მაინც თვითმყოფადი და უნიკალური ქართული კულტურა გაეცნო მკვლევარ - ხელოვნებათმცოდნეებისა და, ზოგადად, ევროპელებისთვის როგორც ევროპული კულტურის ორგანული ნაწილი. კულტურას კი, როგორც ზემოთ აღვნიშნე, პოლიტიკური კონტექსტი მეტ- ნაკლებად ყოველთვის ახლავს. სწორედ ამის გამო ამ გამოფენებს პოლიტიკური მნიშვნელობაც ჰქონდა, რადგან, ჩემი აზრით, ის დროული და მკაფიო გზავნილიც იყო საქართველოდან ევროპას, მიზანმიმართულად კი ევროპის პოლიტიკურ ელიტას, რომ ჩვენი შინ მენტალურად და ისტორიულადაც ყოველთვის იყო და არის ევროპა. ამიტომ მის შუაგულში - ბრიუსელის ნატიფი ხელოვნების ცენტრში „Bozar“-ში დემონსტრირებული ქართული კულტურა ერთგვარად ახმოვანებდა მძაფრ სურვილსა და მიზანსაც, რომ ქვეყანამ მიიღოს ევროკავშირის კა-

ნდიდატის სტატუსი და მომავალში გახდეს ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრი.

ლიტერატურა

- ბერიძე, ვ. (1963).** თბილისის ხუროთმოძღვრება. 1801-1917 წწ. (ტომი 2). თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.
- ბერიძე, ვ. (2018).** კულტურა და ხელოვნება დამოუკიდებელ საქართველოში. კულტურა და მხატვრული ცხოვრება საქართველოს პირველ რესპუბლიკაში (1918-1921 წლები). თბილისი: ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევის ცენტრი.
- გაბადაძე, ს. (2014).** რუსთაველის პროსპექტის არქიტექტურულ-სივრცული და კომპოზიციური ფორმირების საკითხი. დისერტაცია არქიტექტურის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი.
- გერსამია, თ. (2019).** არქიტექტორი ალექსანდრე ოზეროვი. თბილისი: “ARS GEORGICA“.
- საგანელიძე, ი. (2021).** მრავალეთნიკური საქართველოს ხელოვნება (XIX - XX საუკუნეების მხატვრობის, არქიტექტურისა და სამუსიკო ხელოვნების ზოგადი მიმოხილვა. საერთაშორისო კონფერენციის- ეთნიკური მრავალფეროვნება და მულტიკულტურული კომუნიკაცია საქართველოში. კრებული. გვ. 192-207; თბილისი 2021
- საგანელიძე ი. (2022).** ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის მხარდაჭერა და სახელმწიფო მიდგომები საქართველოში - 2009-2019 დისერტაცია კულტურის კვლევათა დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
- საქართველოს დამფუძნებელი კრება. (1921, თებერვალი 21).** საქართველოს კონსტიტუცია. <https://www.matsne.gov.ge/document/view/4801430?publication=0>
- ყიფიანი, ნ. (2018).** სახვითი ხელოვნება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921). თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- ჩხაიძე, გ. (2003).** საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი. 1852-1932. . თბილისი: საქართველოს ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გამოცემა.
- ძუცოვა, ი. (1982).** სიონის ტაძრის მოხატულობა XIX საუკუნის შუა წლებში. „ძეგლის მეგობარი“, 61, 32-56.
- ჭოლოშვილი, ნ. (2006).** გერმანული მხატვრული ტრადიცია და საქართველო XIX საუკუნის დასაწყისიდან XX საუკუნის 40-იან წლებამდე. დისერტაცია ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი.
- შატერაშვილი, ვ. (2023).** თანამედროვე საქართველოს კულტურის სახელმწიფო პოლიტიკის მოდელი და მისი ინსტიტუციური მართვის სისტემა დისერტაცია სოციალურ მეცნიერებათა დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

რუსეთის შიდაპოლიტიკური დაპირისპირება და ურთიერთობა საქართველოსთან:
 აფხაზეთის კონფლიქტი და მის ირგვლივ განვითარებული პროცესები 1992-1993
 THE INTERNAL POLITICAL STRUGGLES OF RUSSIA AND ITS ENGAGEMENTS WITH
 GEORGIA: THE ABKHAZIAN CONFLICT AND RELATED EVENTS (1992-1993)

ლაშა ჩანტლაძე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
 უნივერსიტეტი

Lasha Chantladze Ivane Javakhishvili Tbilisi State University

<https://orcid.org/0009-0003-0105-0624>

საკვანძო სიტყვები: რუსეთი, შიდაპოლიტიკური დაპირისპირება, აფხაზეთი, ომი, ელცინი, ხასბულატოვი, რუსკოი
Keywords: internal political conflict, Russia, war, Abkhazia, Yeltsin, Khasbulatov, Rutskey

ABSTRACT

The objective of this research is to explore the political developments in Russia during 1992-1993 and assess whether the domestic political crisis at that time influenced the war in Abkhazia. The article also examines the key turning points of the conflict in Abkhazia and delves into the details of Russia's involvement in the war. According to renowned American scholar Francis Fukuyama, the end of the Cold War and the collapse of the Soviet Union, Humanity has not only reached the end of a distinct post-war historical period, but also an ideological and evolutionary culmination, wherein liberal democracy is envisioned as the ultimate form of human government. This was shared by the Russian Foreign Minister Andrei Kozyrev, who believed that the United States was a natural ally of democratic Russia and an enemy of the totalitarian Soviet empire. He characterized the Soviet Union as "wrongly" and "illegally" developed. Needless to say, all this contributed to the revival of the myth of two Russia both in the Western world and in Georgia. Unfortunately, the political elites did not realize that the existence of two Russia was an illusion, which was clearly confirmed by the processes that developed in Abkhazia in 1992-1993. The visions of Eduard Shevardnadze, who placed the responsibility for the situation created by Russia not on Boris Yeltsin and the democrats in the presidential apparatus, but on the head of the Supreme Council Ruslan Khasbulatov and the military, turned out to be completely wrong. Although Khasbulatov himself openly opposed Yeltsin on issues of power distribution and economic reforms, their strategy regarding the ongoing events in Abkhazia was openly anti-Georgian. This article reviews the internal political conflict in the Russian Federation in 1992-1993 and provides an analysis of the crucial turning points in the Abkhazian war

within this context. In general, President Boris Yeltsin's administration during this period was primarily focused on modernizing the Russian economy and liberalizing its foreign policy (integration into Western political structures). Understandably, the conservative and militaristic political factions expressed dissatisfaction with these developments. However, when considering the facts and outcomes, it becomes clear that the ongoing discontent and controversies had no effect on the final results of the conflict in Abkhazia. The course of events indicated that the prevailing imperial mindset remained steadfast throughout. Even Andrei Kozyrev, the most liberal and influential foreign minister at the time, shared the imperial ideology, advocating for the post-Soviet states to remain within Russia's economic and political sphere of influence. This viewpoint was clearly illustrated by Russia's involvement in the overthrow of Zviad Gamsakhurdia's government during the Georgian Civil War and its active support for separatists in the Abkhazian conflict. From a methodological perspective, this work falls within the realm of qualitative research. The content analysis method was used to review primary sources such as press articles and memoirs, and the discourse analysis method was applied to analyze secondary sources consisting of academic literature related to the research topic. In addition, the process tracing method was employed to elucidate the cause-and-effect relationships of historical events. During 1992-1993, Russian intervention was a pivotal factor in the conflict in Georgia, significantly influencing the hostilities and ultimately tipping the balance in favor of the Abkhaz separatists. For both President Yeltsin and Chairman Khasbulatov, securing international recognition of Russia as the guarantor of peace and stability in the former Soviet Union was crucial.

This objective aligned with the broader imperial strategy aimed at maintaining the Caucasus within Russia's sphere of influence. The strategy of fragmented imperialism, developed before the Soviet Union's collapse, significantly shaped the Russian Federation's objectives in the ongoing conflict in Georgia. This approach exploited that the separatist aspirations of the autonomies within the pro-independence union republics were to be used against the republic themselves. Despite public disagreements between Khasbulatov and Yeltsin on power-sharing and economic reform, their approach to the situation

in Abkhazia was distinctly anti-Georgian, reflecting a unified stance on this aspect of foreign policy. The analysis of these actions underscores the continuity of Russia's imperial mindset, with the ultimate objective not to acknowledge Georgia as an independent and sovereign state. In this context, the war in Abkhazia was utilized effectively as a means to punish and weaken Georgia. The consistency of this approach suggests that irrespective of which political faction controlled Russia during 1991-1993, the outcome would have likely remained the same.

This research is part of my Ph.D. dissertation, which examines political developments in post-Soviet Russia from 1991 to 1993, focusing on the internal political crisis and its influence on Russia's foreign policy toward Georgia, particularly the war in Abkhazia. During this period, Boris Yeltsin's government initiated significant economic reforms while pursuing closer ties with Western institutions like the EU and NATO. In January 1992, Prime Minister Yegor Gaidar outlined key reforms, including trade liberalization, the removal of price controls, and the privatization of wholesale trade. (Trenin, 2019:135-136) However, this pro-Western course pursued by Yeltsin and actively supported by Foreign Minister Andrei Kozyrev was sharply opposed by the conservative forces headed by Ruslan Khasbulatov and Alexander Rutskoy. What the leaders of these nationalists sought to do was nothing but the restoration of Russia's influence in the post-Soviet space, a course which stood in direct confrontation with the Westward course of the government headed by Yeltsin. In fact, the circle of Yeltsin, Kozyrev, and Gaidar resisted not just the inner governmental circle but a broader political landscape. Notably, their strategies were contested by the Russian Defense Ministry and the Presidential Security Council. Key ministers overseeing security, intelligence, and military affairs frequently aligned with a conservative-centrist perspective on Russian identity, with the military playing a particularly significant role. At times, these figures even ignored directives issued by the President of the Russian Federation. (Hopf, 2017:702). The stance of key military leaders gained support from prominent figures like writer Alexander Prokhanov, National Bolshevik Party founder Eduard Limonov, and Sergei Beburin, a leading Russian nationalist in the Supreme Soviet. They regarded the Soviet Union's collapse as a disaster and were staunchly opposed to Russia's alignment with Western institutions, including the IMF. Ruslan Khasbulatov, Chairman of the Supreme Soviet, was a central voice in economic debates, warning that rapid privatization, industrial shutdowns, and reduced agricultural focus would cause significant economic instability (Хасбулатов, 2011:14). Although Yeltsin

ultimately quashed Khasbulatov and his supporters²⁶ during the 1993 constitutional crisis, his foreign policy direction shifted significantly afterward. Yeltsin, alongside Kozyrev—initially a strong advocate for Western integration—began to adopt elements of the imperialist visions of their conservative opposition, reshaping their foreign policy towards reasserting Russian influence over neighboring states. More moderate figures, such as academician Andranik Migranyan and Yevgeny Ambartsumov, shared these views. They argued that regions like South Ossetia, Karabakh, Crimea, and Transnistria—historically part of the Russian Empire—should remain under Russian influence. (Sagramoso, 2023:28). This was echoed by Sergei Stankevich, an advisor to President Yeltsin, who advocated for a Russian version of the 'Monroe Doctrine' to maintain control over the post-Soviet space (Stent, A 2007:418). Yeltsin officially supported this stance on February 23, 1993, asserting Russia's role as the guarantor of peace and stability in the region. (Human Rights Watch in 1995:9) This transformation marked a pivotal moment in Russia's international strategy, particularly in relation to the conflicts in the Caucasus. The study investigates how these domestic political struggles influenced Russia's approach to Georgia and shaped its involvement in the Abkhazian conflict. The war in Abkhazia became a key example of Russia's evolving strategy of supporting separatist movements to maintain influence over its immediate periphery. Backing the separatists offered a practical means to sustain and extend Russian imperial ambitions. The Russian 'Peacemaking' forces served as a geostrategic foothold, consistently avoiding any genuine effort towards a full resolution of the conflict. (Assays from the History of Georgia, 2011: 481) This research examines how Yeltsin's administration managed the intersection of domestic political pressures and foreign pol-

²⁶ At the congress, proceedings were heavily influenced by parliamentary chairman Ruslan Khasbulatov, who aligned with the opposition and supported by centrists. Initially, Khasbulatov had cautiously welcomed the Civic Union, believing it could serve as a mediator between the democrats and communists, aiding him in managing parliament. However, he soon realized that the 'center' lacked a distinct political agenda or power base, ultimately aligning more with the nationalist and communist opposition, offering no substantial alternative to these factions. (Kozyrev, 2019, p. 171)

icy, ultimately opting to back the Abkhazian separatists as part of a broader effort to secure Russia's interests in the region.

The importance of this topic is that it will be in a position to shed light on foreign policy actions by Russia in a period of great turmoil within the country. While experiencing a worst-case home crisis with an ostensibly highly weakened leadership, it had still managed to destabilize Georgia in a successful manner, especially through the detente in the Abkhazian conflict. This now has particular relevance to current geopolitical challenges, not least of which was the annexation of Crimea by Russia in 2014. The insight into how Russia first used separatist movements as proxy tools in the 1990s provides greater insight into how the Russian hybrid warfare strategy evolved. The conflict in Abkhazia was one of the first examples of what would later be termed the Gerasimov Doctrine, where through information war, separatist movements, and cyber attacks, unconventional methods of warfare achieve geopolitical aims. So-called Gerasimov Doctrine—authored by Russian General Valery Gerasimov in 2013—is focused on the theme of contemporary war as a combination of military and non-military measures. It promotes disinformation strategies, cyber attacks, political destabilization, and disruption to social structures with the aim of weakening adversaries without actually coming into conflict with them. Instead of adhering to the strict use of military force, this approach aims at sustaining a situation of continuous turmoil within hostile states, conditions under which effective resistance would be hard to organize. Russia has applied the same methods in the context of the conflict in Ukraine and to its information campaigns worldwide (McKew, 2017). In addition to direct military engagement, extensive propaganda campaigns were launched. For instance, several articles were featured in the Russian Defense Ministry's newspaper "Krasnaya Zvezda," where authors called for expanded military aid to the Abkhazians, advocating for more equipment and personnel. Furthermore, the Abkhazians made appeals to UNESCO and Russian Patriarch Alexy II, urging immediate support for the "victims" of Georgian aggression. ("Москва. Святейшему Патриарху всея Руси Алексию", 1992:31-32). In the 1990s, Russia's means were more straightforward yet no less effective: supporting separatist forces in Abkhazia allowed it to destabilize Georgia's territorial integrity while at the same time positioning itself as a peace mediator. This provided the foundation for the latest, more sophisticated hybrid war in Ukraine today, using cyber-attacks, information manipulation, and diplomatic pressure in addition to military force to achieve the goals of Russian foreign policy. The hybrid strategy borrowed from deep ideological roots within Russian

political thought. The Statists²⁷ envisioned Russia as a Derzhava—a holder of international equilibrium—and coupled this with a preoccupation with the protection of its status as a great power. They felt that Russia needed to balance power in world affairs and saw limited cooperation with the West as necessary but also had to preserve Russia's geopolitical distinctiveness. In that respect, this was the Statist vision of fragmented imperialism during the 1990s, whereby separatist aspirations within the pro-independence republics were manipulated in order to keep the influence of Russia, which has now evolved into the modern-day tactics of hybrid warfare executed in Ukraine. Looking at how Russia used separatists as proxies during the early 1990s will help in understanding the continuities of their foreign policy causing instability among neighboring states with the use of proxy conflicts as a core strategy. This is well-demonstrated even during the early 1990s period of domestic weakness: Russia's immediate neighboring countries found it capable of exerting a considerable amount of influence signification that their imperial ambitions were never abandoned. Events unfolding in Ukraine in 2014 are a demonstration of the importance that needs to be attached to revisiting these earlier happenings to recognize the consistencies in Russia's behavior.

This research displays scientific novelty in developing the internal political conflict in Russia and how it factored into the country's course of action in the Abkhazian war. While most earlier works either dealt with military and political aspects of the conflict or Russia's wider foreign policy, this work focuses on the domestic political scene and, above all, on the power struggle between Yeltsin and Khasbulatov. It had a big impact on the making of Russia's foreign policies because the leadership was torn between democratic reform and the resurgence of imperial dominance over its former Soviet republics. Besides, this work is based on less known sources of information instance, the Republic of Abkhazia, a newspaper issued in 1992-1993, contributes much to the novelty of the interpretation of that period and Russia's role in the conflict. The paper also discusses the role of Andrei Kozyrev, one of the most Western-oriented ministers at the time, and how his vision for a democratic Russia gave ground to the more imperialist policies later associated with Yevgeny Primakov. Such work has hardly ever been done, combining political science, in-

